



မြတ်



၂၀၁၅၊ ဧပြီလ၊ ၁၃၊ အာရုံချိန် ၁၇၀၀ နာရီ
၂၀၁၅၊ ဧပြီလ၊ ၁၃၊ အာရုံချိန် ၁၇၀၀ နာရီ

№ 4 (51)

2021



၁၁၄၁
ဒေါက်လွှဲဒေါက်လွှဲ

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქტიაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.



შემოქმედებითი
სამართლებრივი



№4,(51), 2021

ოქტომბერი



გამოსისამართებელი ქურნალი



„ოლეს“ ლიტერატურული ქურნალი



შიდაარსი

მხატვრული ლიტერატურა

2. ვარნა რაინა. ლექსები

6. ფიქტურული ქურნალი. ქოხი ტყის პირას.
პიესა

17. ელგუჯა ციგროვალი. ლექსები

20. ლანა მანვალი. სად არის ბედნიერება.
რომანი

23. კახაბერ პავლიშვილი. ორი მოთხოვბა

26. მარიამ კოზეანიშვილი. ლექსები

30. მარა კაკაურიშვილი. დაუპატიჟებელი
სტუმრები. მოთხოვბა

34. ივათა პავლიშვილი. ორი მოთხოვბა

37. ელდარ შიშვანიშვილი. ლექსები

40. მარიამ ძამუკაშვილი. მოთხოვბა

44. თინათინ თელაველი. ორი მოთხოვბა

გავავებისთვის საკითხავი

46. ნუნუ ძამუკაშვილი. საბავშვო ლექსები

თარგმანი

49. დიონ პუცატი. სასიყვარულო წერილი.
მოთხოვბა. იტალიურიდან თარგმნა მაია
ტურაპელიძემ

52. XIX და XX საუკუნის რუსული

ლირიკა. რუსულიდან თარგმნა ციცინო
მარკოზაშვილმა

კრიტიკა

55. როინ ჭიკაძე. ხალხური სასაუბრო
ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და
ინტონაციური ოპუსები თამრი ფხაკაძის
მოთხოვბებში

ცერიტები

59. მაყვალა მიქაელი. ოთარ ჭილაძის
ლიტერატურული პორტრეტისათვის

62. ზალ ბორტოველი. სამშობლოს
გამორჩეული ცრემლი

გარეკანის პირველ გვერდზე

ზაზა კოლეციშვილის პორტრეტი,

მხატვარი ვანო გოცილიშვილი

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერილიანში“

1



ოლე, №4, 2021



ვარნა რაინა

2



საქართველოს მწერლართა კულტურული გარემონტინისა და სამსახურის მიერ გამოცემა

საქართველოს მწერლართა კულტურული გარემონტინისა და სამსახურის მიერ გამოცემა

შზე,
სულშირ;
გულშირ;
ვისაწ უნთა,
სამაფლონელი
მითქვამს ურისტვი...
ვარ - კუნაპეჭი, -
სიძლვილისთვის,
ულავარდესი -
სიყვარულისთვის...

ფ. რაინა

კატეგორია

(მცირე ციკლი – გამოშვებების ტრილოგია)

ვითარ –

იქო...

თუ, –
სიყვარულით

და... მზით

ივსები,

თუ, –
ნათლით ივსებ —

გულს და...

იერსო,

უნდა ცხოვრობდე —
ისე, –

ღირსებით,

ისე, –

სიქველით,

ვითარ —

ისეო...

11. 04. 2021

ქართველი...

ქართა მოტანილ

სულთა ნაგაეს

ვუბრუნებთ —

ქართვე,

გვაქვს უნმინდესი

განძი სულის, –

მზით, რომ —

ივსება...

უზნეოს,

ულირსს

ვერ ვუწოდებთ —

ჭეშმარიტ

ქართველს,
ქართველის —
ნალდი ქართველობა
არის:
ღირსება...
6. 07. 2021

უნინარეს!..
უნინარეს!!!..
უნინარეს!!!!..

ბრძენთა ბრძენმა
წინაპრებმა
უნინ... არეს...
ზენამ, კვლავაც,
მზესიბრძნე, რომ —
აქ, ართველოს...

უნინარეს,
უნინარეს,
უნინარეს,
სამს, –
ღმერთკაცნი
და...
ღმერთქალნი —
საქართველოს!!!!..
9. 04. 2021

ზესიღირდე

დამემოწმება:
ალაზანიც*,
სტორიც** და
ჩელთიც***

ნარმავალია ყოველივე, –
ფასია ქართა...
ზესიდიდე არ არსებობს —
იოტიც,
ჩემთვის,
სიკეთის,
სიბრძნის,
სიყვარულის,
ღირსების გარდა...

28. 08. 2021
*, **, *** მდინარეები კახეთში

ხომ, უნდა ვიყოთ –
მყიდამ,
მართალი?..

სიცოცხლით, რამდენს,
სიცოცხლე
არ ხედა,
ვერ აცხო აზრი, –
სიბრძნით
ნათალი?..
ღმერთთან,
მამულთან,
სინდისთან,
ხალხთან,
ხომ, უნდა ვიყოთ —
მუდამ,
მართალი?..

6. 05. 2021



კახეთი...

სურათი
ცადატყორცნილი —
მთები,
რა მთები! —
მზის ნაფერები,
კოცნით
ნანთები...
ველი — ალაზნის, —
ველი,
რა ველი,
გადაპენტილი
ნისლის
კრაველი...
23. 04. 2021



თუ, არის —
ვინჩე,
აი, ეს არი!..

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს პატრიარქს,
იღია //—

მის გულს სძრავს:
ცეცხლი, —
ყველა
მკვნესარის,
დრო გვერგო —
ეგზომ,
ფლიდი და...
მკაცრი...
თუ, არის —
ვინჩე,
აი,
ეს არი:
მამულისათვის,
დამდნარი
კაცი!!!..
3. 05. 2021

დრო ვერ მიათვლის...
მამული ჩემი
ოლომპია, —
გენიოსების,
თუმცა,
არა ჰყავს
მას, არც ერთი —
ნობელიანტი.
8. 04. 2021

როგორ —
არასდროს !!!..

მეობამ... ხვეჭამ
როგორ —
დაგვათრო?!..
მზაკვრობა,
მტრობა
გვიგზავნის —
სხვა ნამს!!!..
და... დღეს —
სიცხიზლე,
როგორც —
არასდროს!!!
ამ, საბალნაროს
დავკარგავთ,
სანამ!!!..
10. 07. 2021

მამული ჩემი —
ოლიმპია, —
გენიოსები...

მწამს, —
მზექართველი
უკვდავებით
შეიმოსების,
ჩემს ჯიშს და ჯილაგს
უილავოთ

მხოლოდ ფა...
მხოლოდ !!!..
ჩვენი — სიცოცხლე,
ჩვენი — რწმენა,
ჩვენი სიკეთე:
მამულისათვის,
ხალხისათვის, —
ვფიქრობთ, თუ,
ვიბრძვით!!!..
22. 06. 2021

თუ, გვსურს —
გადავრჩეთ,
თუ, მომავლის
ნათელს ვიკეთებთ,
მხოლოდ და...
მხოლოდ:
იღიას —
გზით!!!..
იღიას —
სიბრძნით!!!..

19. 07. 2021

3

საქართველო —
ხალხის პარტია...
საქართველოა:
სულშიც,
გულშიც
თვალთა გუგებშიც,
ცხოვრება, თუმცა,
ხან — მაისი,
ხან კი მარტია...
საქართველოა:
ჩვენი — მზეც და...
ჩვენი — ნუგეშიც,
საქართველოა, —
ერთადერთი,
ხალხის პარტია...

P.S.
ხალხი ეწევა
ერის ჭაპანს, —
მუდამ,
ვით, ხარი,
ასი პარტია
ვის სჭირდება?! —
ერთი —
მითხარით!!!..

გჭირდეს
ხსუათა —
იარავ...

არ ება —
თავის
მონურ კლდეს,
გტკიოდეს
სხვათა
იარაც...
ქვეყანას უნდა
მოუკვდე,
მარტო,
თავის თავს
კი არა?!..





თუ, რამე, მიყვანს...

გაფრინდა მარტი,
ზამთრის ცრუმლი —
კვალდაკვალ,
მიჰყვა...
ბუნებამ, მეფურ,
მზის გვირგვინი
დაადგა —
აპრილს...
თუ, რამე,
მიყვარს, —
აპრილი და...
მაისი
მიყვარს,
სიცოცხლის —
ძლევამოსილება, —
ყვავილთა
აფრით...

17. 03. 2021

კაჭორენი...

ლაუდარდში, ვითარ,
სიცოცხლის —
მზეი...
და...
უკვდავების —
დღეთა
ათვლები...
მინდა:
კატრენი,
რომ ჰეგავდეს —
ზემს, —
მარადიული სიბრძნის
ნათების...
2. 01. 2021

სიკეთის,
სიყვარულის
თილისმა —
მისცე...
9. 08. 2021

მზექალა, — უფრო...

რად უნდა განსჯა?! —
ჭოგრიტი და...
რად უნდა —
ფიცი?!..
მე, რასაც ვამბობ,
დავიმოწმებ —
პლანეტის მკვიდრებს...
მე —
ასე მჯერა,
ასე მწამს და...
უმტკიცეს
ვიცი:
მზექალა, უფრო,
არ არსებობს,
პოეტის ვიდრე.

15. 08. 2021

არ ვაჩაჭირებ!!!..

ლმერთო!
რა მოგვდის?!..
რა გეჭირს?!..
რა გვრევს?!..
და... ნუთუ,
ვცოდავთ?!..
სიკეთეს ვთესავთ
და... სიავეს —
რად?!..
რატომ,
ისხამს?!..
მე შემიძლია
ვაპატიო —
ჩემს მკვლელსაც, —
ცოდვა,
არ ვაპატიებ:
მამულის მტერს —
იოტს და...
მისხალს!!!..

17. 08. 2021

ვფიზვა...

ალავერდს ვფიცავ,
სიონს და
სხალთას,
უსაზღვრო სევდა
შემომხევს —
მკლავებს...
მეც —
ვდნები,
ვქრები
და...
ვკვდები,
სხვათა —
ნიჭისა და სიბრძნეს,
როდესაც —
კლავენ...

12. 06. 2021

მგოჩანს...

უნდა ზემიზნით
მარადისი სიცოცხლე
იქოს,
თვალსაწიერში მოაქციო
პლანეტის —
სივრცე...
ყოველ — გულისთქმას,
ყოველ — სიტყვას
და... ყოველ —
სტრიქონს,
სიბრძნის,

სურათი

ნისლების ზენარს
ფრთა
გაპურა სიომ,
მთებს სიხარული
მძაფრი დაუვლის...
ისე მოადგა მზე —
კავკასიონს,
როგორც, ბახტრიონს —
გაფრინდაული...
6. 03. 2021

სიბრძნეთა სიბრძნე...

რაიც კი ძალგიძს,
ხე — სიავის:
კაფე,
გადაჭერ...
ვინ, ბოროტებით —
ზეიმობს და...
ნეტარ,
ივსება...
რამდენჯერ მითქვამს? —



ხუთჯერ,
ათჯერ,
ასჯერ,
ათასჯერ
მხოლოდ, —
სიკეთით იზომება —
ყველა,
ღირსება...

13. 06. 2021

ტომოლუნგმარ* და...
კილიმანჯაროგ**.

ვანთივარ,
ვდნები,
ვიწვი და...
ვიბრძვი,
ვიტყვი — წრფელად და...
ვიტყვი — საჯაროდ...
დავიცყარ,
სულის,
სიტყვის და...
სიბრძნის:
ჯომოლუნგმაც და...
კილიმანჯაროც...

25. 05. 2021

დედამიწაზე,
მე, თუ, მკითხავენ,
ერთი წამის
სიცოცხლედ
არ ღირს...

2021

ოვალეზზე —
ძილი
არ მეკარეზა...

XXI საუკუნის ტკივილი

მსოფლიო —
ახლა,
ამ გულზე
დადის,
მაქვს ღმერთთან
ზეცის
არე — კარებად...
ხეალეზე:
ფიქრით,
განცდით და...
დარდით,
თვალებზე —
ძილი
არ მეკარება...

P.S.

გული განიცდის,
გული ფიქრობს,
და... გული — მითრთის, —
არ დააჭიროს
ცოდვის ღილაკს —
უთავომ
თითი!!!..*

10. 9. 2021

*ევერესტი — დედამიწის
უმაღლესი მწვერვალი, —
სიმაღლე — 8848 მეტრი, —
ჰიმალაის მთებში, ნეპალისა და
ჩინეთის საზღვარზე.
**სუპაილის ენაზე „სუცვის
ღვთაების მთა“, — აღმოსავლეთ
აფრიკაში, — ტანზანიაში,
რომლის სიმაღლე, ორველიანი
მწვერვალი — 5895 მეტრია.

ჟირწლე...

სიცოცხლე —
სიბრძნის,
სიყვარულის
დედად ვიწამე,
სიცოცხლით ფასობს
სამყაროზე —
სამოთხის
ბალი...
რაც სიმდიდრე და
განძი არის —

თუ, ხარ —

წოწხალი...

სიცოცხლეს —
სულის,

გულის გზა

შეენის...

არ უნდა გქონდეს:

სვე და...

ზე — სვავის...

თუ, ხარ —

ცოცხალი,

სიცოცხლით —

შენი,

უნდა —

სიკეთედ ენთო, —

მზესავით...

5



P.S.

სიცოცხლე, —
ასჯერ,
რომ მოგცენ —
ასი,
უმზეოდ, წამსაც,
არა აქეს —
ფასი...

9. 9. 2021

ნუ მოგვიშალოს:

რწმენაკ,

იმედიკ!!!..

ვეღარ ვეწევით

ერი, ნუთუ:

საქვეყნო —

გუთანს?!

ჯვარცმით,

ჯახირით,

ჩვენს მიზანთან

ვეღარ — მივედით...

რწმენა,

იმედი

არის, მიწყივ

ნუგეში —

გულთა,

ნუ მოგვიშალოს —

ღმერთმა ხვალის:

რწმენაც,

იმედიკ!!!..

12. 08. 2021



ფიქრის ყუშითაშვილი



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მუზეუმი

ერთი ტყის პირას

დრამა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ქალი
კაცი

სცენა წარმოადგენს მიტოვებულ ქოხს... აქა-იქ ხავსმოდებული კუნძები აწყვია და, პირობითად, როგორც კაფეში, ორი სკამისა და მაგიდის ინტერიერს ქმნის... იქვე ძველი თაროა დამტვერილი ნივთებით... ძველებური ნიკელის საწოლი და გაქუცული, ფერგახუნებული პლედი... შორს ისმის ჭექა-ჭუხილი... ელავს... ისმის ძლიერი წვიმის ხმა... სადღაც რეკენ ზარები...

ქალი – (შემოდის სწრაფი ნაბიჯით და წამოხურულ საწვიმარს იხდის მხრებიდან... თხელი, კოტონის ნაქსოვი, სადა საზაფხულო ტანსაცმელი აცვია, ფეხზე სანდლებიდან წვიმის წვეთები სდის, ცალ სანდალზე თასმა ასწყვეტია და ასკინკილით მიდის ერთ-ერთ კუნძთან, სველ საწვიმარს ფერთხავს და იქვე საწოლის თავზე მიაფენს, გაშლილ თმას ერთი სარჭიო კეფაზე აიკრეფს) ეეპ, დრო იყო გი-შივით მიყვარდა წვიმაში სირბილი... უდარ-დელი შლაპუნი!.. არც ფეხის დასველების მეშინოდა... არც ყელის ტკივილის... (ქალი ჟაკეტს იხდის და საწოლის თავის მოპირდაპირედ გადაკიდებს... ნაჭრის ჩანთიდან ასანთი იღებს, მიმოფანტულ ნაფოტებს აგროვებს და აგურებით ნაშენებ კვადრატულ შემაღლებაზე შუაცეცხლის დანთებას ცდილობს) ...ეე, შეი დედაც, ჯეკ!.. (ასანთის ლერები ერთიმეორებე მიყოლებით თითებში ატყდება, ბოლოს ერთ-ერთს როგორც იქნა ცეცხლი ეკიდება, ნაფოტები გამომშრალია და კოცონი უმაღლ აგიზ-გიზდება... ქალი სწრაფად აყრის გადაჭრილ ხის ტოტებს და თან მომცრო მორის მითრევას ცდი-

კარ – შავშები ხომ არ ვართ?.. მოლოს და მოლოს, ქმდინ გყავს, წოლი მყავს, შვილები... პასუხისმგებლობები... პორტლემები... ვდევთ საკუთარ გეგმებს... ვიპარავთ წე-ოვრების პატრა მონაკვეთს... დროს!.. დროს ვარავთ სა-კუთარ თავს... გავურნივართ საკუთარ პასუხისმგებლობებს... ხან იმ საკუთარ თავსაც... მოვდივართ აქ და თინერუების ექსკურსიადავით ვაჭაბზეთ რაღარავს...

ქალი – ნანო?

კარ – მერედა ვინ გითხოვ, რომ ვნანობ?.. მე არაფ-ეროვარ არ ვნანობ... რას უნდა ვნანობდე? რაჯ არ ყოფილა?!

ფ. ყუშიცემვილი



ფრთხილად დებს კუნძზე, ერთხანს დაჰყურებს ეკრანს, რომელიც ნელ-ნელა ქრება)...

— ასე ველოდები მთელი ცხოვრება!.. მერე იტყვიან, რომ ქალი სუსტია და მამაკაცი ძლიერი... ტყუილი, ტყუილი! — პაპიროსი — პირში!.. (შეტყობინება მოდის და მობილური წკრიალით ინათებს, ტელეფონის ეკრანს დახედავს) ეს დრო!.. დრო... დრო... „დრო დროზე სწრაფად მიჰქრის!“... კი არ მიჰქრის, მიფრინავს, უკან-მოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი!.. რა სიტყვაა — თავქუდმოგლეჯილი... მოდი აბა, და ვნახოთ ჩვენი თავქუდმოგლეჯილები და გემრიელები...

(სოკოს ერთად აგროვებს კუნძზე, რომელიც სავარაუდოდ მაგიდის ფუნქციას ითავსებს და გარჩევას იწყებს... თან არჩევს და თან იქვე დაგდებულ ჯობზე აგებს როგორც შამფურზე სამწვადეს)...

— ახლა მოვა და დამიწყებს ბოდიშობანას... „Хотелось как луцше, а получилось как всегда!“... მეც თავს ვიტყუებ!.. იმიტომ, რომ ასე უფრო იოლია!.. იმიტომ, რომ ორივეს გვაწყობს ეს ლამაზი და უწყინარი ტყუილი... ან ვინ დაადგინა, რომ ტყუილი მხოლოდ ბოროტი უნდა იყოს?!.. ის მოდის დაღლილი, ათასი საფიქრალ-საზრუნავით დაქანცული და გამოფიტული, მინიმუმ თრთვიანი გიუური მარათონის ორთქლს უშვებს, რთული და დაბაბული დღეების რუტინას ჩამოირცხს, ახალი ენერგიით ივსება და ბრუნდება თავის ბუნაგში ორჯერ უფრო მსუბუქი, ლალი და თავისუფალი... თავისუფალი ყველა პასუხისმგებლობისაგან... ღმერთო ჩემო, რამდენჯერ მიფიქრია წერტილის დასმა!.. აი, ერთ მშვენიერ დღეს აღარ არსებობს და მორჩა... იყო და არა იყო რა!.. მაგრამ არა! — მაინცადამაინც იმ ერთ მშვენიერ დღეს ხდება ისეთი რამ!.. (ტელეფონი რეკავს, ქალი დახედავს, მაგრამ არ პასუხობს... ტელეფონი ისევ ჯიუტად რეკავს და ბოლოს დუმდება) ახია!.. ახია! ზღაპარი მე გამოვიგონე და „ჭირი-იქა, ლხინი-აქაც!“ ჩემი თავში სახლელია და სანამ წერტილს დავსვამ ...თავადაც შესანიშნავად ვიცი, რომ არავითარი წერტილი არ არსებობს — არც — ასეთი და არც — ისეთი!.. (ქალი ახალ ნაფოტებს აყრის ცეცხლს და მორიგ ჯონს იმარჯვებს სოკოს ასაგებად) არის მხოლოდ მრავალწერტილი... და ბეევრი რთული ქვეწყობილი წინადადება... ღმერთო ჩემო, რამ შემაყვარა ეს გრამა-



ზიქრია უშიტაშვილი

ტიკა?! (ჩანთიდან ისევ მათარას იღებს და ისევ იყუდებს, კვლავ იჯღანება, ოლონდ, ამჯერად ნაკლებად) რაც კარგია, კარგია!.. ასე! არც გავცივდები და არც რა!.. ნეტა მოიფიქროს და ცოტა სასმელიც წამოაყოლოს... თუმცა მანქანაში მუდამ რამე გემრიელი და მაგარი აქვს ასეთი დღისთვის გადანახული!.. ეს სოკოც მზადაა და ახლა ცოტა ხელის შევლება აქაურობისათვის... და „Как в лучших домах Парижа!“... და საერთოდ, რა ცოტა უნდა ადამიანის ბედნიერებას?! (ინყებს ინტერიერის მონესრიგებას) ვიღებთ თანაბარი პროპორციით სიკეთეს, ღიმილს, სათნოებას, სიყვარულს, ქველმოქმედებას, და ვაზავებთ ერთ ყლუბ პასუხისმგებლობაში, აქვე ყურადღება გემოვნებით და საფირმო კერძი ისეთია, თითებს ჩაიკვნეტო!.. „გიფიქრიათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს სიმყუდროვეს სახლში, სამსახურში, კაფეში, მაღაზიაში, კინოთეატრში ყველგან სადაც არ უნდა გაიხედოთ? თოახების განლაგება, გადანაწილება, ისე რომ, ფართობის არც ერთი კვადრატული სანტიმეტრი აუთვისებელი არ დარჩეს — ეს ნამდვილი ხელოვნებაა... ამიტომ აქ და ახლა მე შემოგთავაზებთ თანამედროვე დიზაინის ნამდვილ ტრენდს — „ქოხი ორისათვის“, სადაც თქვენ გაატარებთ დაუკინარებ საღამოს!“... არა! სა-ლა-მოებს! იმიტომ... იმიტომ, რომ... მე ასე მსურს!.. იმიტომ, რომ... ძალიან... ძალიან მჭირდებით!..

(ისმის ჭექა-ქეხილის ხმა და მოსდევს გაელვება, დღესავით ინათებს, ქალი კარისკენ ტრიალდება... კაცი ქოხის ღია კარში დგას... თურმე უჩუმრად, ღიმილით ადევნებდა თვალს ქალს, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა, რომ წესრიგში მოეყვანა არეული ინტერიერი, ღილინითა და ცეკვა-ცეკვით დაჰქროდა ქოხის ერთი კუთხიდან მეორეში და ვერ ამჩნევდა მომლიმარ კაცს, სანამ პირისპირ არ შეეფეთა)

ქალი — (შემცბარი) დიდი ხანია მოხვედი?.. კაცი — არც ისე... (არ იშორებს ღიმილს სახიდან) ეს რა გაბედული მყოლიხარ?! — ამდენი წელია გიცნობ და თითქოს, ყოველ ჯერზე თავიდან აღმოგაჩენ... კაცი — (უხერხულად წითლდება და ცდილობს აისხლიტოს ქათინაური) ძალიან დასველდი?

კაცი — ძალიან!..



ქალი – მერე? რაღას უცდი, სასწრაფოდ!.. ცეცხლთან!.. (აყრის დარჩენილ ნაფოტებს და ხის მონაჭრებს) გაშრი... ასე გაცივდები... და-ვიწყო სოკოს შეწვა თუ?..

კაცი – „თუ!“... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ცა რომ ჩამოიქცეს, მიწა რომ იძრას და ქარიშხალმა რომ წაილოს აქაურობა, მე მაინც არაფერი მომივა... უფრო სწორედ, მინდოდა მეთქვა, ჩვენ!.. (იხდის სველ სპორტულ საწვი-მარს და ხის ძელზე კიდებს) მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ...

ქალი – (აწყვეტინებს) ჰო... „ჩვენ!“... კარ-გი სიტყვაა!.. დამავიწყდა მეთქვა, სასმელი წამოგეყოლებინა... ცოტა მეც მაქვს, მაგრამ...

კაცი – მე არადროს მავიწყდება ის, რაც არ უნდა დამავიწყდეს!.. აი, აჩვენე დიასახ-ლისური მასტერკლასი! (აწვდის ქალალდის პარკებს) ამ ამინდში?! მარტო?! ტყეში?! არა, ამას მარტო შენ თუ გაბედავდი!

ქალი – ბევრი არაფერი!.. წვიმა მიყვარს... ტყეც ნაცნობია და ქოხიც... და თანაც... სწორედ ამ ამინდში, ტყეში, მივარდნილ ქოხ-ში სხვა ვინ სულელი მოეხეტებოდა თუ არა მე? თან მთავარი!.. მთავარი დაგავიწყდა! – დღეს...

კაცი – დღეს? რამე განსაკუთრებული დღეა?

ქალი – აჲამ! აბა, დაძაბე მეხსიერება!

კაცი – რა დღეა?.. მაისის 28... ხუთშაბა-თი... პანია მინიშნება!

ქალი – აბა, დახმარება თუ ზარი ახლო-ბელთან?

კაცი – ზარი ახლობელთან!.. (იღებს მობი-ლურს, კრეფს ნომერს... ქალის ტელეფონი რევს დიღხანს და მონოტონურად... ქალი და კაცი ღიმილით შეჰყურებენ ერთმანეთს... ზარის ნა-ცვლად მობილურიდან ცნობილი ჰიტის მუსიკა ისმის... ქალი პასუხობს და მუსიკაც წყდება)

კაცი – რა დღეა დღეს?

ქალი – ჩვენი გაცნობის დღე!

კაცი – ააააა... შესანიშნავია! დიდი მად-ლობა, წითელქუდას სულისმიერო მეგობარო, ჩემო მშვენიერო მწვანებლუზა, ამ პასუხი-სათვის და ნება მიბოძე მაგ ჭკვიან შუბლზე გეამბორო შარლ პეროსა და ძმათა მისთა ნა-ცვლად! (საკოცნელად იწევს)

ქალი – (თვალებში უმზერს) და რატომ გაქვს ასეთი დიდი თვალები?

კაცი – იმიტომ რომ კარგად დაგინახო!.. (კოცნის თვალებზე)

ქალი – (სახეზე ხელებს ხვევს) და რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?

კაცი – იმიტომ რომ კარგად მოგისმინო!

(კოცნის ყურის ძირებში)

ქალი – და რატომ გაქვს ასეთი დიდი ხე-ლები?

კაცი – (ენერგიულად მიიზიდავს და ჩაეხ-უტება) იმიტომ რომ კარგად მოგეხვიო და არასოდეს აღარ გაგიშვა! (კოცნით უფარავს სახეს, თვალებს, ყელს, მხრებს, მკერდს... ერთხ-ანს ასე ჩახვეულნი დგანან, თითქოს ერთმანე-თის გულის ცემას უგდებენ ყურს)

ქალი – არასოდეს არ თქვა არასოდეს!..

კაცი – ძალიან მომენატრე!..

ქალი – მეც...

კაცი – მაინც როგორ?

ქალი – როგორც ბავშვობაში...

კაცი – (იწყებს სოკოს შეწვას) ბავშვობა-ში?.. ეგ რაღაც ახალია!.. რა მოიფიქრე?

ქალი – ბავშვობაში ვიღაც რომ ძალიან მომენატრებოდა, ჩავიფიქრებდი და ვმარჩი-ელობდი: (ალაგებს პარკებიდან პროდუქტს და კუნძზე იმპროვიზირებულ სუფრას შლის) ან საფეხურებს ვითვლიდი, ან ნაბიჯებს, ან მანქანებს, ან ქოლგებს წვიმაში... და თუ იღ-ბალი გამიღიმებდა, უთუოდ შევხვდებოდი, თუნდაც სულ ერთი წუთით, ვნახავდი და მორჩია!..

კაცი – და ამჯერად რა დავითვალეთ?..

ქალი – სოკოები...

კაცი – სოკოები?

ქალი – ლუნი თუ კენტი... ლუნი – მოვა... კენტი – არ მოვა!..

კაცი – შენ რა, მართლა ამბობ?.. სოკოებს ეკითხებოდი, მოვიდოდი თუ არა?

ქალი – მე არადროს ვცრუობ...

კაცი – არ ცრუობთ, მაგრამ სამაგი-ეროდ, თქვენ ცდებით, მეტ!.. ამ ტუტრუცუნა სოკოებს როგორ მიანდე ჩემისთანა სოლიდუ-რი, რესპექტაბელური და დარბაისელი კაცის ბედი?.. ამან!.. აი, ამან?! (დაჟყურებს ცალი მხრიდან შებრანულ სოკოებიან ჯოხ-შამფურს) და რაო, რა გითხრა ამ ქუდებედიანმა?

ქალი – (მხრებს იჩეჩავს) მოვაო და შენც მოხვედი...

კაცი – (ატრიალებს შამფურს და ახლა მეო-რე მხრიდან უმარჯვებს ნაკვერჩხალს) მოვედი და ავასრულე ერთი გოგოს ნატვრა!..

ქალი – გოგო!.. (იცინის) რა სასაცილოა?! მე და გოგო!..

კაცი – ნო-ნო-ნო-ნო! ძალიან გთხოვთ!.. ჭრილობაზე ნუ დაგვაყრით მარილს! ამისთვის სხვა უფრო შესაფერისი და მიზანშენონილი აქტორებიც არსებობს!

ქალი – ხო, პატარა გოგო-ბიჭი დიდი ხა-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

ნია აღარ ვართ!

კაცი – ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ აღარ ვართ!..

ქალი – ადამიანს ასაკის მატებასთან ერთად დასდევს კითხვა, რაღა დროს...

„რაღა დროს მისი სიყვარულია?!”.. – „რაღა დროს მისი მაკიაჟია?!”.. – „რაღა დროს მისი ასეთი ჩატარა?!”.. – „რაღა დროს მისი სიცილია?!”... ამ ყველაფერზე ტაბუს ადებენ და დუმილს იყენებენ ხოლმე, შენც ნელ-ნელა იკეტები, პატარავდები, ჩუმდები და გულ-ში ამბობ: – „რაღა დროს ჩემი ასეთებია?!”... მიდიხარ, მიყვები წლების დინებას, უყურებ სახეზე შენი ცხოვრების ყველა ხაზს, სათო-თაო ნაოჭს და გული გწყდება: ნეტა არ არსებობდეს, ეს რაღაც ჯანდაბა „რაღა დროს“, და მერე ამ „რაღა დროს“ მომენტში თუკი მოკვდები, ისევ იტყვიან – „რა დროს მისი სიკვდილი იყოო“... ადამიანებს არასოდეს ელევათ „რაღა დროს“... შენი თავი შენ არ გეჟუთვნის რადგან შენ ხომ „რაღა დროს“ ადამიანი ხარ... ცხოვრება მიდის და რაღა დროს შენი ბედნიერებაა?!.

კაცი – ხო, ძალიან სევდის მომგვერლია ეს ყოველივე...

ქალი – გიფიქრია, ადრე რომ გაგეცანი?

კაცი – ვიცი გენუინება, მაგრამ... შენ

ნარმოიდგინე, არ მიფიქრია...

ქალი – აი ეგენი ხართ კაცები!

კაცი – მაინც?

ქალი – ფანტაზიისაგან დაცლილები...

კაცი – და რატომ ასე მკაცრად?.. ეგება და, სხვა მიმართულებით გვაქვს განვითარებული ფანტაზია?!

ქალი – მაგ მიმართულებით, იცოცხლე!.. ჩემი ბავშვობის კალმისტრებივით ხართ ყველანი?

კაცი – კალმისტრებივით?

ქალი – არ გახსოვს? მელნიანი კალმისტრარი რომ იყო, კელუცი ნაშორება რომ იჯდა პლასტმასის გამჭვირვალე ტარში და გადაატრიალებდი, შიშვლდებოდა, გადმოატრიალებდი იმოსებოდა... ბოზანდარა!.. (ორივეს სიცილი ნასკდება)

კაცი – ახლა არ მითხრა, რომ იმ კალმისტრის ნაშორებზე ეჭვიანობ?!

ქალი – მე არადროს ვეჭვიანობ – დაიხსომე ერთხელ და სამუდამოდ!

კაცი – გამორიცხულია!

ქალი – რატომ არის გამორიცხული?

კაცი – იმიტომ რომ ვიცი, რომ ეჭვიანობ და აღიარება არ გინდა?

ქალი – და ვინ არის ის უჩინარი, ვიზეც ვეჭვიანობ?





კაცი – ჩემი ცოლი!..

(ხანგრძლივი და უხერხული პაუზა)

ქალი – (თითქმის ჩურჩულით) თუ სწორად
მახსოვს, ჩვენ ერთხელ შევთანხმდით, რომ
ჩვენი შეხვედრებისას ცოლზე, ქმარზე და
წლიურ საპროცენტო განაკვეთზე არ ვიღაპა-
რაკებდით!

კაცი – მაპატიე! უნიჭოდ ვიხუმრე!.. სხ-
ვათა შორის, მეც მქონდა ეგ კალამი და მთე-
ლი კლასის ბიჭები სასტავად დამდევდნენ,
გვათხოვეთ... მამაჩემმა ჩამომიტანა ბულგარ-
ეთიდან... ერთხელ ღამე დამესიზმრა... შიშვე-
ლი და ლამაზი... და დილით რომ გავიღვიძე,
ისეთი აჭარხლებული ვიყავი, დედამ სამჯერ
გამიზომა სიცხე და სკოლაში არ გამიშვა...

ქალი – დაიწვება (დასწოდება შამფურს)

კაცი – „მიმიშვით ღუმელთან!“

ქალი – (გახურებულ შამფურზე ხელი
ეწვება და კუნძხებებს უხერხულად) მე შენ
ვერადროს გაჯობებ მზარეულობაში...

კაცი – ჩემი ცოლიც ამას ამბობს!..

ქალი – ისევ?

კაცი – ჰო... ისევ წამომცდა... და შენც
ისევ იეჭვიანე!.. თუმცა ნამდვილად ამბობს
და ამ სასტიკ რეალობას სჯობს თვალი გა-
ვუსწოროთ...

ქალი – კარგი!.. რაკი დათქმა შეცვალე,
სიტყვაზე გიჭერ! – იყოს ნება შენი!.. კიდევ
რას ამბობს შენი ცოლი? (იღებს შემწვარ
სოკოს და დაფენილ ქალდის პარკზე გაშლილ
ერთჯერად თეფშებზე ანაწილებს, შამფურს კი
ნაკვერჩხალზე აგდებს... შამფურს ცეცხლი
ედება და კაცი სასწრაფოდ ხელს სტაცებს და
ახლა მას ეწვება ხელი)

ქალი – აი ახლა ბარი-ბარში ვართ!

კაცი – გასაოცარი ქალი ხარ!.. არანორ-
მალურად აუტანელი!..

ქალი – ჰო... ჩემი ქმარიც ზუსტად ასე
ამბობს!

კაცი – მიწვევ? კი, ბატონო, ვიღებ გა-
მოწვევას, და რას გულისხმობს შენი ქმარი?!

ქალი – რომ ამდენი წელია მისი ცოლი
ვარ და დღემდე არ იცის, როდის რა მახარებს
და რა მწყინს...

კაცი – მომიტევოს, მაგრამ ცუდი
ფსიქოლოგი ყოფილა...

ქალი – და შენ... სამაგიეროდ... იცი ჩემს
შესახებ ყველაფერი?!.. რა თავდაჯერებუ-
ლობაა?!

კაცი – (დაფიქრდება) არა, მე თავს ვერ-
აფერზე დავდებ, მაგრამ მგონია, რომ რაღაც
დოზით გიცნობ!

ქალი – მიცნობ?

კაცი – შეიძლება ხმამაღალი ნათქვამია,
მაგრამ...

ქალი – რამდენი წელია მიცნობ?

კაცი – არ დამითვლია, მაგრამ ალბათ ასე
10-15... რა? არა?..

ქალი – დიდი ცდომილებაა, ფსიქოლოგო!

კაცი – კი, გეთანხმები... თუმცა 5 წელი
სამყაროსათვის ერთი გაელვებაა, აი, ზუსტად
თვალის ერთი დახამხამება...

ქალი – (კაცის მიერ მოტანილი პარკიდან
იღებს პურს, ზეთისხილსა და კონიაკის ბოთლს,
და ჭიქებს და იმპროვიზირებულ სუფრას უმა-
ტებს) რა სამწუხაროა?!..

კაცი – კი, მაგაშიც გეთანხმები!.. სამწუხა-
რო რეალობაა... ამიტომ, მოდი, რამე სასიამო-
ვნოზე ვიღაპარაკოთ...

ქალი – (უყურებს თვალებში დიდხანს)
იცი, რამდენჯერ წარმომიდგენია, რა მოხდე-
ბოდა უფრო ადრე რომ გამეცანი...

კაცი – (ღიმილით) რა? ხომ მაინც შემოგე-
ყარე ყივჩაღივით?

ქალი – არა, მართლა... რამდენი დრო
დავკარგეთ ფუჭად? ამაოდ? დრო... დაკარ-
გული დრო... ბედნიერების დრო... სასტიკი
დრო!..

კაცი – ჰოდა, მოდი ახლა მაინც ნუ
დავკარგავთ... (მკლავებში მოაქცევს, რომ აკო-
ცოს)

ქალი – არა... ახლა და ასე არა!..

კაცი – (გალიზიანებით) აბა როდის და
როგორ?

ქალი – არ ვიცი...

კაცი – ბავშვები ხომ არ ვართ?.. ბოლოს
და ბოლოს, ქმარი გყავს, ცოლი მყავს, შვილე-
ბი... პასუხისმგებლობები... პრობლემები...
ვდებთ საკუთარ გეგმებს... ვიპარავთ ცხ-
ოვრების პატარა მონაკვეთს... დროს!.. დროს
ვპარავთ საკუთარ თავს... გავურბივართ სა-
კუთარ პასუხისმგებლობებს... ხან იმ საკუთარ
თავსაც... მოვდივართ აქ და თინეიჯერების
ექსკურსიასავით ვაჯაზებთ რაღაცას...

ქალი – ნანობ?

კაცი – მერედა ვინ გითხრა, რომ ვნა-
ნობ?.. მე არაფერსაც არ ვნანობ... რას უნდა
ვნანობდე? რაც არ ყოფილა?!

ქალი – თუ ნანობ ჩვენს ურთიერთობას,
დავიშალოთ... „იყო და არა იყო რა!.“

კაცი – მაგრამ მე მოვედი და მგონი, სა-
მარჩიელო არაფერია!.. თანაც სოკოებზე...

ქალი – მოსვლას მაყვედრი?

კაცი – მართალია შენი ქმარი – არანორ-
მალურად აუტანელი ხარ!

ქალი – ყველა ქალი ხომ ერთნაირია!..





კაცი – ისევე როგორც ყველა კაცი!..

ქალი – და რა გსურთ კაცებს?. კარიერა? ოჯახი? სიყვარული? ფული? ...ბედნიერება? ...მერე და სად არის ეგ თქვენი ბედნიერება? ფაააა-ფუ!

კაცი – სხვათა შორის, ჩემისთანა კაცებს მცირედიც აბედნიერებს – მაგალითად, კარგი საფეხბურთო მატჩი ხარისხიან ტელევიზორში და პანია სასუსნავი – ლუდის ობოლი კათხა ერთი პეშვი მიწის თხილით...

ქალი – მშურს შენი!

კაცი – შენ წარმოიდგინე, ზოგჯერ მეც მშურს საკუთარი თავისი...

ქალი – და შენი ცოლი?

კაცი – რა ცოლი?

ქალი – რას ამბობს როცა შენ ამ მცირედით ბედნიერს გხედავს?

კაცი – მინდა გითხრა, 31 წლის ცოლქმარი ვართ და დღემდე ვერ ეგუება ჩემს სისუსტეებს... ნერვიულად იწყებს სახლის ლაგებას და სამზარეულოში ბდლვირს ადენს გასარეცხ ჯამ-ჭურჭელს...

ქალი – სისუსტეებს? ...და კიდევ რა სისუსტეები გაქვს?

კაცი – ოოოო, ეგ უნდა გამოიცნო! This is question-one million dollars!..

ქალი – სულაც არ მჭირდება გამოცნობა... ისეც ვიცი!

კაცი – მართლა? მაინც?

ქალი – გეშინია...

კაცი – მეშინია?

ქალი – ცუდად ვთქვი... კი არ გეშინია, უბრალოდ ზედმეტად ფრთხილი ხარ და პრაგმატული და გგონია, რომ შეგეჩვევი და მერე მოთხოვნილებად მექცევი და უჰაერობა მომკლავს...

კაცი – D' not worry and take life easy. Everything gonna be allright with us or without us.

ქალი – როგორ?

კაცი – ძალიან თავში ნუ აიგდებ, ძვირფასო, რამეთუ ყველაფერი მაინც ძალიან კარგად იქნება, ჩვენთან ერთად ან უჩვენოდ...

ქალი – ეგც ვიცი...

კაცი – ჰოდა, სწორედ მაგიტომაც...

ქალი – ხო, მიდი, დაასრულე!

კაცი – რატომ ართულებ?

ქალი – არ ვართულებ, უბრალოდ, „თუ გინდა არაფერი დასრულდეს, არც არაფერი არასოდეს უნდა დაიწყო!“...

კაცი – ეგ რაღაც ახალია...

ქალი – არა, პირიქით, ძალიან, აი, ძაან ძველია!...

კაცი – მოდი ჩემთან...

ქალი – არა, ჯერ მათქმევინე...

კაცი – რა, ალსარების სალამო გვაქვს, თუ რა ხდება?

ქალი – პირველად, როცა აქ, ამ ქოხში მოვხვდი, ვიფიქრე, რომ ჩემზე ილბლიანი ქალი დედამიწაზე არ დადიოდა... იცი, თავი ზღაპრის პერსონაჟი მეგონა და მარტო ერთს ვნატრობდი, რომ რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო ეს განცდა...

კაცი – შენ მუდამ ზედმეტად ემოციური იყავი, ჩემო კარგო...

ქალი – მერე დიდხანს ვცდილობდი გამეხსენებინა იმ პირველი შეხვედრის სალამო, მაგრამ ეტყობა ისე ვიყავი დაძაბული, ვერაფერი გავიხსენე რამდენიმე გაუთლელი ფრაზის გარდა...

კაცი – ბედნიერი ქალი ხარ!.. მე არაფერიც არ მახსოვს...

ქალი – რამდენიმე ლიმიტირებული ფრაზა საერთო მარაგიდან...

კაცი – სულ ტყუილად ცდილობ, ჩემს გრძნობათა სიმებზე ზემოქმედებას... ჩვენ ერთხელ უკვე შევთანხმდით და თავად შევქმნით თამაშის საერთო წესები...

ქალი – მართალია... თავად შევადგინეთ საკუთარი პროტოკოლი და ახლა თავად ვცდილობთ მის დარღვევას, როგორც დისიდენტები ებრძვიან სახელმწიფო მანქანას...

კაცი – ჰო, მე და შენ ნამდვილი დისიდენტები ვართ, იატაკებვეშეთიდან ვმოქმედებთ და ჩვენი საიდუმლო პაროლებიც გვაქვს: „თქვენსკენ გათოხნილია!“ – „არა, წვიმებმა შეგვიშალეს ხელი!“ (იცინის)

ქალი – იცი როგორ მშურს შენი?

კაცი – სახხელდობრრრ, რისი?

ქალი – ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერ დროს რომ შეგიძლია მსუბუქად შეხედო ამბებს...

კაცი – ნუ გავიწყდება, ჩემო მწვანებლუზა, რომ მე საქმარისად ვიცხოვრე ამ ქვეყნად და პირადი გამოცდილების საფუძველზე, შევძელი და ავწიე ჩემი რეაგირების და, შესაბამისად, დავწიე ეგრეთ წოდებული, „დაკიდების“ ზღურბლი. ამის ხარჯზე თითქმის ყოველთვის მშვენივრად ვარ. ისე ხანდახან „წნევები“ მანუხებს და ეგ არის.

ქალი – (იცინის) ისე მოსწრებულად მპასუხობ, მთლიანად განმაიარალებ...

კაცი – მე ფაციიფისტი ვარ მოწოდებით! ...ჰოდა, რას ვამბობ?.. კაი რა, ძლივს გამოვალნიერ და ვისაუბროთ რაიმე უფრო სასიამოვნოზე... მაგალითად?..

ქალი – მაგალითად?





კაცი – თუნდაც როგორ მოგენატრე... ან საერთოდ, მოგენატრე თუ არა? საშინალად მომშივდა... შენ არ გშია?.. (იღებს პურის ნაჭერს და ზეთისხილის ქილას თავს ხსნის და ერთ ლუკმად ყულაპავს ზეთისხილის მარცვალს) შენ მართალი ხარ... შავს მწვანე ზეთისხილი სჯობს!..

ქალი – შენ ხუმრობ, მავრამ მე მართლა მომენატრე... და საერთოდაც როცა ერთად ვართ, მაშინაც მენატრები... .

კაცი – ეგ ცოტა რთული გასაგებია ჩემისთანა არაპოეტური ნატურისათვის, მაგრამ... პრინციპში... შემიძლია გაგიგო, ოლონდ წმინდა ფილოსოფიურად...

ქალი – შენ არ იცი მთავარი...

კაცი – მთავარი? მოიცა, რაც აქამდე ითქვა, მეორეხარისხოვანი იყო? და არსებობს ჩვენს ურთიერთობაში მთავარი და მეორადი?.. ჩვენ ისე იშვიათად ვახერხებთ ასე განმარტოებას, ყველასა და ყველაფრისაგან გამოქცევას და დამალვას, მგონია, რომ ყველა წუთი და წამი მთავარია...

ქალი – დამპირდი, რომ მომისმენ და არ გამანყვეტინებ...

კაცი – (შემტბარი) ხომ იცი, რომ არ მიყვარს დაპირებები...

ქალი – ხო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არანაირ ჰასუხისმგებლობას არ გავალებს...

კაცი – მით უმეტეს...

ქალი – ისედაც მიჭირს დაწყება...

კაცი – სიმხნევისთვის დავლიოთ?

ქალი – სანამ მოხვიდოდი, გაციების შემებინდა და წინასწარ ცოტა დავლიე...

კაცი – არა, ერთად დალევას სულ სხვა ეში აქვს (ხსნის ბოთლს და კონიაკს ჭიქებში ასხამს) აბა, რას გაუმარჯოს?

ქალი – (მცირედი ყოყმანის შემდეგ) მოდი, ჩვენ არშემდგარ თანაცხოვრებას გაუმარჯოს!

კაცი – ოოოო, სულ მახეები გაქვს დამალული კარგი მონადირესავით... უკვე გითხარი – ცხოვრებას მარტივად შეხედე-თქო...

ქალი – სწორედ იმიტომ, რომ მარტივად შევხედე, გაუმარჯოს იმ წლებს, რომლებიც უერთმანეთოდ გაფრინდა... ზოგჯერ ვფიქრობ, ნეტა სულ არ გამეცანი...

კაცი – „კარგი იყო არ გამეცან თავიდან“... გაუმარჯოს! (წამლერებით, დუდუნით სვამს სულმოუთემელად) „ვის შევჩივლო რუსთაველი მკვდარია?!“...

ქალი – მე სულ ვიცოდი, რომ ადამიანები ამ ქვეყნად შემთხვევით არ ხვდებიან ერთმანეთს... მაშინაც ვიცოდი, როცა ამის შესახებ არაფერი მქონდა წაკითხული და განც-

დილი... სულ მქონდა შეგრძნება, რომ ჩვენი ბედისწერა სადღაც დიდ წიგნშია ჩაწერილი, როგორც ფილმის სცენარი და ჩვენ უბრალოდ, როგორც მსახიობები, ვასრულებთ ჩვენს როლებს...

კაცი – ცოტა ფილოსოფიურია, ცოტა მისტიურ-ეზოთერული და ვნება-შეპარულსე-ქსუალური... და ძალიან საინტერესო! (ხელმეორედ ისხამს კონიაკს) ...სხვათა შორის, მე ამ რეცეპტს ერთ წვეთ „პეპლის ეფექტსაც“ დავუმატებდი, როცა საჭირო დროს, საჭირო სივრცეში ორბიტები კვეთენ ერთმანეთს... მოდი, ახლა პერსონალურად შენ გაგიმარჯოს და იმ წერტილს მე და შენ რომ გადავიკვეთეთ!...

ქალი – (თითქოს არ უსმენს) მერე და მერე ბევრი რამ წავიკითხე და გავიგე და საბოლოოდ დაგრძელუნდი, რომ ჩვენ უპირობოდ უნდა შევხვედროდით... უბრალოდ, ცოტა დროში და სივრცეში ავცდით ერთმანეთს და არავინ იცის, ასე რომ არ მომხდარიყო, რაიქნებოდა...

კაცი – გინდა გითხრა, პოტენციური წარსული? (ქალი შეხედავს მდუმარედ)... არ გადავიკვეთებოდით... უბრალოდ, ასე პარალელურ ორბიტებზე ვიმოძრავებდით – შენ შენთვის, მე – ჩემთვის...

ქალი – როგორ?

კაცი – ნახე: ადამიანი ხომ „მუდმივა“ არაა... ის სულ იცვლება, იზრდება, ვითარდება, ყალიბდება... ახლა მე რომ მახსენდება, რა „სასტავი“ მომწონდა ხოლმე...

ქალი – გრცხვენია საკუთარი გემოვნების?

კაცი – არა, უბრალოდ, მეცინება... დედაჩემმა იცოდა ხოლმე თავის ქმარზე – ჯელობაში თოხის ტარზე რომ ნაჭერი ჩამოგეცვა, ქალი ეგონა და მისდევდაო... (ეცინება) აცხონოს უფალმა ორივე – მაგარი ხალხი იყო...

ქალი – ხო, სხვა ამტანობისა და გაგების... თან რა დროში იცხოვრეს?

კაცი – არა, მე არ მჯერა ამ თეორიის – დრო მუდამ დროა თავისი სირთულეებითა და სიკეთეებით და ადამიანი თავისი დროის პროდუქტია... იმათ თავიანთი ამბავი ჰქონდათ, ჩვენ – ჩვენი...

ქალი – მე მოვენონებოდი დედაშენს?

კაცი – ვიცი, შეიძლება გენების, მაგრამ ალბათ, უფრო – არა... როგორც ყველა ყვავს თავისი ბახალა მოსწონს და ქალბატონი ანეტას ღრმა რწმენით, ჩემი შესაფერისი ქვეყნად არ დადიოდა...

ქალი – სამწუხაროა... დედაჩემს მოეწონე-



ბოდი, რადგან ჩემი აზრი მისთვის უმთავრესი იყო...

კაცი – (ისხამს კონიაკს) ჰოდა, გაუმარჯოს ჩვენებს დედაშენის თამადობით... სადაც არიან და როგორც არიან!..

ქალი – (უხმოდ სვამს) უცნაური დრო იყო... მკაცრი და თან ადამიანური...

კაცი – არა, უფრო მარტივი და პროგნოზირებადი... წინასწარ განერილი საბანკო გეგმა-გრაფიკივით...

ქალი – გამოდის, რომ ჩვენ ამ შეხვედრით რაღაც დავანგრიეთ, ამოვატრიალეთ, წავშალეთ საყრდენი წერტილი...

კაცი – ჴო, მდინარის საწინააღმდეგოდ გავცურეთ... თან მაშველი რგოლის გარეშე... წასულებზე გაჩერება არ ვარგაო... ამიტომ ახლა მოდი ჩვენს საიდუმლო შტაბ-ბინას გაუმარჯოს თავისი ბინადრებით... სრული სიგიურა, მაგრამ აქ რომ მოვდივარ, წინასწარ თინერჯერივით ვლელავ... (ისხამს კონიაკს) ვერა და ვერ შევეგუე... არა, ვერა და ვერ გავიზარდე... თუმცა, მაგრად მომწონს ეს შეგრძნება...

ქალი – (ჭიქას გვერდზე სწევს) მე აღარ დამისხა... ისედაც მომეკიდა...

კაცი – მერე მაგას რა სჯობია?! ეხლა დაგათრობ და ყველა საიდუმლოს დაგტუშებ...

ქალი – (იცინის) და თუ საიდუმლო არ მაქვს?..

კაცი – ეგეთი ადამიანი არ არსებობს...

ქალი – მაშინ... დაე, გულახდილობის საღამო იყოს!.. დავიწყო?

კაცი – მიდი!.. ჯანი გავარდეს!.. მოიცა, ზარებს გადავამოწმებ, რომ უფრო გემრიელად მოგისმინო... (დასწოდება ტელეფონს და ამონტებს ეკრანზე შემოსულ შეტყობინებებს)

ქალი – აი, ჯერ არ დამიწყია და უკვე გამირბიხარ...

კაცი – არაფერსაც არ გაგირბივარ! უბრალოდ, ჩვენს ასაკში პასუხისმგებლობა ყველაზე უწინარესია, ამიტომ ამ სამყაროს კანონებით უნდა იცხოვოთ – სხვანაირად ვერ გაქაჩავ და მორჩა!..

ქალი – (აწყვეტინებს) რატომ გიყვარვარ, შეგიძლია, მითხრა?.. მე ხომ არც განსაკუთრებით ლამაზი ვარ, არც...

კაცი – კაცს უყვარს არა თვითონ ქალი, არამედ საკუთარი მდგომარეობა მასთან ერთად.

ქალი – ანუ „როგორც წესი ყოველი იდიოტის უკან დიდებული ქალი დაგას“...

კაცი – (სახეში შეპყურებს მდუმარედ დარწმუნებული ხარ?)



13

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ქალი – არა, ეს ჯონ ლენონმა თქვა... ან იოკომ მოიგონა და ჯონ ლენონს მიაკერა...

კაცი – ვერაფერს იტყვი, იოკო ონო მართლაც დიდებული ქალი გამოდგა... ნახე? (ტელეფონში მელოდიას ეძებს და ქალს ხელს უწვდის საცეკვაოდ... ისმის ბლუზის მელოდიური მუსიკა და წყვილი მის რიტმებში ნელ როკვას იწყებს) ...ამიტომ ნამდვილი ქალი, ეს სულაც არ არის ყველაზე ლამაზი, ან ყველაზე ჭიკიანი და არც ყველაზე წარმატებული. ნამდვილი ქალი ჩუქნის კაცს არა ჭკუას, არა სილამაზეს, არა სხეულს, არა წარმატებებს, არამედ მდგომარეობას. ამიტომ... ქალი რომელიც უქმნის კაცს განსაკუთრებულ მდგომარეობას – ყოველთვის ეყვარებათ. და ეს განსაკუთრებული მდგომარეობა კაცს მიიზიდავს, როგორც მაგნიტი, სამუდამოდ. ჩემი სიტყვები არ გეგონოს – მეც ალ პაჩინოს მოვპარე, თუმცა სრულიად ვეთანხმები... (ეხვევა და კოცნის... ერთხანს ასე ცეკვავენ ჩახვეულები, სანამ სატელეფონო ზარი არ წყვეტს მუსიკის რიტმებს)

კაცი – გისმენ... კი... ცოტა შემაგვიანდება... არა, არ დამელოდოთ, უჩემდივახშემეტი... საქმეა... რა მნიშვნელობა აქვს? რაღაც სასწრაფო... როდის აქეთია, ჩემი სამსახურის საქმეებით ინტერესდები? მაცდენ!.. გასაგებია!.. დაასრულე? ძალიან კარგი!..

ქალი – შენი ცოლია...

ოლქ. №4, 2021



კაცი – რა მნიშვნელობა აქვს?

ქალი – რადგან გეკითხები, ალბათ, აქვს...

კაცი – და რომ ჰქითხო, ვითომ არ ეჭვიანობს! (**დარჩენილ კონიაკს ბოთლით მოყუდებს**) რა მოიგონე კიდევ?..

ქალი – არ მოვიგონე... უბრალოდ, როცა ერთად ვართ, შენ მუდამ გირეკავენ, მე – არა-სოდეს...

კაცი – უბრალოდ, შენ ჩემზე მაგარი და ყოჩალი ხარ და საქმის უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ მოგვარების დიდოსტატი... (**ცდილობს მიიზიდოს და აკოცოს**)

ქალი – (თავს არიდებს) გადაწყვეტილება მივიღე...

კაცი – გადაწყვეტილებები სამსახურშიც მეყოფა... ყელამდე ვარ უკვე!

ქალი – რა უცებ ავარდი... ადრე ასე არ გემართებოდა!

კაცი – დაგავიწყდა გეთქვა „ფინთი გო-იმივით!“ რას ვიზამთ? – ასაკი თავისას შვრება!..

ქალი – ნუ წუნუნებ...

კაცი – მე არადროს ვწუნუნებ!.. უფრო მეტიც, მე მუდამ მივდივარ და ვიღებ მას, რაც მე მეცუთვნის...

ქალი – და თუ ეს ქურდობაა?

კაცი – მორალის კითხვისა და დიდაქტიკის ასაკიდან სწორედაც რომ კაი ხანია გამოვედი... რაო? რას ამბობდი, გადაწყვეტილება მივიღეო?

ქალი – ხო, გადავწყვიტე, პირველმა დავს ვა წერტილი...

კაცი – და მე არაფერს მეცუთხები?! თუმცა, შენ სულ მუდამ იყავი კორექტურის ლომი! გრამატიკა და პუნქტუაცია ხო შენი სტიქია?!. მაგრამ გავიწყდება, რომ არსებობს „ორნერტილი“... „მრავალნერტილი“, „ფრჩხილები“, „ბრჭყალები“ და კატეგორია „მრავლობითი რიცხვი“ და „შერისდებული“, რომელიც ისე ცვლის კონტექსტს, შენი მოწოდებული...

ქალი – დავიღალე...

კაცი – დაიღალე? და რამ დაგლალა, ხომ ვერ მეტყვი, შემთხვევით?!

ქალი – ქურდის ტყავში ცხოვრებამ...

კაცი – ახლა, არა?! ამდენი წლის შემდეგ... დიუმას თემაა რა! – 10 წლის შემდეგ! 20 წლის შემდეგ... ვიკონტი...

ქალი – ვეღარ ვქაჩავ...

კაცი – და ესაა სულ, რაც შეგიძლია მითხრა?

ქალი – თუ დამაცდი...

კაცი – რატომაც არა?! — „Why not?!” – ბრძანე, პირობას ვდებ, ყურადღებით მოგისმენ...

ქალი – აკი არ მიყვარს, პირობების მიცემაო?!

კაცი – ახლა მთლად საფლავში ნუ ჩამომყები!..

ქალი – მომშივდა და შემცივდა!.. (**ბოთლს გაჟყურებს**) სულ დალიე?..

კაცი – ხო, შემომეწრუპა...

ქალი – უნდა მქონდეს კიდევ (ცოტაოდენი. (**ილებს ჩანთიდან მათარას და სვამს**) ჩემები ბრაზობენ, როცა ვსვამ...)

კაცი – არც ჩემი ცოლი ეცემა ჩემს ალკოტრენინგებზე...

ქალი – მაგრად გაუგებდნენ ერთმანეთს! (**იციის**) როგორ თქვი ალკოტრენინგი?! უნდა დავიმახსოვრო – მაგარი სიტყვა!

კაცი – ამაზე სასაუბროდ ვართ აქ, მე და შენ... ამ წვიმაში და ჯანდაბაში, რომ ვარჩიოთ ვისი...

ქალი – (**ხელისგულით აჩუმებს**) არ გინდა ასე უხეშად...

კაცი – არა, აუტანელი ქალი ხარ!.. აბსოლუტურად აუტანელი!..

ქალი – ჰოდა, უნდა გაგათავისუფლო!..

კაცი – ეგებ არ მჭირდება თავისუფლება...

ქალი – გჭირდება! მე ვიცი...

კაცი – ხო, შენ მუდამ ყველაფერი იციდა, საერთოდაც, ქალებს ხომ ფანტასტიკური ინტუიცია გაქვთ!.. მხოლოდ ვერ გავიგე, სად დააგროვეთ ამდენი არქეტიპი... სტერეოტიპი... ამდენი სიბრძნე...

ქალი – ვიცი, რადგან როცა ურთიერთობა რუტინის ნაწილი ხდება უნდა დასვა წერტილი და გზა განაგრძო...

კაცი – ასე მარტივია? დასვა წერტილი!.. თუ ასეთი იოლია ეს ყველაფერი, ამის თქმატელეფონითაც შეგეძლო!.. რა საჭირო იყო აქ, ამ თავსხმაში „რამანწიკა“...

ქალი – მაპატიი, თუ საყვარელ ფეხბურთს მოგწყვიტე!..

კაცი – შენ რა ჩემი ცოლივით მელაპარაკები?!..

ქალი – ეს პირველად მესმის შენგან...

კაცი – მაიძულე და წამომცდა...

ქალი – შენ, არაპოეტური, ამას ვერ მიხვდები...

კაცი – ხო, მე ხომ კრეატივი მაკლია... ამიხსენი, ბატონო, ეგება გამეხსნას ეს მესამე თვალი კეფაზე და ამ ვარსკვლავებიანი ცის მუღამს მაინც მივხვდე, რაკი მორალურ კანონს ვერ ჩასწვდა ჩემი ინტელექტი...

ქალი – მე ზედმეტად მიყვარხარ იმისათვის, რომ დაგტანჯო... ესაა და ეს!..



კაცი – და რაზე შემატყვე ეს ტანჯულობა: ხმაზე, ქცევაზე თუ პაუზებზე... რაც შეეხება პიროვნულ well-being-ს, მემ, რა გეს-წავლებათ, რომ ყველას თავისი ჯოჯოხეთი აქვს. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ გოგირდის კონცენტრაცია და კუპრის ტემპერატურა. სწორედ ეს იძლევა მცირე სენსორულ განსხვავებას პიროვნების მიერ რეალობის აღქმისას.

ქალი – „ჩვენი შეცდომები ეს ცხოვრების სასვენი ნიშნებია, ურომლისოდაც ცხოვრების წიგნის ტექსტი აზრს დაკარგავდა“....

კაცი – უმბერტო ეკო?

ქალი – მურაკამი...

კაცი – მაინც კარგია!...

ქალი – ჰოდა, ბოლომდე კარგი რომ იყოს, მე გიშვებ ჩემი ცხოვრებიდან თავისუფლებაზე...

კაცი – მე ვიცი, უყურადლებო ვარ... გულმავიწყი... დაუდევარი... ზოგჯერ გამაღიზიანებელი... უცოდველი ბატქანი ვარ-თქო არც არასდროს მითქვამს...

ქალი – ნუ იქნებით ძალიან მომთხოვნი საყვარელი ადამიანის მიმართ. თუ ფიქრობთ, რომ საქმარის დროს არ უთმობს თქვენს ურთიერთობას, გაიხსენეთ, როგორი დაკავებული გრაფიკი აქვს და მიხვდებით, რომ ამას განზრას სულაც არ აკეთებს.

კაცი – კოელიო?

ქალი – მიშა ცაგარელი...

კაცი – ვარსკვლავები მუდამ ჩემი სუსტი წერტილი იყო...

ქალი – ვიცი, ციფრებია შენი სტიქია...

კაცი – ასეთია ფინანსისტის ბედი!..

ქალი – რა ქნას, როცა გონების ნაცვლად სალარო აქვს და გულის ნაცვლად – ფინანსური ანგარიში...

კაცი – ახლა ერთბაშად მიხდი მრავალნის საფინალო სამაგიეროს?..

ქალი – პირიქით – თავისუფლებას განიჭებ!

კაცი – მკითხე – მინდა ეს ჯადოსნური განძი?

ქალი – თავისუფლება ყველას უნდა, უბრალოდ, ნაკლებად აცნობიერებენ ადამიანები....

კაცი – დასტაევსკი?

ქალი – არა, ანდრო დგებუაძე...

კაცი – თითს ვკაკვავ შენი ინფორმირებულობის წინაშე... რაც მთავარია, ამ ინფორმაციას ოპერატორულ მეხსიერებაში ინახავ და ნებისმიერ მომენტში ამონევ... მქუხარე აპლოდისმენტები...

ქალი – მადლობთ!.. არადროს მქონია ამის განსაკუთრებული ამბიცია...

კაცი – და მაინც, ქალებს გიყვართ როცა ყველთვის ყველაფერი იცით: ვინ? სად? ვისთან? რამდენჯერ...

ქალი – კაცებიც კაი ჭორიკნები ხართ – ნუ გეშინია!..

კაცი – ვიჩეუბოთ?

ქალი – არც ვაპირებ...

კაცი – არც მე... ისედაც საგიუეთი მქონდა დღეს... სულ გამომწოვეს მთელი ენერგია... მტკერსასრუტივით...

ქალი – ჰოდა დავლიოთ! დავთვრეთ და... დავშორდეთ!...

(რეკავს კაცის მობილური)

კაცი – (დაჟყურებს ეკრანს) მაპატიე... უნდა ვუპასუხო... (კაცი იღებს მობილურს და ქოხის პარმალზე ემოციური საუბრით სცემს ბოლთას)

ქალი – ესეც ასე! (სუფრიდან ნარჩენებს ქალალდის პარტი ყრის და შუაცეცხლს წყალს ასხამს) Finita la komedia!

კაცი – (შემობრუნდება) აბა? რაზე გავჩერდით?..

ქალი – განშორებაზე... (ისმის გრგვინვა და ისევ ნათდება ქოხი)

კაცი – ერთი მაგარი პოსტი წავიკითხე იმ დღეს: თურმე ახალ გვინეაში, რომელიღაც კუნძულზე, რომელიღაცა ეროტიული მცენარის ყვავილობისას ოჯახურ წყვილებს ერთი ღამით სხვა პარტნიორის არჩევის უფლება აქვთ, მოგვიანებით კი ამ ღამის შთაბეჭდილებებს ერთმანეთს უზიარებენ... აზრზე ხარჩენთან რო ეგეთი ადათი იყოს, რა მოხდებოდა?

ქალი – (იცინის) კიდევ კარგი, თორემ...

კაცი – (ეხვევა) თორემ რა?

ქალი – არაფერი!..

კაცი – მაინც?

ქალი – გადარჩენილები ვართ!..

კაცი – ჰო... მაგაში გეთანხმები!.. ადრე თუ გვიან შეგვძულდებოდა ერთმანეთი...

ქალი – შეგვძულდებოდა?

კაცი – არა, მთლად შეძულებით შეიძლება არა, მაგრამ აუცილებლად დავშორდებოდით...

ქალი – აბა რატომ გიკვირს, რომ გათავისუფლებ?..

კაცი – მე მგონი სიძულვილსა და თავისუფლებას შორის დიდი განსხვავებაა...

ქალი – გააჩნია რა შემთხვევაში... თუმცა, მართალი ხარ!.. აქ სიძულვილი არაფერ შუაშია... სწორედ იმიტომ, რომ არ მინდა შეგიძულო, გათავისუფლებ... (თითს აბჯენს მკერდზე,



კაცი იღებს მის ხელს და ხელისგულზე კოცნის
კაცი – რა ცივი თითები გაქვს... მიდი,
 კიდევ დალიე, თორემ გაცივდები...

ქალი – ნახე, სადღაც ამოვიკითხე: (მობი-
 ლურის ეკრანიდან უკითხავს ტექსტი)

„რად გვინდა მამაკაცები?.. მათ აქვთ თბი-
 ლი ხელისგულები, ჩვენ კი – ცივი თითები...

მათ აქვთ პრინციპები... უუხ, რა მკაცრი
 პრინციპები?!.

სიმაღლეში ჩვენზე მაღლები ხან არიან და
 ხანაც არა, და მაინც, ყოველთვის შეუძლიათ
 ჩამოგვილონ სტელაჟის ზედა თაროდან სა-
 სურველი წიგნი...

როცა ამბობენ „მე შენ მიყვარხარ“, პე-
 პელები იწყებენ ფარფატს თავში, გულში, მუ-
 ცელში და ვგრძნობთ, რომ ცხოვრება მშვენ-
 ირია...

ყველაფერს გვპატიობენ, მიუხედავად
 იმისა, რომ ჩვენ მათ არაფერს ვპატიობთ...

ისინი ჩუმად არიან, როდესაც ჩვენ სი-
 სულელებს ვამბობთ, თუმცა როცა ჭკვი-
 ანურს ვამბობთ, მაშინაც სდუმან...

ისინი ვერ ამჩნევენ გაფუჭებულ მაკიაჟს,
 თვალწასულ წინდას, გადაცლილ მანიკიურს...

ისინი ფიქრობენ, რომ არის რაღაცები,
 რასაც ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ ამ
 დროს ჩვენ მაინც ყველაფერს ვიგებთ...

ისინი გვიწვდიან ხელს და ამბობენ, „რა
 პრობლემაა?!“ და პრობლემაც ქრება...

ისინი მიდიან მაღაზიაში, როცა წვიმს...
 ისინი მიდიან ომში, როცა ომია.

მათ შეუძლიათ მარტივად აღიარონ ის,
 რომ მათი ცხოვრების ერთადერთი მიზანია
 ჩვენთან დაწოლა... მათ უყვართ ჩვენი ხმა
 და არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ხმით
 რას ვამბობთ... ისინი ჩუმად არიან როცა ჩვენ
 ვყვირით... ისინი ანგარიშობენ ჩვენზე უფრო
 სწრაფად. ფაქტია!.. ისინი აკეთებენ იმას, რი-
 თაც ჩვენ ვამაყობთ.

ისინი გვკოცნიან შუბლზე, როცა არ შეუ-
 ძლიათ დარჩენა. როცა ისინი მიდიან, ჩვენ
 ვრჩებით...“

კაცი – უცნაური ქალი ხარ... ამდენ სი-
 ტყვებში მთავარს არადროს ამბობ...

ქალი – მაინც რას?

კაცი – ელემენტარულს – რომ გიყვარ-
 ვარ...

ქალი – სიყვარული ვერადროს იქნება
 ელემენტარული... მე გათავისუფლებ – აი რა
 არის ელემენტარული...

კაცი – როგორც ჩანს, შენ დღეს ცუდ

ფეხზე ადექი... არ უნდა დაგვეთქვა ეს პაე-
 მანი...

ქალი – შეგიძლია წახვიდე – წლიური
 ბალანსი გექნება დასათვლელი...

კაცი – დამცინი... ყველაფერი დღესავით
 ნათელია... წავალ, მაგრამ ინახებ ამ დღეს!

ქალი – დაიხსომე – მე არადროს ვცრუობ
 და არადროს ვნანობ (ისმის გამაყრუებე-
 ლი გრუხუნი და მების ჩამოვარდნის ხმა...
 ლია კარიდან შემოდის მანათობელი ბურთი
 და გარს უვლის წყვილს, ქალი თითქოს მედ-
 იტაციაში ვარდება, ჯერ ირინდება, მერე ჩან-
 თიდან იღებს მომცრო ზომის დანას და შლის,
 კაცი ირინდება და შეშდება, მერე ნელ-ნელა
 ანგარიშგაუწევლად უახლოვდება ქალს და
 დანის წვერს (ნამოებება) აი, ასე! არ არსებო-
 ბენ კარგი გოგონები, რომლებიც გაფუჭდნენ
 – არსებობენ ცუდი გოგონები, რომლებმაც
 თავი გამოავლინეს. (გაოგნებული ქალი სოკოს
 ჯოხ-შამფურს ცეცხლს უკიდებს და მანათობე-
 ლი ბურთისკენ მიმართავს, ალი მომენტალუ-
 რად ედება ჭერსა და კედლებს) არადა... რეალ-
 ურად კაცს სჭირდება ორი რამ: საშიშროება
 და სათამაშო. სწორედ ამიტომ ირჩევს ქალს.
 (კაცის უსულო სხეულს გვერდზე გადაჩრიჩებს
 და იქვე ყურთან ჩასჩურჩულებს) ცეცხლი მა-
 მაკაცის აღმოჩენილია, ცეცხლთან თამაში –
 ქალის... (დანას ისვამს მაჯაზე და კაცის გვერ-
 დით იმუხლებს) მე მიყვარს ჩემი საბრალო
 მტრები – მხიარული ცელქობის ხასიათზე
 მაყენებენ მუდამ და მეტ თავდაჯერებულო-
 ბას სძენენ ჩემს სიამრთლეს... ასეთ დროს
 სისხლის სუნი მცემს, პრეისტორიული წინა-
 პრის, მიძინებული ავანტურისტის სული იღ-
 ვიძებს ჩემში და მზად ვარ, როგორც მამა-
 ცი მონადირე ჯიმ კორბეტი თვით კუმანის
 კაციჭამიაზე გავიდე სანადიროდ... იცი, იმ
 დღეს სადღაც ამოვიკითხე და ძალიან მომე-
 ნონა: „ყველა, ვინც მოკვდა, სიცოცხლეს სას-
 წაულით გადაურჩა“... მაპეტუდ დარვიში... ხო,
 მაგარია!.. დიას, ბავშვობისას ხელს რომ
 გავიჭრიდი ან მუხლს გადავიფცევნიდ წაქე-
 ვისას, მეუბნებოდნენ, ქორწილამდე დაგავი-
 წყდებაო... სისულელეა... მათ უბრალოდ არ
 იცოდნენ, რომ ეს მამაკაცები ივიწყებენ, მა-
 გრამ არასოდეს პატიობენ... ქალი... ქალი პა-
 ტიობს... მაგრამ არასოდეს ივიწყებს... (თავს
 ადებს მკერდთან და მორჩილად ელის როდის
 მისწვდება ცეცხლის ალი მათ სხეულებს...)

დასასრული



ელგუჯა ციგროვანი

გამარჯო ყივის!

ხშირად გვეონია, რომ პეტრესთვის ყივის მამალი, მარტო სხვა არის ცოდვილი და ქვეყნის ამკლები, სინდისის ფრთხებით დაგვიფართვატებს აზრი ფრთამალი, არც შენა ხარო, ცოდვის ქმნაში სხვაზე ნაკლები.

ບອກ ບອກ!

სად ხარ უფალო?! შიში მაქვს დიდი,
არ შემიძლია მეტის ატანა...
ხშირად უკერცხლოდ, სულ მუქთად გყიდი,
ვშიშობ, ჩიმშიაკ შეიძვრა სატანა.

აღარც კი ვიცი, სად ცხოვრობ ახლა,
გამიჭირდა და... გახსენე, ღმერთო!
თან სირცხვილისგან თავს ვერ ვწევ მაღლა,
ვშიშობ, შენს მზერას არ შევიცეთო!

ზუსტად არავის მიცეცი ხურდა
და მონაგები მიწაში ვმალე...
დღევანდელი დღით ცხოვრება მსურდა
და... დამაკინყოდა, რომ მოგა ხეალე!

თუმც ვიცი, მოვა... ისე ვფართხალებ,
გადმოვარდნილი ვით ბარტყი ბუდით,
ბერვის ხიდის წინ ვდგავარ, ვკანკალებ,
(კოლებით ნახევრად აესილი გუდით!

କେତେ ବାର ଯୁଦ୍ଧରୂପ?! ଶିଳ୍ପ ମନ୍ତ୍ରକ ଫିଲ୍ଡର,
ଏହି ଶୈଖିନ୍ଦ୍ରିୟ ମେଘିର କରନ୍ତା...
ବଶିରାତ୍ର ଯୁଗରୁଥିଲୁଣାତ୍ର, କୁଳ ମଧ୍ୟରେ ଘୁଣିଣ୍ଠ,
ପ୍ରଶିଖିରେ, ହୀମିଶିରାର ଶୈଖିନ୍ଦ୍ରିୟ କରନ୍ତା.

အောင်ရှု ပါ ပြုရ, အေဒ ရွှေခြားရှု အောင်,
ဂုဏ်ပိုင်စွာ ဖူ... ဂျောက်နှု, ဥမ္မားကြေ!
အင် အောင်ရွှေခြားရှု အင် အောင် ဖျော် ဒုၢ်ၢ် မာလုံး၊
ဒုၢ်ၢ် အင် မြောက်တဲ့ အင် မြောက်ဖျော်!

୬୦ ଶିକ୍ଷାପଦ୍ଧତିରେ



გვიანდა არის დრო თითზე კბენის,
ზედ გავლა უნდა, ხიდი ხიდია...
პეტრისაა თუ ცირკის არენის,
მაინც უფლს კრულის თავზე ჰერია!

ՅՈՒ, ՅՈՒ ՀԱՑՈՒՅԹԱ?

თოთქოს ჩამომგლივეს გულზე ხატი,
მთებმა გააზარა გმინვის ეხო...
მეგონა, წაბორძიკდა თვით ატლანტი,
კის თალი მიწაზე ჩამოგმხო.

ტრფობას გულში ჩუმად ვაყვავებდი,
ვინ, ვინ გაგიძედა ხელის თხოვა...
ელდამ გადამისხსნა თითქოს მკერდი
და ზედ ყვავილებზე დამათოვა.

ნეტავი თქმა მაინც გამებედა,
სულ ნატვრის ფერის გადარებდი,
შენ ხომ... თუნდაც ერთხელ შეგეხედა,
თავად ამზრსაც კი გადარევდი.

იყავ მშვენიერი და წარმტაცი,
მიტომაც თავი ვერ გაგიტოლე...
ბედოოლ... რატომ ხელი არა გტაცე,
როცა ასე ახლოს ჩამიქროლე?

መግለጫ?

შემომესია კითხვები: „რატომ?“
თავ-თავის პასუხს მოელის ყველა...
რა შემიძლია გავაწყო მარტომ,
უთალო, შენგან მჭირდება შევება.

შენ ხომ იცოდი კაცთა ავი ზნე,
გული ბოროტი და შური შავი...
რად გახდი ნებით ჩვენი სამიზნე,
რატომ გადასძე ხალხისთვის თავი?





არ გავიმეტეთ გული საყანედ,
სიყვარულის თესლს სთესავდი როცა,
მსაჯულად გექცა ბრძო მოყაყანე,
ერთგულების წილ... იუდას კოცნა.

არ მოგექეცით რიდით და კრძალვით,
გაგხადეთ ღირსი გვემის და ფურთხის...
პოროგს სუყველა გვერდს უვლის მალვით,
კეთილს? წესია, არავინ უფრთხის.

18
ბრძებს ვინაც მადლით უხელდი თვალებს,
თავზე დაგადგით გვირგვინი ეკლის...
„რატომ?“ ეს კითხვა მტანჯავს, მაწვალებს,
პასუხი არ მაქვს და სუნთქვა მეკვრის.

ჩვენ ხომ შენდობის ღირსებიც არ ვართ,
და ერთურთს ვერცხლზე დღემდისა ვყიდით...
საოცარია: რატომ გიყვარვართ?
შენ მადლს გვითესდი, ჩვენ ცოდვას ვმკიდით!

ხომ მოხვალ?

დღეები უშენოდ გადიან და...
ვერ ვნახე მე მყუდრო სამლოცველო,
ეს გულიც სულ დამიდარდიანდა,
ხომ მოხვალ, გულს დარდის გადამყრელო?

ნეტავ დრო უულმა დააბრუნა,
ის გზები თავიდან გაგვატარა...
როგორ გიხდებოდა ჩემზე ზრუნვა,
რა დიდი იყავ და... რა პატარა.

უკვე ამერია ანგარიში,
ვატყობ, განახევრდა სულში ძალა...
მერე ალარ შველის ვაი-ვიში,
თუ კაცმა გზა სწორად ვერ გაკვალა.

წაუკითხავ წიგნს ჰეგავს ის დღეები,
ბედმა უჩვენოდ რომ გადაშალა...
მე ისევ ჯიუტად გელოდები,
სადა ხარ, ჩემო ლამაზთვალა?!

დღეები უშენოდ გადიან და...
ვერ ვნახე მე მყუდრო სამლოცველო,
ეს გულიც სულ დამიდარდიანდა,
ხომ მოხვალ, გულს დარდის გადამყრელო?

P.S.
ხომ მოხვალ?
მოხვალ! მოხვალ!

წუთისოფელი

წუთისოფელი, როგორც აფთარი,
ნაიარევებს მიტოვებს ულევს...
მე კი ჯიუტად, ზაფხულ-ზამთარი,
მურა ძალლივით ვილოკავ წყლულებს.

მადლობა, უფალს, არსება ჩემი,
კვლავ გეტრფის როგორც იდუმალ მუზას...
ვით ხეტიალით დალლილი გემი,
მოვალ და შენთან ჩავუშვებ ღუზას!

იქ ქვიშის მშერფა...

ბრუნავს საწუთო, როგორც წესია,
თან-თან მაღლდება დროის კედელი...
მოგონებები შემომესია,
მარად ანცი და უბერებელი!

ვიყავი ზღვაზე... მოთენთილ მზერით
ჰორიზონტამდის ვუსვამდი მკლაურს
და მზის პალიტრა, ათასგვარ ფერით,
შეზავებოდა ტალღების ხმაურს.

უცებ... ჩემს ახლოს გაჩერდა ქალი,
ტანად ვით ალვა და კვიპაროსი...
ისე ლამაზი, როგორც მზისთვალი,
როგორც ფერია სხვა სამყაროსი.

შემოიძარცვა სამოსი კრთომით,
ყველა ვუცერდით პირდაფჩენილი...
და იდგა, როგორც ხე შემოდგომით,
ტანზე სამ ფოთოლ შემორჩენილი!

მიხვდა, ვინაც რა ცეცხლით იწვოდა,
ყველას შეგვიცსო თვალის ფიალა...
თავის გარშემო, კარგად იცოდა,
რა კარუსელიც დაატრიალა!

ილიმებოდა თბილად ზაფხული...
შევიდა წყალში, კისკისით, თრთოლით
და ჩემი მზერა, ტანზე აკრული,
თან შეჰყვა, როგორც მაშველი რგოლი!

ზღვიდან დაბრუნდა ისე ამაყად,
თვით აფრტოდიტე მეორედ იშვა...
ტანზე მზის სხივი ედგა ვარაყად,
მშიერი თვალით უმზერდა ქვიშა.

გაწვა ქვიშაზე მბზინავი თმებით...
ტანში სამყაროს დატევა სურდა...
ღმერთო, შემინდე! ვცოდე ფიქრებით,
რაზედაც იწვა, იმ ქვიშის მშურდა!

მას შემდეგ ბევრი ლამაზი დღეა,
ცხელი ზაფხულიც ბევრი მოსულა,
ის დღემდე ჩემი თვალების ტყვეა,
ამ თვალებიდან არ გამოსულა!



წარსული კივის!

ზაფხულის ღამე და მთვარე
მცხრალი,
ფრუტუნა ცხენი, თავისი კვიცით...
მე დღესაც მახსოვს მაცდური
ხალი,
ხალი, რომელიც მე და შენ ვიცით.

ჩვენთვის მღეროდა ანცი ჭრიჭინა,
ციცინათელა სანთელად გვენთო...
დრომ მოგონება ვერ მიაძინა,
მრავალთა შორის, ყოველთვის
ერთო.

ტუჩებს საკოცნად ეძებდნენ თმები,
იდგა სურნელი შემშრალი თივის;
ხსოვნას და გრძნობას ჰქონია ხმები:
წარსული კივის!
წარსული კივის!

კიდევაც ბევრი ჩაივლის წყალი,
გაჯერებული აღთქმით და ფიცით...
საკოცნად მინვევს მაცდური ხალი,
ხალი, რომელიც მარტო ჩვენ ვიცით.



ალგუა
ციბროშვილი

შენ ქალი ხარ და ქალობა გშვენის...
გვაძგერებ თვალთა ალესილ ლახვარს
და შენი სიტყვა, ვით განაჩენი,
ბედისნერისას მოჰვავს კელაპტარს.

მე იქნებ გიძლვნა უბრალო ბროში,
სხვამ ყელსაბამი, ძმნის ან ქარვის;
მაგრამ იცოდე, ამ სამყაროში,
ჩემზე ძლიერად უყვარხარ არვის!

კოწენებს მოვიჩრავდი...

19



გადამიკითხავს ძველი მითები,
სამყაროს ბედის კანონი მართავს:
მინოტავრისკენ მიდის თეზევსი,
არიადნე კი თავის ძაფს ართავს...

მეც გადავლახე მთები და ზღვები,
ვეხეტებოდი ალთას თუ ბალთას;
მაგრამ... თუ შენთან მომიყვანს გზები,
თავსასთუმალად თუ მომცემ კალთას...

დაგიკოცნიდი მაგ ნუკრის თვალებს,
ერთად გავტეხდით დეკემბრის ლამეს,
შემოგინთებდი მგზნებარე აღებს,
მარადისობად გიქცევდი წამებს.

თვალებს შენს მკერდზე მოვაძოვებდი,
ბევრიც გეცადა, ვერ დაჰუარავდი
...და შენი ტუჩის ნაპრალებიდან,
დილამდე კოცნებს მოვიპარავდი!

* * *

შენ გაგიმარჯოს, პატარა ქალი,
სულო სპეტაკო, ბროლო სხეულო...
ნიბლიასავით ჩემთვის რომ ჰგალობ,
გულო, ბაჯალლო ოქროდ ქცეულო!
ჭირში და ლხინში, იმედად მყოფო,
მრავალთა გვერდით, – მაინც ეულო,
ქართული ცის და მინის ნაყოფო,
მედეასავით ბრძენო, გრძნეულო!
მამულისათვის გულანთებულო,
მასზე ფერით და დარდით სნეულო,
ჩემო აწმყოვ და ჩემო წარსულო, –
ჩემი ლექსების მუზად ქცეულო!
სიცოცხლის წყაროვ, ვარდის ფურცლებზე,
დილის ცვარ-ნამად მიმობნეულო,
ხვალის იმედად, ცხოვრების გზაზე, –
თავად უფლისაგან გამორჩეულო!
ჩვენი გულების გამხარებელო,
ჭირთა დათმენას მარად ჩვეულო,
ძე ღვთისას ხელით მატარებელო
და სულიწმიდის მადლით კმეულო!

მე თვითონ ვირჩევ

იქნებ ისეთი სულაც არა ვარ,
შენს ოცნებებში როგორიც ვიშვი,
მე მაინც შევყეფ გრძნობის ქარავანს
და... გულით დამაქვს ფინიას შიში.

წუთისოფელი თავის გზით მიდის,
ჩემი ხმა იქნებ არც ესმის არვის...
არ ვარ ამგები კოშების დიდის,
არც ბროლისა და არც კიდევ ქარვის.

დიოგენივით კასრის წინ მჯდომი,
თავს არვის ვაჭვევ ჩემს აპათიებს...
მაგრამ ჩადგომას, მზეს და ჩემს შორის,
იმპერატორსაც არ ვაპატიებ.

ცხოვრება უფლის განაჩენია
და არა მინდა მე საზიარო...
რადგან ჩემი გზა მხოლოდ ჩემია,
მე თვითონ ვირჩევ, ვისთან ვიარო!

მაგრამ იქოდე!

შენ ქალი ხარ და ქალობა გშვენის,
ქალური კდემა, ქალური რიდი,
შენა ხარ მუხტი ზღვა აღმაფრენის,
გულიდან გულში, იმედის ხიდი.

ოლქ. №4, 2021



დაბამული, შეძინებული და გულატკორიერული მიწეროდა გზაზე, რომელიც წლების მანძილზე წევრულ ჰქონდა გავლილი და რომელიც არასდროს ყოფილა ასეთი უსასრულო და მიუსაფარი. უნერლიერ კუნება აღმოხვდა. ხელები მომაშენა და ყელში დაგროვილი წრილი ჩაკრიად.

ლ. 8563950



၅၁၃
မာနဒေသ

Il est où le Bonheur

სად არის პედიკორება

(ოთმანი)

ପ୍ରାମିକିତା

კვრიფე მანანის კონები წყებად
და შემოდგომაც გარდაიცვალა
ამ ქვეყნად აღარ შევხვდებით მეტად
ირგვლივ მანანის სურნელი დგება
გახსოვდეს გელი მუდამ და მარად
გიომო აპოლინერი*

L'Adieu

J'ai cueilli ce brin de bruyère
L'automne est morte souviens-t'en
Nous ne nous verrons plus sur terre
Odeur du temps brin de bruyère
Et souviens-toi que je t'attends

Guillaume Apollinaire

მელანი გაჩერებაზე იდგა და ავტობუსს ელოდა. ჰერი უცნაურად ჩამოხუთულიყო. უეცრად მხარზე შეხება იგრძნო. მოტრიალდა. ქალი, რომელსაც მხრებამდე გამლილ ჭალარა თმაზე ფერადი ლენტები დაეპნია, რაღაცას უჩვენებდა. თვალი მის ხელს გააყოლა... მზის შუქზე ოქროსფრად გაბრწყინებულ ეტლში რაბინი იჯდა. ხელში იუდაიზმის უძველესი სიმბოლო – შვიდტოტა მენორა ეჭირა. მელანი ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა ეტლში. იქვე, სავარძელზე, თაღმუდი შენიშნა. ზედ იქნის კონა იდო. რაბინმა, რომელსაც შავი ხავერდის კიბადა** თეთრი თმა მოუჩანდა და წვერ-ულვაშიც გადათეთრებოდა, თავზე მოსახვევი მოახვია. მელანიმ იქნის აღება დააპირა, მაგრამ უეცრად იქმზე სანთლები აინთო. შეშინებულმა ხელი უ ჯავა წაიორ. უტორი გაჩერება,

თაბინმა თავსაბურავი ფრთხილად მოხსნა და ხელში
იყბის ის კონა ჩაუდო, წელან რომ სანთლები ენთო.
იყბი ლურჯად ხასხასებდნენ. ქალმა მადლობის ნიშ-
ნად თავი დაუკრა. ეტლიდან ჩამოსულმა, უცნაური
მგზავრობის ნააღრევად დასრულების გამო ნაწ-
ყენმა ნინ გაიხედა. გზის იქით ელიასი იდგა. მელანი
მიხვდა, რომ მას ელოდა. მზე ჩადიოდა. დაისის
ულამაზესი ფერები ერთმანეთში შეუზავებლად,
ნელა და თანმიმდევრობით ერწყმოდნენ პნელს...
მის ხელებში გამომწყვდეული იები უსწრაფესად
ჭერებოდნენ და დერებად ცვიოდნენ ძირს. ელიასმა
თავი დახარა, ძალაგამოცლილმა მელანიმ ჩაიმუხ-
ოა.

— ელიას, შემომხედე! — ცდილობდა ეყვირა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა. ელიასი მცირე ხანს კიდევ ითვა, მირე შეძრუნდა და წავიდა.

- ელიას... - მელანი ძირს დაცემული უხმოდ აქვთინიდა...

ოფლში გაღვრილს გამოეღვიძა. გული აჩქა-
რებით უცემდა. სახე ცრემლებით დასველებოდა.
სუნთქვა უჯირდა. წამოდგა. კედელ-კედელ ხელის
ცეცებით გავიდა სამზარეულოში. ჟალუზი სანახ-
ევროდ გახსნა. გარედან შემოსულმა სინათლე
ოთახი გაანათა. სკამზე ჩამომჯდარმა დალია წყა-
ლი. თვალები ესუჭებოდა, თითქოს ისევ სიზმარში
უნდოდა დაბრუნება... ერთხანს ასე იჯდა გარინ-
დებული. ცოტა რომ დამშვიდდა, მობილური ჩარ-
თო. დილის შვიდი საათი იყო. ელიას ერთი საათის
წინ გამოეგზავნა შეტყობინება:

„ეს მგონი უკვე დასასრულია... მიყვარდი და
მეყვარები... იქან...“

აფორიაქედა. სასწრაფოდ გადარეკა. მის უწყვეტ ზარებს არავინ პასუხობდა, უჩია ნასულიყო.

...საფრანგეთში, ისევე როგორც მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, კორონავირუსის გადამტკიცებულებები და გარეთ



წოდებული კოვიდ-19 მქონეარებდა. ადამიანები ხელისუფლების მიერ გამოცხადებული საყოველთაო კარანტინის გამო, სახლებში გამოიკეტნენ. ოჯახის მხოლოდ ერთ წევრს შეეძლო უახლოეს მარკეტში პროდუქტისთვის გასვლა, აუცილებლად პირბადით და რეზინის ხელთათმანებით დაცულს. მაღაზიებთან დისტანციის დაცვით დგებოდნენ და რიგრიგობით შედიოდნენ შიგნით. ცხოვრება სრულიად პარალიზებული იყო. დაცემილი იყო საბავშვო ბალები, სკოლები, კოლეჯები, ლიცეუმები, უნივერსიტეტები, თეატრები, კაფებარები, სავაჭრო ცენტრები. ექიმები ონლაინ რეზიმში ემსახურებოდნენ პაციენტებს.

...აიას ჯერ კიდევ ეძინა. გამთენისას ისევ ცუდად გახდა. ბავშვობიდან გამოყოლილი თავტრუსხვევა და ლებინება, ხანდახან ისევ ახსენებდა თავს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ემოციურად ზედმეტად გადაიტვირთებოდა. სახლში იძულებითმა გამოიკრვამ ძალიან დაღალა. დღე და ღამე აერია. უაზროდ დადიოდა ოთახიდან ოთახში და სკოლას და ამხანაგებს ნატრობდა.

წინა დღისით, აიას და მის დას ჩაღლას, რომელიც სტრაბურგის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი იყო და პანდემიის გამო საერთო საცხოვრებელში მოუწია გამოკეტვამ, მამასთან ჰქონდათ ონლაინ შეხვედრა. მელანი გრძნობდა, თუ როგორ ნერვიულობდა აია ასეთი ურთიერთობის დროს და ოთახიდან გადიოდა. ქალსაც უზომოდ აღიზიანებდა ემირთან შეხების დღეები. ჩაღლა, ფეთქებადი ხასიათით, უფრო მამამისს ჰგავდა. აია კი, წყნარი და ემოციური ბუნებით მას. ამიტომაც იყო, რომ დედა-შვილი ყოველთვის იძაბებოდა, როდესაც სიმშვიდის ზონას ურლვევდნენ.

...უკვე მერამდენე ზარს უშვებდა ელიასთან. აიასთან შეიხედა, გოგონას ეძინა. ოჯახის კარი ფრთხილად გამოუხურა და მობილურით ხელში აიგანზე გავიდა.

აპრილის მოლრუბლული, ქარიანი დიღა გათენებულიყო. ენვიმა კიდეც. აივნის ფილები კვირტებით და ჯერ კიდევ უსუსური ფოთლებით იყო მოფენილი. მათი სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე საავადმყოფოს უშველებელ კორპუსებს გახედა. ასაფრენ ბილიკზე ვერტმფრენს ამზადებდნენ. ამჯერად თეთრს. მელანი უკვე მეორე თვე იყო შეჟყურებდა, თუ როგორ მოცავდა ყოველ დღე, სტაფილოსფერ და თეთრ ვერტმფრენს დაინფიცირებული პაციენტები. ეს ყველაფერი საშინალად უფორიაქებდა სულს და აშინებდა. კარის ზღურბლთან ჩაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. კვამლმა თვალები აუცრემლა. ქარმა ახალი ფოთლები მოიყოლა და ზედ დააყარა. მეტი გზა არ ჰქონდა, 112-ში უნდა დაერეკა და



ლანა მანველი

სასწრაფო დაბმარებისთვის ელიასის მისამართი ჩაეწერინებინა...

ათ წუთში თვითონაც მანქანაში იჯდა და კოლმარისკენ მიჰქოდა. სტრასბურგიდან კოლმარამდე 73,6 კილომეტრი იყო და დაახლოებით ერთი საათი დასჭირდებოდა გზაში. წინა მინასთან სპეციალური ნებართვის ფორმა დადო, სადაც სახლიდან გასვლის მიზეზად – აკადმიუროფის დახმარება ჰქონდა მონიშნული.

ელიასს სულ ბოლოს, ორი დღის წინ ესაუბრა. ახველებდა, – უბრალო გაციებაა, არ შეგეშინდესო. ეზოში ახლად დარგული ყვავილების ნერგები აჩვენა, – კარანტინი რომ დასრულდება, შენთვის გაიშლებაო ყველა. ამის გახსენებაზე უნებურად გაეღიმა. უცნაური იყო ელიასი. ბოლო დროს საათობით იჯდა ეზოში და შემოდგომას ხატავდა. ვიდეო ზარებით აჩვენებდა თითოეულ დეტალს, ფოტოებსაც უგზავნიდა.

– გაზაფხული დახატეო, – სასხვათაშორისოდ შეაპარა მელანიმ.

– მე სხვა გაზაფხული არ მჭირდება, შენა ხარ ჩემი გაზაფხულიც და მზის ამოსვლაცო!.. – უპასუხა.

ისევ სინდისის ქენჯანა იგრძნო. ელიასთან მიმართებაში ყოველთვის დამნაშავედ გრძნობდა თავს. რაც არ უნდა ეკეთებინა, ვისთანაც არ უნდა ყოფილიყო, ელიასი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც თვალდახუჭული ენდობოდა, ვისი იმედიც სულ ჰქონდა. და მოუხედავად ამხელა ნდობის, ყოველ ჯერზე ხელს ჰკრავდა და მარტოობისთვის სწირავდა.

...სახლიდან გამოსვლამდე, აიას საწოლთან მინერალური წყალი და ლიმინის ნაჭრები დადო.

– ნეტავ, დღეს აღარ შეანუხოს თავბრუსხვევამ, – გაიფიქრა და მობილურს მიუბრუნდა.

„Mes séfarades“ *** ისევ არ პასუხობდა...

დაძაბული, შეშინებული და გულატკიებული მიჰქოდა გზაზე, რომელიც წლების მანძილზე ბევრჯერ ჰქონდა გავლილი და რომელიც არასდროს ყოფილა ასეთი უსასრულო და მიუსაფარი. უნებლიერ კვენესა აღმოხდა. ხელები მომუშტა და ყელში დაგროვილი ცრემლი ჩაიყლაპა.

ფიქრებით ისევ ნარსულში ჩაიძირა. ის დრო გაიხსენა, ემირისგან გამოქცეული, როგორ შეიკედლეს მიზრაპებმა ის და პატარა აია. გული გაუთბეს. უკან აღარც გაუშვებდნენ, რომ არა ისევ მეღანის არეული გონება და ემირის მზაკვრობები. ემირმა საპასუხოდ, პირველ რიგში სასწრაფოდ შეანუვეტინა ჩაღლას სწავლა და ლონდონიდან სტამბოლში დააბრუნა. გაბრაზებული გოგონა ყველაფერში დედას ადანაშაულებდა. მისი ნათესავები ცალკე ურეკავდნენ და სახლში დაბრუნებას აიძულებდნენ. მელანიმ ამდენ შემოტევას ვეღარ გაუძლო და





მხატვარი სოფიო ჭელიძე დაბრუნდა. იცოდა, არასწორად რომ იქცეოდა, მაგრამ... ახლაც ახსოვდა იმ სევდიანი ფრენის დროს, მიზრაპების მიერ ნამღერი „Leha Dodi“**** რომ ჩაესმოდა ყურებში და ელიასის სევდიანი თვალები ელანდებოდა...

თუმცა, მალევე, ქმრის აუტანელი მოპყრობით აცრემლებული, ხსნას ისევ ელიასთან ექებდა. ელიასთან, რომელიც ბავშვობიდან შეფიცულივით მოჰყვებოდა მთელი ცხოვრება.

ღმერთო ჩემო! – მელანიმ ამოკვნესა და სიჩქარეს მოუმატა. – ოლონდ გადარჩეს! ილონდ ცოცხალი დამხვდეს!.. – სიცხიანივით აბოდებდა და საჭეზე ჩაჭიდებულ თითებს ვეღარ გრძნობდა.

...დედა მოენატრა! ეს მონატრება, ისეთი მონატრება იყო, რომელსაც სულ მუდამ გრძნობდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა დედის სიახლოების იყო თუ მისგან შორს. მშობლის სითბო, თანაგრძნობა, მხარდაჭერა ენატრებოდა. ითმენდა, მაგრამ როდესაც ეს მონატრება გაუსაძლისი ხდებოდა, მაშინ ფიქრებში იწყებდა დედასთან საუბარს. ეს მონოლოგები ყოველთვის მნარე ცრემლებით სრულდებოდა. გული ეღლებოდა გაურკვევლობით, გაუტანლობით, წლების სიმძიმით ატკიებული სულის ტარებით. აგერ სულ ახლახანს, შარლოტამ ექიმის რჩევა მოიმიზება და პანდემიის ამ დაძაბულ დღეებში, ყველანაირი საკონტაქტო ქსელი გაუთობა. მანამდე არც მასთან სახლში გადასვლაზე დათანხმდა და არც პროდუქტის მიტანაზე. – მე თვითონ მივხედავო თავს!

– რატომ?.. მემილიონედ უსვამდა თავს ერთადერთ კითხვას და პასუხს ვერ პოულობდა, უფრო სწორედ სიმართლესთან თვალის გასწორების ეშინოდა.

მელანი ისევ სიცხიანივით აბუტბუტდა: დედა! რატომ არ გიყვარვარ? დედა!..

ქალაქის შესასვლელში პოლიციელებმა გააჩერეს. ყელი გაუშრა, ცდილობდა ღელვა დაეფარა. წყარისად აუხსნა მათ მგზავრობის მიზეზი. გაუშვეს, თუმცა პატრულიდან ერთ-ერთი უკან გაჰყვა. მანქანები ერთი მეორის მიყოლებით შევიდნენ ქალაქ კოლმაში. ერთად გაირეს ყვავილებით მორთული არხები, დეკორატიული წითელი გულებით მორთული შენობები. სხეულში უცნაურმა სიცივემ დაუარა. ფერად ელზასურ სახლებს შეცბუნებული მზერა გადაატარა და ნაცნობ ჩიხში ჩაუხვია.

— Mon Dieu, s'il te plaît***** ნაიჩურჩულა და მანქანიდან გადმოვიდა. დაძაბულობისგან ფეხის გადაღვება გაუჭირდა. მწვანე და სტაფილოსფერი ფილებით გადახურულ სახლს აღარ დაჰკრავდა ნაცნობი, მყუდრო ელფერი. ვიღაცებს ეზის ჭიშკარი დაელუქათ და ზედ გამაფრთხილებელი აპრა გაეკრათ, რომელზედაც „კოვიდ-19“, ნუ შეხვალთ!..“ – ეწერა.

– მადამ, ჯობია სტრასბურგში დაბრუნდეთ! – პოლიციელი შორიახლოს დამდგარიყო და რაციას დაჰჟყურებდა.

მელანი ჯიუტად იდგა, რომ არ ატირებულიყო მთელი ძალით ეჭიდებოდა რეინის ღობეს და ჩუმად იმეორებდა: ელი... ელიას...

ეზიში, ორანჟერიის წინ მოლბერტი შენიშნა. იქვე, ძირს, საღებავები და ელიასის ყავარჯიშები ეყარა... მეტი ვეღარ შეძლო და ჩაიკეცა:

– ელიას... ჩემო სეფარადო... ღმერთო, გთხო!..

მანქანიდან მობილურის ზარი მოისმა. პოლიციელმა ტელეფონი მოუტანა და მის გვერდით ჩაიმუხლა. მელანიმ დაბინდული თვალებით დახედა ეკრანს... ემირი რეკავდა...

(გაგრძელება იქნება)

*ლექსი ფრანგულიდან თარგმნა ქეთევან კოკოზაშვილმა

**კიპა – პატარა, მრგვალი ქუდი, რომელიც კეფის ზედა ნაწილს ფარავს.

*** ჩემი სეფარადი. (ფრანგ) — სეფარადები

– 1492 წელს ესპანეთიდან განდევნილი ებრაელები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, თურქეთსა და ბალკანეთში დასახლდნენ.

**** ლეპა დოდი (ებრ) — წმინდა შაბათის შესახვედრი გალობა.

*****ლმერთო, გთხოვ! (ფრანგ).



კახაბერ

კავლიაშვილი

የጊዜውን በኋላ ስለሚገኘው የሚከተሉት ደንብ በመሆኑ የሚያስፈልግ ይችላል፡፡

၃. အေဒီးချိန်



გზის აღმართი

ახლად გამოღიერებულმა თვალები მოიფენისტა, აქეთ-იქით მიმოიხედა და ჩუმად, ოდნავ გასა-
გონად აშიშინდა. მერე შეტოკდა თავის საწოლში პატარა. ირგვლივ კი ისეთი წყვდიადი იდგა, ვერც
ვერაფერი დაინახა, ვერც ვერაფერი გაარჩია. მხ-
ოლოდ თანდაყოლილი იმსტიქტით იგრძნო, საწოლ-
ში იწვა და დედა ეხვეოდა თავის პირმშოს შიშველი
მკლავებით.

მკერდზე მიეღოამუნა დედას.

გვერდით მდგომებმა ყურები ცქვიტეს:

— ბიჭოს, ეს რა ყოჩალი ვინმეა! — ერთმანეთს გადაულაპარაკეს.

ესიამოვნა შექმნა. მადლობა უნდა ჩაეტყობინებინა, მაგრამ ისევ მიშინი გამოიუვიდა. გვერდით მდგარმა ლიპნამოზრდილმა პირლიებმა გაიცინება:

— არა უშაგს, ჯერ პატარა ხარ. გაიზირდები და ლილინსაც ისლავლი და სიმღერასაცო, — უთხრეს. პატარამ კი უკვე მოიკრიბა ძალა. ერთი-ორჯერ ლონივრად გაიზმორა, ეპატარავა საწოლ-სადგომი, მაგრამ გასაძრომ-გასავალი ვერსად იპოვა.

ერთბაშად რაღაც ხმაური გაისმა და თეთრი, რძისფერი შუქი ჩამოილვარა საიდანლაც. პატარამ მაღლა აიხედა. შორს, მომრგვალებულ ცის ნაგლე-ჯს მოჰკრა თვალი, რომელზედაც ფრთათეთრა ღრუბლები დინჯად დასეირნობდნენ. მერე ღრუ-ბლებმა თანდათან გული აიყარეს ცაზე, ზემოთ, მთის წვეროებს გაეთამაშნენ და ცის ეს პატარა ნა-გლეჯი მზეს დაუტოვეს საასპარეზოდ.

მზემ გამოაშუქა მთელი თავისი ბრნყინ-
ვალებით.

მისმა სხივმა ჩამოანათა ჰეჭარას საწოლში.

მიიხედ-მოიხედა შიგა...

မိုးလှာ(၃၀၂၁...)

პატარას ესიამოვნა მისი ყურადღება. სიამით შეიძლება კმაყოფილი. მაგრამ, მზის შუქზე თავი-სი საწილის კიდეები კარგად რომ მოათვალიერა, გუნიბა წაუხდა.

- ერიჲაა, ეს რა ლრმად ჩამოვარდნილვარო!

- გაიფიქრა. მცირე ხანს დაფიქრდა, მერე კი მიუბრუნდა მზეს:


– მაშ ბიჭი არ ვიყო, თუ შენთან არ ამოვიდე, მზეო!

მზემაც შემოსცინა, შეაგულიანა – „აპა შენ
იციო“...

და იწყო პატარამ აღმასვლა...

გზა შორი იყო, ძნელი და დამქანცველი. ის კი არ შეუდრება არაფერს. ნელა, ძალიან ნელა, მაგრამ მედგრად და შეუპოვრად მიიჩნევდა მალლა. საკვირველი კი ის იყო, რომ რაც უფრო მალლა ადიოდა, უფრო ემატებოდა ძალა.

ბევრი იარა, თუ კოტა იარა, გზაში დაულამდა.



მხატვარი სოფიო ჭელიძე





მთვარე გამოვიდა ცაზე სამორიგოდ. მთვარის შუქზე ვიღაც კაცი დაადგა თავზე. ხელში კაი გრძელი ჯოხი ეჭირა. იმ გრძელ ჯოხსა ბოლოში მოკლე ჯოხები ჰქონდა გაყრილი. მოვიდა ახლოს ის კაცი, მოულერა ის ჯოხი და მოსცხოვოვნაშია, ერთი თუ ორი... ერთი თუ ორი...

სცემა... სცემა რო ძვალ-რბილი გაუერთიანა. იქამდე სცემა, სანამ უკან არ დაბრუნა თავის სადგომშია. ცრემლი აღრჩობდა პატარას, თავისი სადგომის კედლებს აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ მშვედელი არსაით იყო.

ორლობიდან ახალგაზრდების ხმაური მოესმა. უბნის ბიჭები სოსიკანთა მიდიოდნენ, სოსიკას ვაჟის – ლექსიას ქორწილში. მიდიოდნენ და რაღაცაზე თუ ვიღაცაზე ყელგადაგდებით იცინოდნენ.

– ნეტავ რა აცინებთ, როცა მე ამ დღეში ვარო, – გაიფიქრა – ჰაი, მე ვიცი თქვენი ოინ! ცოტა ხანს მაცალეთ, იგეთ დღეში უნდა ჩაგდოთ, ველარა სცნობდეთო ერთმანეთსა, – დაემუქრა იმ ბიჭებს ბრაზმორული. მერე ნელ-ნელა წყენამ გაუარა. ცოტა დამშვიდდა... იგრძნო, ძალას ისევ იკრებდა. და როცა სოსიკანთიდან სიმღერისა და ტაშფანდურის ხმა მისწვდა მის ყურთასმენას, უკვე ისეთ ხასიათზე იყო, ლამის თვითონაც სულ ბუქნაში ამოსულიყო.


– ახ, ნეტავ ახლა თქვენთან მამყოფაო! – შენა-ტროდა იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ცოტა ხნის უბრაზდებოდა.

მერე შეცვალა ისევ მზემ მთვარე...

და გაეშურა ისევ მზისკენ პატარა...

და გამოჩნდა ისევ კაცი ჯოხით ხელში, სცემა და გააბრუნა უკან.

და კიდევ საკვირველი ის იყო, რომ აღარ ბრაზობდა აგრე რიგად ცემაზედ, თითქოს ესიამოვნებოდა კიდეც ეს გამაჯანსალებელი მასაჟი სხეულისა



კახაპერ პავლიაშვილი

და სულისა. ახლდებოდა და კაუდებოდა.

უკან დაბრუნებულს, დედა მოხვევდა ხოლმე თავის პირმშოს მკლავებს და ემუდარებოდა აღარ წასულიყო იმ შორეულ, მომქანცველ გზაზე. უბნებიდა:

– ჯერ პატარა ხარ შეილო. შენ აბა სად შეგიძლია ასეთი შორეული მგზავრობა. ცოტა მოიცადე, გაიზრდები, მუხლს მოიმაგრებ, ჭკუასაც მოიმატებ და მერე მოინახულეო მზეი!

დედის სიტყვები ცოტა ხანს აკავებდა პატარას. თავს ჩარგავდა დედის კალთაში და ტკბილად თვლემდა.

მაგრამ, მალევე, როგორც კი მზის

შარავანდედით მოსილი სახე მოაგონდებოდა, მისი მანათობელი სხივის ელვარება წარმოუდგებოდა თვალწინ, დაუოკებელი ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა და თავდაუზოგავად, უინიანად იწყებდა ზეასვლას. მიზევდა მაღლა ლილინით, სიცილით და არასოდეს ფიქრობდა იმ გრძელ ჯოხზე, რომელსაც ბოლოში მოკლე ჯოხები ჰქონდა გაყრილი და რომელიც მაღლა ასულს ხშირ-ხშირად ხვდებოდა ქეჩოში.

ასე გაგრძელდა მთელ კვირას...

და მეორე კვირასაც...

ასე მზის გზაზე, მზისკენ მუდმივ ლტოლვაში დაჭაბუკდა პატარა, მზის გზაზე დავაუკაცდა და დაღვინდა!

მზეს მოეწონა მისთვის თავდადებული ახალგაზრდა. თავისი ენერგიის ნაწილი უბოძა და თავისი სხივების ფერი დაანათლა!

და როდესაც უკვე საბოლოოდ დედის კალთას მოსწყვიტეს, გედებივით ყელმოლერებულ სურებში დაანანილეს და საქორწილო სუფრაზე ყველაზე საპატიო ადგილი დაუთმეს, ბედნიერების ღიმილით გაიბადრა, თვალთაგან სიხარულის ნაპერნელები გადმოაშეფა და მზისფრად აელვარდა ბროლის სასმისებში.

ალაზნის მადლი

ბებიას ნაამბობი

– მამაშენი ხომ გახსოვს რომელ წელს დაიბადა?

– როგორ არ მახსოვს ბებო, 1928 წელს არის დაბადებული.

– ჰოდა ზესტად მაგ წელს მოხდა ეს ამბავი. იმ გაზაფხულზე ეგ პაპაშენი ქიტე რაღაც ვერ იყო კარგადა. ხან აციებდა, ხან აცხელებდა, დაიტანვა კაცი. სტეფანე ფერშალი მკურნალობდა კარგა ხანს, მაგრამ ბოლოს ისიც ვერაფერს გახდა და თვითონვე ურჩია ქიტეს: მე სხვა აღარაფერი შემიძლია და

რადგან ამ სოფელში ექიმი არ გვყავს, ველისციხეში წადი ექიმთან, ის თუ მოგარჩენსო. დავიქირავეთ ფაიტონი და გავუდექით ველისციხის გზას.

ალაზანთან რომ მივედით, კარგა ადიდებული დაგვხვდა მდინარე. აღიდებულ წყალს ბორანი წაეღო და თუმცა კი დაეკლო წყალს იმის შემდეგ, მაგრამ მაინც ბლომად მოდიოდა. ორიოდე ურემი კიდეც გაჩინირულიყო შიგა. მეტი წილი ურმებისა ნაპირზე იდგა და წყალში შესვლას ვერა ბედავდნენ. ჩვენმა მეფაიტონემ მხრები აიჩინა, – რა ვქნათო.



ქიტემ უთხრა: რაც იქნება, იქნება, მიდი გაბედეო. არა და ქიტე თავად ხომ აკად არის, მე ქალი ვარ, ხელში კიდევა ეგე, მამაშენი გოგია მიჭირავს ქვეშაგებში გახვეული. სამი თუ ოთხი თვისა იქნებოდა მაშინ გოგია. ერთი სიტყვით მეშინოდა, მაგრამ რა უნდა გვექნა. შერეკა მეფაიტონემ ცხენები ალაზანში. ნაპირზე კი არ იყო ღრმა, მაგრამ ცოტაზე როგორც კი შევედით შიგნით, ნაიფორთხილეს ცხენებში. ერთი ცხენი წაიქცა, მეორემ ფრუტუნი დაიწყო. გადაინია გვერდზე ფაიტონი, კინალამ გადავბრუნდით. შემოგვასხა წყალმა ფეხებში. მერე ხეირიანდ ალარც მახსოვს. ქიტე და მეფაიტონე გადაეშვნენ წყალში ცხენების მისახმარებლად. წყალი თანდათან მუხლებამდე შემომწვდა. მე შიშისაგან წივილ-კივილი დავწყნყე. ისევ ქიტემ და მეფაიტონემ იყოჩალეს. წამოაყენეს ცხენები და შემოაბრუნეს უკან, გალმა გასვლას ვინდა ჩიოდა. ამ ვაი-ვაგლახში ჩემი გოგია ისე გამვარდნია ხელიდან, ვერაფერი გავიგე. შიშისაგან არც ვიცოდი რას ვაკეთებდი. ყვირილი კი ავტეხე: ბალლი... ბალლი-მეთქი, მაგრამ ამდენ ხმაურსა და წყლის დგაფუნები ვერავინ ვერაფერი გაარკვია. ის იყო ნაპირზე გამოვდიოდით და მაშინდა მიხვდა ქიტე ჩემი წივილ-კივილის მიზეზს. შევარდა წყალში და დაედევნა ბალლა. ბალლს კი ალაზანი მიაცურებდა ქვევით, უკვე კარგად დაგვშორებოდა. გხედავდი როგორ მიაქანავებდა ტალლებზე მლვრიე წყალი. გავიქეცი ტირილით ნაპირ-ნაპირ. ან მე, ან ქიტე რას დავეწეოდით, იმ ხალხს რომ არ ეშველა. ჩვენს ქვემოთ გასჩერებოდათ ურემი წყალში და ეს ამბავი რომ გაიგეს, ერთი ვაჟუცი გადახტა ურმიდანვე, ცურვით დაეწია ამ ბალლას. სტაცა ხელი და გამომიყვნა ნაპირზე. ვიფიქრე, ამოიხრიობოდა-მეთქი, სწრაფად გავხსენი, მაგრამ, ეგრევე მშრალად იყო, როგორც შევახვი. მარტო გარეთა კაბაშური დასველებოდა. ისევ ეგრევე ეძინა წყნარად, მშვიდად, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

საკვირველი იყო, მაშ რა იყო, მაგრამ უფრო დიდი საკვირველება ის იყო რომა, იმ ბანაობის შემდეგ ქიტე იგრე გამოკეთდა, იმის მერე ალარაფერი წამოსტყივებია. ვენაცვალე ალაზნის მაღლსა და ძალასა, ასეთი უცნაური წყალობით გამოგვისტურა.

- ეს მამაჩემი გოგია რაღაზე მიგყავდა?
- უძმე, ძალიან მტირალა იყო, სულ წიოკობით ტირილი იცოდა.

ვიფიქრე, იმ ექიმსა გოგიასაც ვაჩვენებ, ეგება რაიმე წამალი მისცეს დამაწყნარებელი-მეთქი. მაგიტომ მიმყავდა გოგია.

- პაპას კი უშველა, მაგრამ მამაჩემსაც უშველა ალაზანმა?

- არა, რა უშველა. უფრო გაავდა გოგია. ჩხავილში და ტირილში იზრდებოდა. ერთხელ, სამი-ოთხი წლისა იქნებოდა უკვე გოგია. ქიტე სახლში იყო. ზამთარი იდგა და ეზოში დიდი თოვლი იდო. ეს გოგია კიდევა დილიდან წიოკობს, ტირის და ტირის



მხატვარი სოფიო ჭელიძე უმიზეზოდ. ხან ჩურჩელას მივაწვდი, ხან ვაშლს, ხან სათამაშოებს, ის კი ამ ყველაფერს ეზოში ისვრის და ტირილს აგრძელებს. ვერაფრით ვერ ვაჩუმებთ. ამოუკიდა ქიტეს მაგის ამდენი ტირილი ყელში. დასტაცა ამ ბალლს ხელი და ეზოში სადაც დიდი თოვლი იყო, იქ მოისროლა. მეც არ ჩამიშვა ამოსაყვანად. მეზობელმა თამარა ბებიამ ამოიყვანა მტირალი გოგია თოვლიდან, თავის სახლში გაიყვანა, გაასუფთავა და როგორდაც, რის ვაივაგლახით გაჩუმება. ამის მერე უმიზეზოდ ტირილს რომ დაიწყებდა გოგია, დავემუქრებოდი ხოლმე, გაჩუმდი, თორემ მამაშენი მოვა და თოვლში გადაგაგდებს-მეთქი.

- მერე სჭრიდა ეგ მუქარა?
- გადამაგდებს და თამარა ბებია მოვა და ამომიყვანს. ენას უკვე კარგად ატლიკინებდა და მაინც ეგეთი მტირალა იყო.

- ბები, ალაზანში რომ კარგად დასველებულიყო ეგ შენი გოგია, შეიძლება ალარასოდეს ეტირა. მშრალად რომ გადარჩა, ალბათ მაგიტომ ვერ უშველა ალაზანმა. ჰაა, რას იტყვიო?

- რა ვიცი, შეიძლება მასეცაა. ეგრე გამოდის, რომ შეხვეული კი არა, ტიტველი უნდა ჩამეგდო ალაზანში, იქნებ მაგისთვისაც ეშველა რამე.

- ვინც გოგია გადამირჩინა, იმაზე მეეითხები? ისა, შვილო, ყვარლელი ლევანა იყო. იმის მერე რაღას დავეარგავდით იმ ბიჭსა. იმ გაზაფხულზევე, ალდგომა დღესა მაგ ლევანამ მონათლა ჩემი გოგია. კარგი ჯეილი იყო, ყოჩალი, მაგრამ ომმა შეინირა შვილო. უგზო-უკვლოდ დაიკარგა საწყალი.





მარიამ კოზეანიშვილი

תְּלִימָדָה וְעַמְּדָה

ლოუმლები – თვალნისტოა ხმობი,
ალიონს მდუმარედ წოხნიან...
ხსივები გაშალა დედა მზემ,
ყის ფარჩის ხათვებლედ მოხია.
პირკვეარი დასახახა მდუმარედ
საამყაროს, ნიადაგ სალოოზვას
და მოკვრე, დალლილი ქმრივით,
მზის მიმდა შუზბლუნით ნამონვა.

၃. კოზმიანიშვილი

წლები ყორნებმა გააფარფაშეს,
თოვლის ფთილებად, მწიფე ატმებად...
რაც დღემდე ლექსად ავამარმაშე,
მზეს გავუგზავნე ფოლიანტებად.
ვზიდე და ვზიდე დარდები ძნებად,
ვლენ და ვლენ ჭრების ყანა...
იღველუფებოდა სული გაძლებად,
ვევედრებოდი ღმერთს, წასყვანად.
გამოივარე დრო – ეკლოვანი,
არცა ლატაკმა, არცა მდიდარმა,
გზა არ მქონია ხავერდოვანი,
დღემ არც აწმყოში გამოიდარა.
ჩემი ცხოვრება, როგორც სიზმარი,
სავსე – ელფებით და ნარცისებით,
მომაქვს... მოვდივარ მიწის ხიზანი
და კვლავ დარდები დამაქვს ქისეპით...
მომიჭერს გულზე კირთები სალტედ,
გრძნობა რითმებად მოიფანტება...
რაც დღემდე ქარებს ლექსები ვანდე,
მზემ შეინახა ფოლიანტებად.

* * *

მორჩა...
დამთავრდა...
აღარაფრის აღარ მაქვს ძალა...
ჰა, გადაივსო მოთმინების
ფართე ფიალა...
დაუშვებ ცისკენ სავედრებლად
აწვართულ ხელებს
და ჩავიწევბი, სულში მბუტავ
სანთლებიანად...
აჲა, დასრულდა...
ვამბობ, მაგრამ ვაგრძელებ შაინც
არ მეგულება ვინმე,
დარდის სრულად გამგები...

მემილიონედ ჩავიპრუნებ
გულში ტკივილებს
და ფენიქსივით, საკუთარი
ფირფლიდან ყდგიბზ.

* * *

მდინარის სარკეში კეკლუცობს ძენნა.
მსუბუქი წიავი ამღერებს ლერწამს.
ნაპირზე დენდივით სეირნობს ყანჩა.
მზის გულზე ლივლივებს ბალახის ფარჩა.
შორიდან მოისმის სიმღერა ნელი.
სისინებს სათიბში ლაპლაპა ცელი.
თვალი ჭვრეტს სასწაულს, მწვერვალთა ახლოს...
იქ, ლრწელის კარავში, უფალი სახლობს.

* * *

ავდგე და ნავიდე?.. სად ნავიდე?..
დავრჩე და ნეტავი როდემდე?..
კიცინო?.. ხანდახან სირცხვილია,
ჩემს ირგვლივ თუ სიმწრით გოდებენ.
კდგავარ და ზურგის ქარს ველოდები,
აქ უკვე აღარცრა მაკვირვებს...
დავტოვებ ჩემს გზაზე შემლილ სხეულს,
მინირ (ჭოთვების საკრეს).

* * *

დღე იყო რუხი და ცრიატი...
ცა შლიდა ნისლების მარაოს...
მზეს სურდა მთვარესთან ქორნილი,
მთვარე თავს იკლავდა — არაო!..
და ასე, ვნებათა ჭიდილში,
მზემ სევდა წვიმებად დაცალა...
მას მერე უვლიან ცისკიდურს,
შორი-შორს, უბრად და (ჯალ-ჯალად.

* * *

რამდენი წლის ვარ? – რა ვიცი,
ხან ასის, ხანაც თვრამეტის.
ვარ მესაკუთრე ქოჩის –
ხან ერთი თხილის, ხან მეტის.
ვინ მიყვარს? – აბა რა
გითხრათ?..
ჩემშია მთელი სამყარო.
სულიერიც და უსულოც,
მზეც, მთებიც, მინაც – აყალო.
ვინ ვარ? – ეგ დღემდე არ ვიცი.
ვეჭვობ, ოდესშე ვიცოდე.
სულ უნდა ვენთო კვარივით,
სულ სიყვარულით ვიწვოდე.
სად წავალ? – იცის უფალმა.
მხოლოდ მას მიესდევ მორჩილად.
ბევრჯერ გამწირა ცხოვრებამ,
მაინც ვერ დამიმორჩილა.

* * *

სამჯერ ოცი წელია,
სამჯერ ოცი ზაფხული,
ვხარჯავ, რაც მაქვს სიკეთედ
გულში გადანახული...
მესამოცე წელია,
მესამოცე ზამთარი,
იწერს ფიქრს და ფორიაქს
ხსოვნის გრძელი დავთარი...
მესამოცე წელია,
ვეძებ ჩემ წილ სავანეს...
განა ყოფნა მინაზე
სულ ტკივილებს მავალებს?..
სამჯერ ოცი წელია,
პატიმრობამისჯილმა,
ვერ გავტეხე საკანი –
მარტოობის ჭინჭილა...
ვერ ავივსე სულის ჭა
სიხარულის მირონით,
მეძახინ ამაოდ
შვების სანაპირონი...
ვკენკავ მზეს და ოცნებას,
როგორც ჩიტი – ნამცეცებს,
სამჯერ ოცი წელია,
ჩემივ თავი დამეძებს.

ნეტავ

ნეტავ შორს, სადმე წახვიდოდე...
მეც შენთან ერთად წამიყვანდე...
ნეტავ სულ ღიმილად იღვრებოდე...
გულში ღიღილოდ რომ ამიყვავდე...



ერთად მოგვატარა მთა და ბარი...
უჩემოდ წუთითაც ვეღარ ძლებდე...
მზით გამთბარ კარავში გაძინებდე...
ცისკრის უამს ღიღინით მაღვიძებდე...
ნეტავ შემოდგომის ბოლო ცრიატს
აპრილის ვარდისფერი ანათებდეს...
შენ ჩემთან ერთად დაგიღამდეს,
მე შენთან ერთად გამითენდეს.

* * *

მარიამ კოზმანიშვილი

არის დღეები,
მოგიძულებს სამყარო თითქოს,
ერთად მოგცელავს

ყველა წყენა, ყველა ტკივილი,
გულში ჩაიხვევ,
რაც ხმამაღლა არაფრით ითქმის
და მზად ხარ,
ქარაფს მიამსხვრიო სული კივილით.
არის დღეები,
რჩები თავთან სრულიად მარტო,
ჩამქრალ სახეზე
„სულერთიას“ იფარებ ნიღბად...
შენს გზა-სავალზე
ეშმა ღმეტით გადადის სალტოს,
შენ კი მაღულად
ყვედრი გამჩენს სვესა და იღბალს.
არის დღეები,
სამწუხაროდ, არც ისე ცოტა...
მინას აკვდები
უდღეური, სუსტი მღილივით...
ალაგებ სახლ-კარს,
ანარნარებ ბაღსა და ბოსტანს
და გონისნამღებ
სევდას მაღავ ყალბი ღიმილით.

იწვიმე

იწვიმე...
ცავ მადლი მოისხი წყალობით...
იწვიმე...
გაივსო ყანები გორახით...
იწვიმე...
გაწმინდე ცოდვისგან ქვეყანა,
ვით აბლაბუდისგან მშობლების ოთახი.
იწვიმე...
იწვიმე მშვიდად და მარტივად,
იწვიმე...
ამოსკდეს მიწიდან დოვლათი...
იწვიმე...
ეგება განბანო მწვირისგან,
ორგული, ლაქია,
ცრუ და ბედოვლათი!...



იწვიმე...

ამწვანდეს, განედლდეს, განახლდეს,
ბალი და ბოსტანი,
პური და ვენახი!...

ვეცემი მუხლებზე,
ჯვარცმული მოგვივით
და ხმისჩახლეჩამდე,
წვიმის ღმერთს გეძახი.

* * *

28



ვიპოვნე ჩემი ნავსაყუდელი,
ახლა ნალველი ნაკლებად მიტევს...
ვუმზერ მომავალს იმედის თვალით,
ვამრავლებ მზეებს, ვარდებს და ტიტებს...
ვიარე დღემდე ყარიბის სევდით,
სხეულზე – ჩითით და სულზე – ფლასით...
არაფერია ამქვეყნად თურმე,
აუმღვრეველი სიმშვიდის ფასი.
რისი სასახლე, ან რაის ოქრო,
რა ბრილიანტი, ან ძონეული...
ყველაზე ძვირად ის ფასობს თურმე,
რაც შენი შრომით გაქვს მოწეული...
ვიპოვნე ჩემი სულის სავანე...
რა ბედენაა, ადრე თუ გვიან...
მადლობელი ვარ უფალო, შენი,
რომ ქრისტეს მიწის ხიზანი მქვია.

P.S.

ჩემს მშენიერ სოფელს (კისისხევს) ძველად
„ქრისტეს საფლავის მიწას“ უწოდებდნენ.

* * *

დიდი ხანია, სავსეა სული
ათასი ფიქრით და საზრუნვავით,
არ ვიცი ვისზე გაეტეხო ჯოხი,
არ ვიცი ვისთან ვთქვა სამდურავი.
დიდი ხანია, აღარ მცალია
არც საოცნებოდ, არც საკითხავად...
და დიდი სევდით და დიდი ვნებით
და დიდი ტვირთით ავად ვარ, ავად...
დაგროვდა სულში ვარამი ქვეყნის,
ნაცარი, დრომ რომ თვალში მაყარა...
დაბოლოს ჩემში მბორგავმა დარდმა
„ტანზე ლექსებად გამომაყარა“.

* * *

ისევ მომეძალა დარდი, იდუმალი,
ისევ დამაღონა, ისევ ამატირა...
ხელში ჩაიგდო და აღარ მომისვენა,
სულში მოფუსფუსე გოგო, ფარატინა.



ჩუმად გამიკილა გრძნობა, უნაზესი.

გესლით ჩამჩურჩულა: კმარა... დიდი ხარო.
შენთვის, სასურველო, ველარ გამიმეტა,
მკერდში ჩამიხუტა... ჩემთვის მინდხარო...
ახლა ფანჯარასთან ვზივართ მე და დარდი,
თვალებს მოენატრე ისევ ძველებურად,
შენ რომ გიმალავდი, კარგო, ის ცრემლები
ლაწვზე წყაროსავით ჩამომლერებულან.
ახლა ყველაფერი ძალზედ გვიანა...
ახლა, როცა დარდმა ისევ ამატირა...
უკვე დადინჯდა და აღარ ამლერდება,
სულში ჩამწყვდეული გოგო, ფარატინა.

ძნელია

ძნელია სიმართლით ცხოვრება,
იცრუ, არც ისე ძნელია...
ყოველი მესამე ქურდა...
ყოველი მეოთხე – მკვლელია...
ძნელია, ცას შესწვდე ხელებით,
მინაზე ფორთხვაა ადვილი...
გმირობის ტოლია, გიყვარდეს
და იყო ცასავით ნამდვილი...
რთულია შეცნობა თავისა,
სხვის სულში ფათური – მარტივი...
ძნელია, აინყო ცხოვრება,
ბედისგან აჭრილი, კარტივით...
ძნელია იარო უმწიკვლო
სულით და ემსგავსო მაცხოვარს...
შორია მწვერვალი, დიდების,
სიცოცხლის ნაპირი ახლო არს.

მონაჭრება

უნდა ავედევნო სოფლის ბილიკს,
ახლა სადმე უნდა გინახულო,
სადლაც, ბავშვობაში დარჩენილო
ჩემო უცოდველო სიყვარულო.
უნდა ჩავიხედო შენს მზერაში,
უნდა ჭალარები დაგითვალო,
ყრმობის სევდიანო სალილინოვ,
ბევრჯერ გატეხილი ლამის თვალო.
ირგვლივ ზამბახების ღალანია,
გზაა – გვირილებით დანაფერდი...
წამო, იმ ზღაპარში ვისეირნოთ,
შენ რომ ბავშვობაში დამაფრედი...
წამო, მაისის ბალს მივეპაროთ,
აღარ გაჯავრდება მეზობელი...
ეს დღე დღესასწაულს დავაშეგავსოთ,
ზღაპრულ სასახლის ბალს, ეს სოფელი...
ყურთან ჩიტი გალობს გაგიჟებით,
ამბობს, რომ დღეს უნდა გინახულო...
წლების ბებერ ურემს გაყოლილო,
ჩემო უცოდველო სიყვარულო.

სიყვარულის

როცა ჩემთან ხარ,
მე ნისლივით ფარფატა ვხდები...
მკლავები ჩემი,
უნაზესი ფრთებია, ჩემო...
ვერ შემაშინებს
სისასტიკე, დროის თუ ბედის,
სანამ ჩიტივით
ვეფარები მაგ მხრების ჩეროს.
როცა ჩემთან ხარ,
აღარ მახსოვს წელთა სიმრავლე,
სიცილის ექო
აგვირისტებს დღეთა დინებას...
არსად წახვიდე,
დარჩი ჩემთან, სიცოცხლევ – ჩემო,
ვიდრე შენს მკერდზე
უსასრულოდ დამეძინება.

ერთ გულწრფელ ლექსად მაინც დარჩები,
სანამდე ქარი წაგშლის, მარიამ.

* * *

არ გემდური, ბატონო,
მადლიერიც კი ვარ,
რომ შენ გამო ჭრილობა
გულში დღესაც მტკივა.
ყველაფერი, რაც ხდება,
ხდება უფლის ნებით,
მისი მადლით ერთდება,
ან იყრება გზები...
არ გემდური ბატონო,
არც შენს წასვლას ვდარდობ...
სულში მზე რომ დატოვე,
იმ მზისათვის გმადლობ.


* * *

* * *

მოვარდა ქარი, როგორც მეკობრე
და ყველაფერი წამში არია...
ქარმა წაშალა კვალი ბავშვობის,
მალე შენს კვალსაც წაშლის, მარიამ...
ზის ცაცხვის ტოტზე ჩიტი, ღაბუა
და სიყვარულის მღერის არიას...
სულში ინახავ ფოლიანტებად,
სიტყვებს, ლიმილებს – წრფელს და დარიანს...
აცილებ შენგან არამკითხეებს...
ორგულს, ულმერთოს, ცრუს და შარიანს,

„გაზაფხულის ბრალია“,
შინ რომ ველარ ვეტევი...
სულ რომ სადლაც გავრბივარ,
სულ რომ დავეხეტები...
„გაზაფხულის ბრალია“,
გული სულ რომ ლილინებს,
სულ რომ ვეალერსები
იქბა, ციცქნ ცის ლილებს...
ზოგჯერ ფრთების აზიდვას
და აფრენას ვაპირებ...
რომ მინიდან ზღაპარში
გავედევნო აპრილებს.

29



მხატვარი ვანო გოცირიძე





ମାର୍ଗ
ପାତାଲିକ

— როული დროა, ქალმარცონ. გარდამაცვლი პერი-
ოდია და კარგა ას იწს, თუ რა იქნება ხვალ და ზეგ-
ვისაკერ შენი ქმარი იფარებს, ეგ ხალხი დღესფლერით
ჩვენზე გვფირფება, ჩვენს საქმესაკ აკეთებენ. ასე რომ,
ხმა-კრინჭი არავისთან. დაწოვნილი უკან, ქმარი სახლში
დაგრევდება.

၃. ပြန်လည်စဉ်

ଡାକ୍ ପାତ୍ରାତ୍ମିକାଙ୍କୁ ଉପରେ

- የጊዜና, የጂዢ, የልማትና ተክኖሎጂ, የፖ.ሪ.ስ ቅርንጫ-
ሉ ስራ ይጠበቃል፡፡

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, მაშიცომ რომ გადასძახა მეუღლეს და ფრთხილად, ხმაურის გარეშე მოუმატა თითქმის მიმქრალ ჭრაქს სინათლე.

ყურადღებიანი კაცი იყო ივანე, მაგრამ ძილმა, ფიქრებში წასული, როგორ ჩაითრია და ჩაიყოლია, ვერც გაიგო.

ერთი გადახედვა, ბალლების საწოლებს თვალი გადაავლო და პერანგის ამარა, კარებისკუნ წავიდა.

ნეტავ ვინ უნდა იყოს, გაითიქრა და იქვე, კუთხეში მიყუდებულ თოფს, მექანიკურად, ხელი წამოავლო.

- ამ შეუძლამისას, დალხენილი არავინ მოვა.
- ფიქრობდა თავისთვის. ან ქურდი იქნებაო, ან გაჭირვებული.

— ვანო, აქეთ. — დაუძახა ვიღლაცამ სიბნელიდან. ვერაფერი გაარჩია. ლანდები თვითონ გამოჩნდნენ. ხუთი იყვნენ. ნაბდებს ამოფარებულებს, თავ-პირი ერთიანად მოეცემოთ. და თითქოს რაღაცა მოათროვდნენ, რალაკას თუ ვიღლაკას.

– მოგვეხმარე, – მოგუდული ხმით დაიბუბუნა ყველაზე მაღალმა და სახე გამოაჩინა.

— ხომ მშვიდობაა, ძიავ, — გაეპასუხა ჩუმად
ივანე და იქვე ხარებაკ დალანდა.

— რაღა მშევიდობა, დაჭრილი გვყავს. ცხელი წყალი და არაყი გენება, ივანე, წამოილე და მოდი დროით, — გამოსძახა ხარებამ და დაუპატიუებელ-მა სტუმრებმა გეზი საბძლისაკენ აიღეს.

ივანე სახლში შექანდა. ღუმელზე შემომდგარი
სამოვრიდან ჯერ კიდევ ამოდიოდა ორთქლის სქე-
ლი კვამლი.

— მაშინ, ცხელი წყალი, არაყი, სუფთა მიტკა-
ლი და დანა წამოიღე, — შესძახა ჩუმად ცოლს და
პერანგიან მხრებზე ქურთუკი შემოიგდო.

საბძლის გზა დანარჩენ სტუმრებსაც კარგად

გაეგნოთ და უკან მიპრუნებულ ივანეს მიესალმნენ.

— სხვა გზა არ იყო, ივანე, ვიცით, მაზრი-დან კაცები გამოგზავნა უანდარმერიამ და აქეთ კუთხეში მიმოაბნია, მაგრამ შენი სიფრთხილის იმედი რომ არ მქონდა, ამ კართან არ დავიძახებდით, — მოიბოლიშასავით გოგიამ და თივების გროვასთან უცებ მოასწორა დასაწოლი ადგილი დაჭრილისთვის.

— ზალიკავ, ბიჭო, რანაირად მოგვიდა, მარჯვე ხარ და განა ვინ დაგასწრო, — გადახედა ვანომ ტკივილისა და სიცივისგან ერთნაირად გალურ-ჯებულ დიდი ხნის ნაცნობს.

- ვანო, საჭმელი აქ არის, სასმელი, სითბო და ღვთისნიერი ხალხიც და ეს კაცი უნდა ჩაგაბაროთ.
- მიუძრუნდა ხარება. დანარჩენი იცი, როგორც უნდა მოიქცე. პირველი ხომ არ არი. ჩვენ გვეჩეა-რება და უნდა წავიდეთ.

— მაშო, ქალო, მიდი, ხურჯინში ჩაულაგე
საგზალი. იცი, რაც და როგორც, — გაელაპარაკა
მეუღლეს ივანე და თვითონ ზალიკასთან ჩაიმუხ-
ლა.

ქრილობა უნახა, ნატყვიარი კარგად გაარჩია

და ზედ არაყი გადასასხა.
— დელი! — ერთი კი წამოსცდა ფერდაკარ-
გულ ზალიკას და სასწრაფოდ მოკუმა სიმწრისგან
დაღმანჭელი პირი.

— ცოტა ინათოს და გადავალ კნიაზიან-
თისკენ, — გაეპასუხა ხარებას ივანე. — ფეფოს
დასტაქრობაში ეჭვის შეტანა ეხლა რომც შეიძლე-
ბოდეს, სხვა გზა არ არის. ხარებ, მივხედავ, ფეხზე
დავაყენებ. ახლა სახლში შემოსულიყავით, გათბე-
ბოდით და გზას მერე გასადგომოდით.

- არ არის დრო, ვანო, გათენებამდე ნაფარეულში უნდა ვიყოთ. მალე სინათლე შეეპარება ამ ტიალ ღამეს და არ მინდა, ჩაფრების თვალმა სადმე დაგვლანდოს. დათას სახლის ფანჯრიდან სინათლე ბჟუტავდა. მგონი, ვერავინ დაგვინახა.

დათაც არ არი ლაყაფი კაცი, მაგრამ ჯობია აქაურობას დროულად გავეცალოთ, ჩაიბურტყუნა გოგიამ და ჩვეული მოძრაობით მხრებზე ნაბადი შეათამაშა.

სტუმრები სიბრძლეს შეერივნენ. მაშინ სათუთად ჩაღავებული ხურჯინი ვეება მხრებზე შემოიგდო ძიამ და ჯგუფს გაცყვა.

— ძიავ, არშაკას შეუარეთ თელავში და მარაგი საგზალი წაილეთ, — მიაძახა ივანემ ღამის სტუმრებს და კარი მჭიდროდ ჩარაზა.

საბძლიდან დაწრილის ყრუ კვნესა ისმოდა.

მაშიმ ფრთხილად მოუსუფთავა ჭრილობის გარშემო სისხლით დასვრილი ადგილი შავტუხა ბიჭს და ჭრილობაზე არყიანი მიტკალი გადააფარა. მერე პერანგი გამოცვალა და თბილი საბანი სათუთად მიაფარა.

— ვანო, წადი, გადადი კრიაზიანთისკენ, დილამდე რაღას ვუცადოთ, წამოიყვანე ფეფო, დილამდე ამის საცოდაობას როგორ ვუყურო.

ივანემ ერთი კი გახედა თვალზე ცრემლმომდგარ მაშიკოს და პირუჩუმრად გავიდა საბძლიდან.

ფეფომ ხელსაწყოების ჩანთით გამოხედა, შუალამისას რისთვისაც ეძახდნენ, მიხვედრა არ გასტირვებია დასტაქარს.

— ვანო, არ მინდა გითხრა, მაგრამ ბევრი გადაიბირა პოლიციამ ამ ჩვენ დალოცვილ მხარეში თავისკენ და ცოტა არ იყოს მეშინია. ჩემ თავზე არ ვდარდობ, ქალებს და ბავშვებს არ აუტეხონ რამე და პირველ რიგში, შენ არ დაგასმინონ, ივანე. ფრთხილად იყავი, დრო გაფუჭდა.

მხარდამხარ მიჰყვებოდა თავჩაღუნული ივანე ფეფოს და ფიქრობდა...

— რა გითხრა, ფეფო, ღალატმა, უსამართლობამ და დამცირებამ გაიყვანა ეს ხალხი ტყეში. მათ თავს რაც დატრიალდა, ვინ იცის, არც ჩვენ აგვცდეს. არ დავხეხმარო და აბა როგორდა ვიაროთ ამ დალოცვილ მინაზე. რაც მოსახდენია, აპა, მოხდეს. მიწას ხომ ალარ გავცდებით. იქნება მათმა მცდელობამ შედეგი გამოიღოს. ჩვენი შვილები მაინც ეღირსონ თავისუფალ და მშვიდ ცხოვრებას. დასმენისა და ღალატისა ალარ შეეშინდებათ. ზალიკას ბალდობიდან ვიცნობ, ერთი და ორი დღე მართლა არ არი. რამდენი გამოვაჯანმრთელე ხარებას ბიჭებიდან. ტყვია არ არი შორს წასული, მეც ამოვიღებდი, მაგრამ შენი ხელი უკვე განაფულია და ნაკლებად დატანჯავს. ისედაც გამნარებულია. არ კი იტყობს, მაგრამ მე რას გამომაპარებს.

რიურაუი ეპარებოდა სოფელს. კავკასიონის მთების სილუეტი გოროზად დაჲყურებდა ალაზნის გამოლმა, ცივის კალთებს შეფარებული სოფლების უკვე კარგად გამოკვეთილ აჩრდილებს



მაის კაცაშრიდე

სამი დღის შემდეგ, ახალ შებინდებულზე, უტრუხუნეს ეტლი გაჩერდა ივანეს კართან.

— ვანო ძიავ, სასწრაფოდ უნდა გავარიდოთ ზალიკა აქაურობას. თქვენც მგონი შარში გაგხვიერ. გოგიას კაცმა შემოგვითვალა მაზრიდან, შეიძლება ამაღამაც დაგადგნენო. — ლაპარაკს ღამის გულიც ამოაყოლა უტრუხუნემ. ისედაც შავი ბრიალა თვალები სიფიცხისგან კაკლის მურაბასავით უელავდა.

— მაშო! — გასძახა ცოლს ივანემ, — ჩაულაგე საგზალი ზალიკას, თბილი ტანაცმელი, დრო არ არი, მიდი ქალო, — და თვითონ საბძლისაკენ წავიდა.

— ზალიკ, ბიჭი, მოემზადე, ჩქარა, მიდიხარ! — დააფეთიანა მძინარე სტუმარი ივანემ. მერე მხარში ამოუდგა და ეტლისკენ გაიყვანა.

უტრუხუნეს ისე მოეწყო სამალავი, რომ თუ საგულდაგულოდ არ გაჩერეკდნენ, ადამიანის კვალსაც ვერ მიაგნებდნენ იქ.

— მისმინე შვილო, რა გესწავლება, გზაზე არ გახვიდე. სოფელს დაჲყევი ბოლოში და მერე კალაურისკენ გაუყევი ბილიქს. გზა თვითონ გრივენებს სავალს იქიდან. მანდ ნაკლებად მოძრაობს ხალხი და ნადირისაც ნუ შეგეშინდება. თოფი გვერდზე გაქ. ერთ საათში ნაფარეულში იქნები. აბა შენ იცი. — ივანემ მხრებზე ხელი დაარტყა უტრუხუნეს და თვალებით დაემშვიდობა.

კარგა ხანს იდგა ივანე გარინდებული და აყურადებდა უტრუხუნეს ეტლის ხმაურს. მერე წელათრეულმა შეალო სახლის კარი და მაშიკოს გახედა.

— ვერ არი კარგი ამბავი. შეიძლება წუთი წუთზე დამადგნენ. არ შეგეშინდეს. მიდი ბალებთან, — თავჩაღუნულმა წაიბურტყუნა ივანემ და საბძლისაკენ წავიდა.

ახალი გათენებული იყო. ცხენების ფლოქევების ხმაურზე უთელი გარეთ გამოეფინა.

ბევრნი იყვნენ. არც დალოდებიან მასპინძლის გამოხედვას, ისე შეიტრნენ ივანეს ეზოში.

— ივანე ბინკინაშვილი! — დაიძახა ჩინით ყველაზე უფროსმა, — ჩვენ ვყელაფერი ვიცით და აზრი არა აქვს რაიმეს უარყოფას, სანდო წყარომ გვამცნო, რომ ტყის ძმებს ხელს აფარებ, მფარველობ და სახლში მალავ.

ჩაფარი ცივი და მკაცრი ხმით ლაპარაკობდა.

იდგა ივანე გახევებული და შორიდან ესმოდა პოლიციის რიგითი ჩინოვნიკის პროტოკოლით განერილი განაჩენი. წამით მაშისკენ გაექცა თვალი. ცოლის ცისფერი თვალებიდან ახლა მრისანება და სიცივე ერთნაირად იღვრებოდა და ქალი საერთოდ ვერ გრძნობდა, ორი ბავშვი როგორ ებლაუჭებოდა კაბის კალთაზე. მაში ეგეთი არ ახსოვს ივანეს.





როგორც იქნა, ივანე გონს მოეგო და დაუბატიუებელ სტუმრებს თვალი გაუსწორა.

— ამ კარის შემომლები და ეზოში ფეხის გადმომდგმელი, მნიშვნელობა არა აქეს, ვინც არ უნდა იყოს, უკვე სტუმარია ჩემი. — მერე ცოლს მიუბრუნდა, სტუმრებს გავუმასპინძლდეთო.

— სიტყვას ბანზე ნუ აგდებ, ივანე ბინკინაშვილო, გიგოს ძევ. ტყის ყაჩალების შეფარებისთვის, ხელშეწყობისთვის, სახლის კარის გაღებისთვის, სულ მცირე, პატიმრობა გელოდება და თუ ყველა ეჭვი და ინფორმაცია დადასტურდა, გაგაციმბირებთ, სახლ-არს ჩამოგართმევთ. მოემზადე, ჩვენთან ერთად წამოხვალ.

პირუჩემრად შებრუნდა მაშო სახლში და ვიდრე ივანემ თამარა და ვარა გულში ჩაიკრა, სავსე ხურჯინით დაბრუნდა უკან.

* * *

ივანე რომ წაიყვანეს, მაშოს ბევრი არ უფიქრია, მოჰკიდა ვარას და თამარას ხელი და მშობლიურ სახლს მიაშურა. ძმასთან და ძმისშვილებთან ერთად გოგონები მშვიდად იქნებან, იფიქრა. ზუსტად რამდენი დღით მიდიოდა თბილისში, არც იკოდა და ბავშვები რომ საიმედო ხელში დაიგულა, ბარგის ჩალაგებას შეუდგა. ბევრი არც არაფერი მიჰქონდა, საგზალი და ერთი ხელი ტანსაცმელი. სახლიდან გასვლისას დედამთილმა პირჯვარი გადასწერა:

— ეს ამბავი ივანეს როგორ მოეწონება, არ ვიცი, მაგრამ სხვა გზას ვერა ვხედავ, შვილობმერთი შეგენიოს, პირიმზე გფარავდეს. პირუტყვის ილას ჩავპარებ, არ იჯავრო.

გამთენისას კონკაც ჩამოდგა სოფლის შარაგზაზე და მაშიკო სამართლის საძებნელად ქალაქის გზას გაუდგა.

ნაშუადლევს, როდესაც ფორეს და ვეროჩკას სახლის კარი შეაღო, მასპინძლებს ბევრი ფიქრი არ დასჭირვებიათ იმის მისახვედრად, რომ კარგი არაფერი ხდებოდა ბიძის ოჯახში.

— ფორე, ივანე წაიყვანეს. ესე ადვილად ვერ გავუშვებ, საციმბირედ ვერ გავიმეტებ. მითხარი, სად უნდა მივიდე, ვინ უნდა მომისმინოს, — მაშინ მშვიდად ლაპარაკობდა და ხან ფორეს უყურებდა, ხან ვეროჩკას.

ივანეს დის შვილი დიდი ხანი არ იყო გასული, რაც თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, დიდუბის ეკლესიასთან, კოპნია სახლში დაედო ბინა.

— ვაახ, — ფორე სათქმელს თავს ვერ უყრიდა და მალიმალ იმეორებდა ერთსა და იმავეს.

— მოკლედ, ერთადერთი, ვისაც ამ საქმის მოგვარება შეუძლია, ფილიპეა მახარაძე. — ფორეს აშკარად დაეტყო ნერვიულობა. — მაგრამ, სად და როგორ უნდა ვნახოთ ახლა, ამ მდგომარეობაში ეს კაცი, არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ შედეგს გამოიღებს თუ არა მასთან შეხვედრა. მეშინა, შენც



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ივანესთან ერთად ციმბირის გზას არ გაგიყენონ, ესეც მაფიქერებს და მადარდებს.

— სხვა გზა მაინც არა მაქვს, ფორე, რაც მოსახდენია, მოხდეს, — მაშიკო მტკიცე და შეუვალი იყო.

* * *

მესამე დღეს, როდესაც ქალაქიდან უკან მობრუნებულ მაშიკოს ივანე სახლში დახვდა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა.

სამართლის საძებნელად ქალაქს წასული ქალი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ წვერებიანი, წარმოსადეგი „ჩინოვნიკის“ სიტყვები — ქალბატონო, სანამ უკან დაბრუნდებით, ქმარი სახლში იქნებაო, — სინამდვილედ იქცეოდა.

არადა მაშიკომ დანამდვილებით ვერც გაიგო, ვის ელაპარაკა და ვის გადაუშალა თავისი ოჯახის ავ-კარგი.

— თუ ჩემი ქმარი დამნაშავეა იმაში, რომ გაჭირვებულებს, ობლებსა და მშიერ-მწყურვალებს ეხმარება, მაშინ მეც დამნაშავე გამოვდივარ, რადგან ჩემს შვილებთან ერთად სოფლის ობლებს ვზრდი, გაჭირვებულებს ვიფარებ და ვპატრონობ.

უცნობი ჩინოვნიკი, რომელიც ცოტა არ იყოს, მოკრძალებული შეპყურებდა ახალგაზრდა ქალს, გულისყურით უსმენდა.

— რთული დროა, ქალბატონო. გარდამავალი პერიოდია და კაცმა არ იცის, თუ რა იქნება ხვალ და ზეგ. ვისაც შენი ქმარი იფარებს, ეგ ხალხი



დღესდღობით ჩვენც გვჭირდება, ჩვენს საქმესაც აკეთებენ. ასე რომ, ხმა-კრინტი არავისთან. დაბრუნდი უკან, ქმარი სახლში დაგხვდება.

* * *

უკვე პინდდებოდა, კონკამ მღვრიე ხევი რომ გადმოჭრა და სოფლის აღმართს მძიმედ შეუყვა. ცხენები დინჯად მიუყვებოდნენ ნაცნობ გზას.

— ვაი თუ ციმბირს გაუყენეს ივანე, — ფიქრობდა თავისთვის მოლუშული მაშო. მერე სადღა წავიდე და ვისთან ვეძებოო სამართალი. ის იყო, უბანს მიუხალოვდა და ჩასვლა დააპირა, იქ შეერებილი ხალხისევნ გაექცა თვალი. კაცები ხმამალლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. თამარა და ვარა, ბაჟვებთან ერთად, ხალხის გარშემო ჭინკებივით დაბროდნენ და კისკისებდნენ.

იმას კი მართლა არ მოელოდა მაშო, რაც იქ დახვდა.

მეზობლებს შუაში მოექციათ ივანე და გულისყრით უსმენდნენ:

— რა გითხრათ, ხალხო, არ ვიცი. წესით, ახლა ციმბირისკენ უნდა მიმაქროლებდეს მატარებელი, მაგრამ ეგერ, აქა ვარ. ესე მითხრეს, შეცდომა იყოო, ჩაფარს რაღაცა შეეშალაო და გამომიშვეს.

მაშიკო იქვე ხის სკამზე ჩამოჯდა. მუხლი ეკეცებოდა.

— უიმეე, ქალო, მაშო, როდის მოგვეპარე! — თავში ხელები წაიშინა წიკლაურიაანთ ქალმა თამარამ, სკამზე მისვენებული ბიძაშვილი რომ დაინახა. — წყალი, ქალებო, წყალი! — გასძახა შეკრებილებს და თვითონ ლოყზე შემოარტყა ხელი ემოციების და ნერვიულობისაგან მისავათებულ მაშოს.

* * *

ოთხი დღის შემდეგ არშაკაც წაიყვანეს. ივანეს დის, სონას ქმარი. თელავის მაზრის პოლიცია თავდაპირველად არშაკას დუქანს უთვალთვალებდა, სადაც თავს ხშირად აფარებდნენ ხარება და მისი მეგობრები.

ვერაფერმა და ველარავინ ველარ უშველა არშაკას. ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ცოდვით ქვაც ტიროდა.

— ათი წელი გადასახლებაში, ღმერთო ჩემო, ან შენ როგორ იქნები იქ, ან მე რა უნდა ვქნა, — მოსთქვამდა სონა და ქმრის სურათს ელაპარაკებოდა.

— ნუ გეშინია, დაო, წაგიყვანთ ჩვენთან და არაფერი არ გაგიჭირდება. — ამშვიდებდა დას ივანე. — ჩვენთან იქნები, ბალები მონცენის საშუალებას არ მოგცემენ და დრო ესე უფრო მაღლე გავა.

— ძმაო, შვილი არა და არ მოგვცა ღმერთმა. ათი წლის მერე ან ჩამოვა ცოცხალი, ან არა.

საფლავიც უნდა დავკარგო. ავდგები და მეც თან გავყვები, დროს მაინც გაუნახევრებენ და თან იქნებ შვილიც გვეყოლოს.

ოთახში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ხანდისხან, სონას ყრუ ქვითინი თუ ისმოდა და ისიც ფარდებს მიღმა, ღია ფანჯრისკენ მიჰქონდა ზუზუმბოდან მონაბერ ნიავს.

* * *

მშობლიური სახლის აივნიდან, არაბუნებრივად გაცრეცილი და ფერმკრთალი სონა, მონატრებული გაცყურებდა კავკასიონის ხედის დიდებულ პეიზაჟს. მაშოს იქვე, აივანზე გაეშალა ვახშამი. ვანო და არშაკა ნარდის ბოლო პარტიას თამაშობდნენ.

არშაკას მორთმეული ძლვენი როგორც იყო, ბოლომდე ამოალაგა მაშომ წნორის ტოტებისგან ოსტატურად დანწული მრგვალი კალათიდან. თუშური ყველი, შოთები, ღორის შებოლილი მხარი, მოხარული ქათამი. კალათას ზემოდან კონა ტარხუნა ამშვენებდა. მაშოს გაეცინა, ყველაფერი ისევ ისე ელაგა, როგორც ამ ხუთი წლის წინ იცოდა ოჯახის სიძემ. არაფერიც არ დავინყებოდა.

როგორ სათუთად ჩაუწყვია სიძეს ნობათი. ვინ იცის, როგორ ენატრებოდათ ეს ყველაფერი გადასახლებაში. ახალი ჩასულები რომ იყვნენ და ფოტო გამოაგზავნეს, რამდენი იტირეს არშაკას მინაწერზე, ღვინის წვეთი დაასხით ამ ფოტოს, ჩვენთვის მადლი იქნებაო. დაბერებულია არშაკა, სონაც, აჩრდილები არიან იმ ლამაზი წყვილის, ქუჩაში ხალხი თვალს რომ აყოლებდა. ეჭ, მადლობა ღმერთს, ცოცხლები დაბრუნდნენ, ფიქრობდა მაშო და თან სუფრას დასტრიალებდა. ხან პურს ასწორებდა, ხან თეფშებს. დილას სონას შეუსწრო ოთახში, ხელში საკუთარი ფოტო ეჭირა და ტიროდა. მაშოს დანახვაზე სასწრაფოდ მოიწმინდა თვალები და ის ფოტოც გადამალა. ჰო, ძალიან ლამაზები იყვნენ...

დედა სალომეს გამოსვლა და სუფრასთან მისვლა ერთი იყო. ბავშვები ტახტზე მოკალათდნენ. ჭრელი ფარდაგის ქსოვა წინა კვირას დაასრულა მაშომ. ფერები თამარამ და ვარამ შეურჩიეს და ახლა ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, რომელი უფრო მაღლე დაიკავებდა ტახტზე ადგილს.

სოფელს, მრავლის მნახველს, ბინდი ეპარებოდა. კავკასიონის სიდიადე უფრო მეტად იკვეთებოდა შემოპარული ბინდის ფონზე. ივანეს სახლის ჩუქურთმებით დამშვენებულ აივანზე კი თანმიმდევრობით ცოცხლდებოდნენ მძიმე და დაუვინყარი მოგონებები, თითქოს და უეცრად, კოშმარულ სიზმარში ნანახი ყოფილიყო.

მაისი, 2021 წელი,
პალო დელ კოლე, იტალია



ივეტა პავლიაშვილი

34



საქართველოს მწერალთა კავშირმა ქალბატონ ივეტა პავლიაშვილს მიანიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია. ურნალ „ოლეს“ რედაქცია ქალბატონ ივეტას ულოცავს მისი ლიტერატურული ნაღვანის აღიარებას და უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

თამარმა ლიაზდის ჟირები მოისინა და ხურდა ფული გაუნანილა სველ ასფალტზე მტკომ გაუკირვეშულ ადამიანებს, თავისი ფიქრის კი დავინიყა უფეხო კარის ქუდში ჩავარდნილმა ათეორიზმა, ხელგამოძვერილი პატარა ნიუნია ნალვლანმა თვალის და შეკრდზე მიკრული ჩვილებაშვიანი ქალის თავაჩქინდოულმა პროფილმა. სულის და გულში თიქოს რალი ეჩხვდომა ქალს, ისეთი შენუბენული სახით უყვრედა ამ ცველაფერს. სამშობლო უწოდ ქვენად ეჩვენებოდა, თვითონ კი თიქოს თვად ჩამდგარიყო ნუფიადა და ნათელს შორის და გამოსაყიდვის ეძებდა.

ი. პავლიაშვილი

ახლახან საქართველოს მწერალთა კავშირმა ქალბატონ ივეტა პავლიაშვილს მიანიჭა დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია. ურნალ „ოლეს“ რედაქცია ქალბატონ ივეტას ულოცავს მისი ლიტერატურული ნაღვანის აღიარებას და უსურვებს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

დროის მატარებელი

მოგონებებს, რომელსაც ჩემთვის ტკივილიც მოაქვს და სიამოვნებაც, თანმიმდევრულად ვალაგებ და რალაც უზილავი სიმებით ვაკავშირებ ერთმანეთთან. მოვლენებს ისევე იქ მივყავარ, საიდანაც ჩემი ცხოვრების დრო და სივრცე დაინტერ... ყოველნაირად ვცდილობ გაღვიძებულ ტკივილებს ვძლიო, მაგრამ დრო ყოვლისშემდეგ და მეჩვენება, რომ სურვილების ერთ დროს აფეთქებული კვირტები დამჭკრარან და სახეშეცვლილნი გამოიყურებიან.

წარსული ხომ დროის ანარეკლია? ამ ანარეკლშია ზუსტად იმ მოგონებების ყოველი წუთი, რომელიც სხივივით მოგვყება და მიგვაცილებს წუთისოფლის ეკლიან და გაუთავებელ გზაზე.

ადამიანი სურვილების ტყვევა და ყოველნაირად ცდილობს თავი დააღინოს ამ უცნაურ ეიფორიას. ვეფერები სიზმრადქცეულ წარსულს და მეშინია მისი დაკარგვის. ზოგჯერ მგონია, რომ ის სიზმარი კი არა, ცხადი და სინამდვილეა. თუმცა, ლამაზი სიზმარი არ გინდა დასრულდეს და გამოღვიძების გეშინია. მიჭირს რეალობაში გადმოსვლა – მე ისევ იქ მინდა, ჩემს ბავშვობასთან.

ახლა მე მატარებლით მივემგზავრები. ნაცნობი მიდამოები მოჩანს ფანჯრიდან. მატარებლის ლია ფანჯარას არ ვშორდები. მოსახვევში ვხედავ მატარებლის ბორბლებს და მისგან გამოსროლილ ნაპერნკლებს. ვხედავ, როგორ ამოდის ორთქმავლიდან კვამლი. ჩემამდე აღწევს ქვანაბშირის სუნი და ორთქმავლის ქმენის ხმა. ჩემს თვალინი თვალუნვდენელი ზვრებია და სანახები. არ ვიცი, ამ ადგილს რა ეწოდება. ტრიალი მინდორია და შეი შეუაგულ მინდორში დგას ერთი „მარტოსული“ ხე. საინტერესოა, საიდან გაჩნდა აქ ეს ერთადერთი ხე?! ტოტები ისე აქვს განზე მკლავებივით განვდილი, თითქოს შველას ითხოვს, არადა, ვინ იცის, რამდენ დაღლილ და დასიცხულ კაცს შეუფარებია თავი მისი ჩრდილის ქვეშ.

ეს ხე თავისი სიმარტოვით ყოველთვის სინანულის გრძნობას იწვევდა ჩემში. ფანჯარას არ ვშორდებოდი, მანამ თვალს არ მოეფარებოდა „მარტო ხე“.

მატარებელი მიქრის. ქვანაბშირის ბოლმა თვალები ამინვა. შორს, მთის ძირში სოფელი მოჩანდა. მატარებელი პლატფორმაზე გაჩერდა. ვიყურები ირგვლივ, დასახლება არ ჩანს, მარტო ჭალებია, მაყვლის და კვრინჩისი ეკალბარდები. რალაც ერთ წუთში ისევ დაიკივლა ორთქმავალმა და ქშენა-ქშენით დაიძრა ადგილიდან.

– აბა, კორუიკები შეიძინეთ! – ისმოდა წინა ვაგონიდან. მერე ჯერ დაწნული კალათი გამოჩნდა თეთრ მარლაგადაფარებული, მერე თეთრხალათიანი გამყიდველი. ცოტა ხანში ახალი ხმა გაისმა „აბა, ცივი ლიმონათი“ და ვაგონში ურიკა გამოაგორა ქალმა და ასე ძახილ-ძახილით გადავიდა მომდევნო ვაგონში, შემდეგ ნაყინის გამყიდველი მიჰყვა.

ისევ ფანჯარას მივაკურე – და „ბორია გადაეტ, ბორია გადაეტ“ – „აბა, გავიგოთ მომავალი“ – დამტვრეული ქართულით გაპეოდა ვილაც ქალი; ბავშური გულუბრევილობით მივჩერებოდი თუთიყუშიან ქალს, რომელსაც მეორე ხელში პატარა კოლოფი ეჭირა, შეი სიგარეტის ფორმის ქალალდის გრაგნილები ეწყო, რომლებზეც სხვადასხვა შინაარსის ტექსტები იყო დაბეჭდილი: სიყვარულზე, წარსულზე, ანმყოზე, მომავალზე და სხვა. საფასურის გადახდის შემდეგ ქალი ეტყოდა „ბორია, გადაი“ და თუთიყუშიც ჩაქავდა ნისკარტს და ამოილებდა შენი ბედისწერის უსტარს. მოკლედ, ცოტა ხნით ფანჯარას მოვცილდი.

მატარებელმი მეზანერები იცვლებოდნენ. ზოგინი ჩადიდოდნენ, ზოგი ამოდიოდნენ. მერე დედა გამინურა, თვალები გეტკინებაზე და ძალით დამსვა სკამზე. ბავშურად გავიპუტე. ერთი მგზავრთაგანი ჩემს გამზიარულებას შეეცადა, რა გქვიაო, მკითხა, მერე თავადაც გამეცნო, ცოტნე მქვიაო და საუბარშიც ამი-



ყოლია: აბა, თუ მეტყვი კენჭი რომ შავ ზღვაში ჩავაგდოთ, რა მოუვაო? მახსოვს, რამდენი ვიფიქრე და ვუპასუხე, გაშავდება-მეთქი. მერე გამოცანებს მეყითხებოდა და ამ საუბარში დროც გავიდა.

ახლა ეს სამგზავრო მატარებელი ჩემი ბავშვობის მატარებელს არ ჰყავს. მისგან განსხვავებით უფრო სწრაფად მიჰქრის და თან მიაქროლებს უკან დარჩენილ ჩემი სიყმანვილის აუხდენელ ოცნებებს, ჩემს ფიქრებს, ჩემს მოგონებებს და სად იქნება ბოლო გაჩერება, ვინ იცის...

არასოდეს დამავიწყდება ის სახლი და ჩემი საძინებელი ოთახი, სადაც ბავშვობა და ყმანვილქალობა გავატარე. პატარა ოთახში, ჩემი სანოლის გვერდით, კედელზე გაქრული იყო პარკშუბის ხალიჩა. მახსოვს, დაძინებამდე სულ მას მივჩერებოდი, ჩემს ფიქრებს უზრიარებდი და მეგონა, მასაც ესმოდა ჩემი. მოკლედ, ის ჩემი სულიერი სამყაროს მესაიდუმლედ ქცეულიყო. ფანტაზიის ნიჭი ბავშვობიდან მქონდა. მუქი ლურჯი ცის ფონზე ლამაზად მოჩანდა ლალი ირემი შვილთან ერთად. მინდორი მოქარებული იყო საუცხოო ფერადოვანი ყვავილებით. ვინ იცის, რამდენჯერ მოვფერებიყვარ ხელით ირმის მოღერებულ ფუმფულა ყელს, რამდენჯერ ოცნებებში მათთან ერთად ვმდგარვარ მინდორში, ბალაზიც კი მიმიწვდია შველისთვის, ხელი ნაზად გადამისვია ცეცხლისფრად გადამლილ მინდვრის ყვავილებისთვის, ზოგჯერ თაფლის სურნელიც კი მიგრძნია. ეს ყველაფერი მე ძალიან მაშვიდებდა. რაზე აღარ



ივეტა პავლიაშვილი

ვოცნებობდი იმ ლურჯი ცის ფონზე, ის თითქოსდა ჩემი რუკა იყო, ანდა კომპასი, რომელიც ცხოვრებაში გზების გაევალვაში მეხმარებოდა. ასე გავატარეთ ერთად თითქმის ოცი წელი. მერე მე გავთხოვდი და ქმრის ბინაში გადავედი საცხოვრებლად. ბებიამ სხვადასხვა ნივთებთან ერთად ჩემი ბავშვობის ხალიჩაც გამატანა მზითვებში. როდესაც ბებიას უსტუმრობდი და ის ხალიჩა თავის ადგილზე აღარ იყო, სიცარიელეს ვგრძნობდი და ამის გამო რაღაცნაირად გული მტკიოდა. ჩემს ბავშვობას ვექებდი იმ კედელზე, რომელიც სადღაც გაუჩინარებულიყო. სურვილი მიჩნდებოდა ხალიჩა თავის ადგილს დაბრუნებოდა.

დიდხანს მქონდა ის ხალიჩა დაკეცილა. ვუფრთხილდებოდი, ვერ ვიმეტებდი მოსახმარად. მერე კი შვილებმა აღარ ისურვეს – ძველმოღურია, ვიღას აქვს ახლაო. რა იციან მათ, რამდენ თბილ მოგონებას მაკავშირებს იგი წარსულთან. პერიოდულად ვამზეურებ ხოლმე და ასე მგონია ჩემი ბავშვობა გადავირბენს თვალწინ. გაფრენილ დრო-უამს ორივე ურჩად ვედევნებით.

ვდგავარ და ვუმზერ ჩემს ბავშვობას, მის გულუბრყვილო გამომეტყველებას, ყურში ჩამესმის მისი ხმა, საამოდ მცემს მისი სურნელი. მერე საგანძურივით ვაგროვებ ამ მოგონებებს და რელიევიასავით ვინახავ გულში.

მატარებელი მიჰქრის და თან მიაქვს წარსულის საოცარი მოგონებები.

თაზო

ათრეული ამინდი იყო. დილით მზიანი, შუადლიდან კი თავსხმა წვიმა და ქარი. ქუჩებში განრისხებული ბუნებით თუ საყოფაცხოვრებო წარლვენებით დაღლილი ხალხი უღიმდამო სახეებით მიღი-მოდიოდა. სიღარიბე დასადგურებულიყო ქვეყანაში. მეტროს ჩასასვლელში, კიბეებზე ბედით ნაბოძები უმწებობით თუ სულიერი ტკივილით გატანჯული, წვიმით გალუმზული ადამიანები ისხდნენ და მოწყალებას ითხოვდნენ. უამინდობა, სიღუბჭირე და უსულებულობა ერთმანეთში ისე ჩახლართულიყო, კაცი ამ ქვეყნისას ვერაფერს გაიგებდი, ყველას თავისი წილი საფიქრალი და ტკივილი ჰქონდა ამ უკულმართ წუთისოფელში.

თამარმა ლაბადის ჯიბები მოისინვა და ხურდა ფული გაუნანილა სველ ასფალტზე მჯდომ გაჭირვებულ ადამიანებს, თავისი ფიქრიც კი დავიწყა უფეხო კაცის ქუდში ჩაგარდნილმა ათთეთრიანმა, ხელგამოშერილი პატარა ბიჭუნას ნალვლიანმა თვალებმა და მკერდზე მიკრული ჩვილბავშვიანი ქალის თავ-ჩაქირდულმა პროფილმა. სულსა და გულში თითქოს რაღაც ეჩვლიტა ქალს, ისეთი შენუხებული სახით

უყურებდა ამ ყველაფერს. სამშობლო უცხო ქვეყნად ეჩვენებოდა, თითქოს თავად ჩამდგარიყო წყვდიადსა და წათელს შორის და გამოსავალს ექებდა.

ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. თამარმა ქოლგა დაკეცა, კალთა ჩამოიფეროსა და ხალხს შეერია. გვირაბში ჩამწერივებულ სალაროებთან რიგი იდგა. უცებ გადასახურდავებელ ჯიხურთან წაცნობი სახე დალანდა. ეგონა, ეჩვენებოდა, მაგრამ არა, ეს თაზო იყო. მას არ შეეძლო ცრუ გამომეტყველებით თავის შენობვა, გაუნძრევლად, უაზროდ იდგა. სამყარო მისთვის გაყინულ ლანდად ქცეულიყო. კი მაგრამ აქ რას აკეთებს? სიკვდილმისჯილივით იდგა სალაროსთან და ხალხს დახმარებას სთხოვდა, ოღონდ ხელის გაუნვდენლად, თავმოყვარებაშელახული. თამარს მისი ჩურჩული არ ესმოდა, მაგრამ გრძნობდა, „ო, ღმერთო, მომიტევე“. — ამბობდა მისი დამუხჯვებული ბაგე და პირზე შეყინული სირცხვილი. რეკდა დუმილი...

მოულოდნებლის დანერგულმა და გაოგნებულმა თამარმა კარგა ხანს უყურა წაცნობ სახეს და მასაც რომ არ შეემჩნია, ხალხს შეერია. აღარ ახსოვდა





მხატვარი სოფიო ჭელიძე

სად მიდიოდა, რომელ მხარეს. ერთ ხანს ისიც იფირა, ეგება, მივამგვანე ან მომეჩვენაო, ცრემლები ახრჩობდა, თავს იკავებდა ხმამალლა რომ არ ეტირა. ეს ხომ მისი სისხლი და ხორცი, მისი ბიძაშვილია — თაზო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთ დროს შეძლებულ ოჯახში გაზრდილი თავმოყვარე კაცი აქამდე მივიდოდა, მაგრამ რას იზამ! ომი — ომია, სტიქია, რომელიც უბედურებას, გაჭირვებას და სილატაკეს მოაგორებს, თუმცა თაზო თავის გაჭირვებაზე არასოდეს ლაპარაკობდა, არ უყვარდა წუნუნი. თამარის ოჯახს დიდ პატივს სცემდა, ცდილობდა ხშირი სტუმრობით არ შეეწუხებინა და ტელეფონით მოკითხავდა ხოლმე. ზოგჯერ კი კარგა ხნით დაიკარგებოდა და მერე ისევ გამოჩნდებოდა. სულ რაღაც ერთი კვირის ნინ იყო თამართან, წარსულის ბედნიერი და სევდიანი მოგონებები გაიხსენეს. იმ ღამით იქ დარჩა და ბევრი ისაუბრეს. კიდევ კარგი, თაზოს კეთილი ბუნება და ხასიათი რომ მაინც შერჩენდა, თამარსაც ძალიან უყვარდა თაზო და ცდილობდა მის იჯახს შეძლებისადაგვარად დახმარებოდა. აკი არც არასოდეს გაუშვია ისე, ფული რომ არ ჩაედო მისთვის ჯიბეში, უკვე გვიანია, არსად დაიკარგო, ეტყოდა მოკრძალებული ხუმრობით. თამარს მცირედი დანაზოგი ყოველთვის გადანაული ჰქონდა და მთელი გულით ელოდებოდა მის გამოჩენას. ნუ წუხები, არ გინდა, მაქვსო, დარცხვენილი და თავდახრილი ეტყოდა მადლობას თამარს, თუმცა ამ დროს გროშიც არ ედო ჯიბეში. პატიოსანი ბიჭი იყო, სამუშაოს ვერ შოულობდა და ძალიან წუხები ამაზე. თურქეთშიც სცადა ბედი, მაგრამ ფიზიკურად სუსტი იყო მძმე სამუშაოსთვის და არავინ წაიყვანა. პერიოდულად კერძო პირებთან მუშაობდა, თუმცა ესეც სანატრელი იყო. აფსუს, რა ნებირად ჰყავდათ მშობლებს გაზრდილი, არაფერი აკლდათ, მაგრამ ომა ყველაფერი დააკარგვინათ. სამგზავრო ფული რომ არ ჰქონდა, კილომეტრები

ბევრჯერ ფეხით გაუელია, რა ექნა? უსახლკარო, უმუშევარი კაცი ვარიმას რითი გადაიხდიდა? ალბათ ახლაც რაღაც მიზეზი ჰქონდა და ამიტომაც თხოვდა დახმარებას. ის ხომ შორს, ქალაქგარეთ ცხოვრობდა, საერთო საცხოვრებელში, ოჯახთან ერთად.

თამარს მხოლოდ ახლა გაახსენდა თაზოს სიტყვები, მაშინ რომ ხუმრობა ეგონა — ერთხელ მათთან სტუმრობისას თაზომ ცოტა დალია და გაიხსნა საუბარში, ეს ცხოვრება მართლა ცირკიაო, ამბობდა, ორმოცდათალარიანი ვარიმა ვერ გადავიხსდე და გაორმაგებულს როგორლა გადავიხდიდიო. ამის გამო რამდენიმე თვე პატიმრობაში გამატარებინეს. უმუშევარი, უსახლკარო კაცი რითი გადაიხდის, თუ უფიქრია ვინმეს? ალბათ კიდევ მომაკითხავნენ, მაგრამ არა უშავს, ზამთარი მოდის, ციხეზე უკეთესი პირობები არც სახლში მაქეს და იქ გამოვიზამთრებო. მარტო მე კი არა ვარ, ჩემისთანა უქონლები იქაც მრავლად არიანო. ჩემი პატიმრობა თუ უშველის ქვეყანაში გაჭირვებას, ჯანდაბას, დამიჭირონო, ამბობდა სიცილით, მერე კი დააყოლებდა, ბრძენი კი არ ვარ, ჭკუა სხვას ვასნავლო, უბრალო მოკვდავი ვარო.

შეწუხდა თამარი, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ერთი ნაცნობი შენიშნა, სწრაფად გაემართა მისკენ, ვაგონში შესვლა რომ არ მოესწრო. გამოელაპარაკა, ჩანთიდან რეინის ორლარიანი ამოილო და სთხოვა, ჯიხურთან მდგომ ახალგაზრდა კაცისთვის მიეცა, ისე, რომ თამარი არ გაემზილა.

იდგა თამარი და ფიქრობდა, ამ შფოთიან წეუთისოფელზე, ყოველდღიურ რეალობაზე, გაჭირვებულ ადამიანებზე. მათი წუხილით სწუხდა და გული სწყდებოდა, რომ თავადაც არ ჰქონდა შესაძლებლობა მათი მატერიალური დახმარების. რა არის ცხოვრება? ალბათ კარუსელი, სადაც გატერდება, იმ გარემოში დარჩები.

თაზო ხშირად იხსენებდა მშობლებს, გული სწყდებოდა, ისინი ახლა მის გვერდით რომ აღარ იყვნენ, მათ აშენებულ სახლ-კარში კი ახლა უცხო ქვეყნის ადამიანები ცხოვრობდნენ და არც არასოდეს ინალვებდნენ უსახლკაროდ დარჩენილ მის ნამდვილ მებატონებზე. მონატრების მწარე ტკივილი სტანჯავდა თაზოს, მაგრამ იმედი არასოდეს დაუკარგავს, მუდამ სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ყველა დევნილი დაბრუნდებოდა თავის მაულში, თავის კარ-მიდამოზე და იმაზე უკეთ ააყვავებდა მტრისგან გავერანებულ მამულს. ნუთუ ეს ის თაზოა, ორიოდე დღის ნინ იმედით და რწმენით სავსე რომ ლაპარაკობდა თავდაჯერებულად, სწამდა, რომ ოდესმე გათენდებოდა ის ბედინერი დღე, როცა ყველა თავის კერიას დაუბრუნდებოდა, თავისი ცა, თავისი მზე ექიმებოდა, თავის ჭერქვეშ დაიღმებდა და თავის ნანატრ საწოლში გაიღვიძებდა. ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც თავის დაფანტულ მეგობრებს, მეზობლებს გადაეხვეოდა და ერთად იზეიმებდნენ დაბრუნებას. ცხადშიც და ძილშიც ის მუდამ იქ იყო, სადაც დაიბადა.

ბაქანთან ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაც ყვიროდა, უშველეთ, კაცი გადავარდა ლიანდაგებზეო. თამარს გულმა რეჩხი უყო, თაზო არსად ჩანდა...



ელდარ შიგიაშვილი

კონტაქტის კართველ ჭუქას და ქუბას,
 წარ სკოლება სისხლის ავდარი.
 სამართლი უმარკო კრავი
 მსხვერპლად შენირვად მზად არი.
 სამართლი საყლის სანთელი
 უნდა დაინვარს კამპარით,
 ღვთისმშობლის მინად გადიქტა
 სამართლი მოყმის მხარ-მკლავი!

ජ්‍යෙෂ්ඨ විද්‍යාල



ამ სოფლის იქით სოფელი...

ამ სოფლის იქით სოფელი,
იმ სოფლის იქით მთებია,
ვერ შეველი ზურმუხტებს,
რა ტკიმლად მიძინება!
ერთმანეთს დაშორებული,
გულს გული მონატრებია,
ვინ მიხმობს, ვისი ძახილი,
რა ზეკიპური ხმებია?!

გადაემზეო სულის საყუდელს,
 რა მნირი სანახებია,
 უწყლოდ და უსიხარულოდ
 ხენი ზეზეურ ხმებიან!
 გულს გარეთ ზურმუხტ-ლაჟვარდი,
 გულში – უდაბნოს ხვატია,
 შიგ სურველები იწვიან,
 ყველა ამ სულის ხატია!
 ყველა ცრემლებით ნაქარგი,
 ტკიფილით დასარახაზია!

၁၁၁

დავდივარ, ვეფხვი ვიპოვნო
ან მოყმე შენებრ თავხედი,
დამკრას და დავკრა ფოლადი,
ცის ელვად ამონახედი!
იქ შეგვდი, სადაც გველოდა
სიკვდილ-სიცოცხლის სამანი,
ვერც უკან დავბრუნდებოდი,
არც შენ დამითმე სავალი!
შენც დედის ძუძუმ გაგზარდა,
მეც დედის ვიყავ გაზრდილი,
არცერთს არ შეგვირცხვენია
მათი ლვთიური მანდილი!
იქ ჩამომფითე ჯავშანი,
სადაც ტყივილებს ვმალავდი!
მეც ჩემი ელვის ნასხლეტი
გულში დაგეცი ტარამდის!

სული ერთ თასად დავლიერთ,
ერთ ზიარებად გვისხნა,
ვინ იტყვის ქვიშა ნაღები,
რომელი რომლის სისხლია?!
ორ სიკვდილს ორი დედა გვყავს
და ერთი ჭირისუფალი,
ერთი სახელის გულისთვის
ცოდვას შეგვინდობს უფალი!

၃၂၉၁၂

ცხენებეთქვით მივდევ შატილებებს,
ხელში მანძინება ავჭარა,
სადა ხარ, პაპის ბილიკო,
რა ზეავ-მეწყერმა წაგმალა?
მალე ჩამოთოვს ჭიუხებს,
ერთს ელტვის ჩემი გონება:
ამ ჩემი გულის ძახილი
შენი სისხლის ხმას მოებას:
ვიხილო, სანამ თვალებში
მიყვავის უფლის ციაგი,
ხატის კარს აცეკვებული
ჩემი ჯიში და ჯილაგ!

କ୍ରମାବଳୀ ପରିପରାଗିତ...

ნაიბილება ცრუეთა ამბორით
სისხლით ნანერი შუბლის ვარაყი,
მსუბუქი მიწაც კი დამზიმდება,
თუკი უგულოდ გულზე დამაყრი,
ნითლად მიყვავის კეფა და შუბლი,
ეკლის გვირგვინად მექცა სახელი,
ვონებ, მეშველა, მომიახლოვდა
ბერლით ნათელში გადასახვევი!
სინათლისაკენ მიმავალ გზაზე
ბევრჯერ მეცვალა გეზი და მხარი,
ღუმილით შევკარ ჯვარი ტკივილთა
და სული ჩემი ზედ გავაკარი!






აპა, აღმოხდა მზე სისხლისფერი,
ცისკრის ემპაზში ნათელი
ბარტყობს,
რა უდაბური გახდა სოფელი,
თოვლის უდაბნოს მივყვები
მარტო!

ის აღმაფრენა

ის აღმაფრენა, ცად რომ
ამტყორცნა
ზეციურ ზართა ჩამოსარეკად,
ნისლი ყოფილა, მოხეტიალე,
რომელიც ისევ ნისლმა წალენა.
დაიმსხვრა ჩემი სისხლის ლუსკუმა,
გული, უსისხლოდ რაღად მარგია,
წყალმა წაიღო ყველა იმედი,
რაც მომქერძეს და რაც მაბადია!
მოძღვარი ჩემი, ღვთივწარგზავნილი,
რომელიც მხოლოდ ჩემთვის წირავდა,
ვის აღსარება მიუნდე ცრუმლით,
ზურგი მაქცია, გაუჩინარდა.
ისევ ისე წვიმს, გადაულებლად,
ჯანლი ედება ისევ სველ ველებს,
გლოვის ჰანგების ისმის გოდება
და სადღაც ცხედარს მიასვენებენ.

კრწანისის ომში მიმავალ შატილიონის

კრწანისს საომრად მიმავალს,
ხმალს გიურთხებდა შატილი,
გზას – დედის ცრემლი ფარული,
გულს შიგნით ამონატირი!
ყველა ნაღველი წალენა,
გულზე ნაფენი ნარ-ეკლად
ლაშარის ზარის ხმავერცხლმა,
ხევისპრის ჩამონარეკმა.
შენებრ საჯიშე მოზვრების
ლაშქარი, არაგვიანთა,
კრწანისთან სისხლის ავდარმა
ხმლის ელვად ააკიაფა!
იქნებ დაჭრილი ახმეტას
გამოგიტაცა თეთრონმა,
რომ შენი სისხლის ქარიშხალს
კვლავ უკვდავებად ეფრთონა.
წყლულებზე მოგესალბუნა
ალაზნის ველის მირონი,
კვეტერამ გულში ჩაგიერა
ბეჭბრტყელი შატილიონი!
შენი ბიჭობის კურთხევის
ხმა მესმის ცათა ზემოდან,
სამასი მყავდეს შენფერი,
რა მტერი მომერეოდა?!



ელდარ ზიზიაშვილი

სალილინი

ციხე, მზეციხე ქარქაშით
ხმლის ელვა-ამოძახება,
ლურჯლით იბურავს შუბლნათელს,
ნარბშეკვრით მეჯავახება!
ჩავუყვე ლილინად
ხეობებს, პირმზითიანებს,
ვისაც გულსგარეთ გილხინვარ,
ნადი, შენი გზით იარე!
ნისლებს ვუგერო ჯიქნები,
ნიადაგ სევდის ზარებს,
განა სულ ნისლში ვიქნები!
ერთხელაც გავიმზიანებ,
მოგზურდეს, მნახო, ეგება,
ლია ჩემი წალკოტი,
ხელგაშლით მოგეგებება
ეს გული შენგან ნაკოდი!

სოსან-ზაგე

სოსან-ზაგე ბადაგისამ,
აზაურა ყანის იამ,
თავთუების ცა-ლაუგარდით
სხივი ბასრი გულსა მწია,
წარბი დასხნა რისხვის ტახტზე,
კდემა პირსა არ იმჩნია,
მზერა მტყორცნა, ელდა მეცა,
ფერად ვიქენ ვითარ ბია,
ჩაეღიმა, გზა მიტია
და ფეტვივით დამაპნია.

ხერთვისი...

გულში მჭირს შენგან დაკრული,
ელვა, ძვალ-რკინის მკვეთისო,
მტრის რისხვად დაკვესებულო,
ცად აზიდულო, ხერთვისო!
სიზმრად ჩაგესმის ქართველთა
გნიასი ხმალთა ყეფისო,
სისხლი შენს ლიბოს, სული კი –
ცათა საუფლოს ერთვისო!
იქნებ ინებოს უფალმა,
შენამდე მოსვლა მეღირსოს,
მკერდი გიკოცნო, ნახმლევი,
ამბორით შემოგეთვისო!

სამასი პიროფლიანი...

სამასი ლალი მოზვერი,
ყველა საჯიშე ხარია,
ნეტავი საით მიდიან,
საით რა მიუხარიათ?



ამდენი დედის იმედი
რა წერას აუტანია?
მთიდან მომსკლარი ზვავი თუ
შავჩოხიანთა ჯარია?
ცა რად იკვრება სატირლად,
პირს რად იბურვენ მთანია?
გულამლვრეული არაგვი
რა ცრემლებს დაუბანია?
რად გმინაეს გაუტეხელი,
დიდი ლაშარის ჯვარია?
– სამშობლოს უნდა შესწიროს
თავის გაზრდილი ყმანია.
კრწანისის კართან ჭექს და ქუხს,
ცას სკდება სისხლის ავდარი.
სამასი უმანკო კრავი
მსხვერპლად შენირვად მზად არი.
სამასი სულის სანთელი
უნდა დაიწვას კამკამით,
ღვთისმშობლის მიწად გადიქცეს
სამასი მოყმის მხარ-მკლავი!
სამასი პიროფლიანი
სისხლის არაგვმა დალია,
დედას მოუკვდეს სამასი,
ვაი, რა ცოდვა-ბრალია!
სამასი უხედი კვიცი
ერთი მეორის მგვანია!...
ვახ, რა ვთქვა? იმათი სისხლი
ჯერაც ვერ მოგვიბანია!

არაფერის არ ვყოფილვარ...

არაფერიც არ ვყოფილვარ,
არავინაც არა ვარ!
მქრქალი ნისლი, ასხლეტილი
ჩავლილ ნისლთა ქარავანს!
მივუყვები მზედანრეტილ,
სალ ჭიუხთა ბილიკებს,
მივცურავ და შენი სუნთქვის
ხსოვნა-სურნელს მივიკმევ!
ფეხთით გიფენ გულის ფეთქვას,
სუნთქვას, უფლით ნაბოძებს,
ხმალი დამკარ, გინდა გული
ტყვიით გამინაძოებ,
თოფდაკრული, კიდევ ერთხელ,
კიდევ შევიფრთამალებ
და გავყვები ცოდო-მადლით
გულგასენილ ტრამალებს!

ვარ მონა ღვთისა...

ვარ მონა ღვთისა და ჯვარზე გაკრულს
ქედს ქართველობის მადგა უღელი,
შებოჭილი ვარ და ფრჩხილებიდან
მოწვეთავს სისხლი ჯერდაუღვრელი!

თვალს ვერ ვუსწორებ დიდპაპას მზერას,
ცეცხლს ვეღარ იტევს გულის ბუხარი,
ვინა თქვა: „მოკლეს „სული თანმდევი“,
მყინვარნვერიდან გადმომქუხარი!“
დაუნგრევია უფლის საყდარი
ჩემს მიწა-წყალზე მომენტულ როკაპს,
და ახლა, ურცხვი თავმოწონებით,
წმინდა ლოდებზე შუშტრობს და როკავს!
ამხსენით ყველა ბორკილ-მარწუხი,
მცურავს გამოვხსნა ნაკურთხი ლიბო,
და ჩემი სევდა, მტრის ზიზლთან ერთად,
დაუღალავად ვთიბო და ვთიბო!
მექმენ მეოხად, ჯვარმზედ ხელქმნილო,
ქალწულის თმათ და ვაზის ლერწო,
როგორც ბარძიმი, ზედაშით სავსე,
დავიცალო და ცას შეველენო!

გავათრევ, კიდევ გავათრევ

გავათრევ, კიდევ გავათრევ,
კიდევ ბევრ ტკივილს გვიტან,
კუბოზე ბოლო ლურსმნამდე,
გულს ბევრჯერ დაერულ დანიდან!
არც რა ყოფილა მანძილად
ჰორმდე თურმე ანიდან,
ერთი უღონო ტკრციალი
უკუნისამდე წამიდან,
ნისლი, გულს შემოლესილი,
ნისლს რომ გაჰყვა და წავიდა!
დიდპაპას სისხლის ზინათი,
ჩამობერტყილი ქავიდან!
მზერას მარიდებს მარჯვენა,
ხელი, კვლავ მოსაცარი და
მაჯაში ხმლით მოსაკვეთი,
ჯვარზე მილურსმულ მკლავიდან!

ფრთებად ვრეჭე მზეთა სხივი...

ფრთებად ვბეჭე მზეთა სხივი,
გადავევლე გლოვის ველებს,
გლოვის ჰანგთა, ღვთაებრივი,
ჰარმონია ვისურნელე!
ბილწო საქებრად ვიხშე ბაგე,
ვერ ვაოკე ბრიყვთა მადა,
კვლაცა ღორთა ფერხთით ვაგე
მარგალიტი, რაც მებადა!
ან რას ვაენევ, ფიქრთა ძახვას,
დაბნეულო, მოვზე, მძივო,
მოვკვდები და ვეღარ მნახავ,
სული უნდა დავიმძიმო!
ავუდერდები გლოვის ებნად,
უსაგნო და უილაჯო,
უმადურთა საამებლად
თავი რაღად დავისაჯო?!





მარია ძაგუპაშვილი

ବୀନ୍ଦୁପୂରୀଙ୍କ ଗର୍ବପାଇଥାବ ହିମ୍ବିଳ ବିନ ଅଣିଲୋ, ଶାକ୍ତି ବେଷ୍ଟି
ଅନୁଷ୍ଠାନିକ. ମନ୍ତ୍ରିନ୍ଦ୍ରିଯିଲୋ, ଶିଶୁଙ୍କ ମନ୍ତ୍ରିଗ୍ରହଣୀଙ୍କ ମାନନ୍ଦୁବ୍ୟବରୀ ମନ୍ତ୍ର-
ବିକାଶପ୍ରସରିତ. ମନ୍ତ୍ରାଳୟରେ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ, ପ୍ରାୟତ୍ତରୁଳନ୍ତରପରିଲ୍ଲେଖ, ମନ୍ତ୍ରାଳୟ
ମାନନ୍ଦ ମାନନ୍ଦିକ୍ଷାଙ୍କ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ, ଗ୍ରାୟାନିକ୍ରମପୂର୍ଣ୍ଣିତ ହୀନ-
ଧ୍ୟାନରେ, ଆତ୍ମପୂର୍ଣ୍ଣିତରେ, ଅନ୍ତର୍ଭାବରୁଳିତ ତତ୍ତ୍ଵବ୍ଲେପିତ ମିଶ୍ରିତରେ. ଗ୍ରାୟା-
ପରିପୂର୍ଣ୍ଣିତ ନିଜାଳୀଳ, — ତାତ୍କାଳିକ ମଧ୍ୟରେ-ମନ୍ତ୍ରାଳୟଙ୍କ ଗ୍ରାୟାନିକ୍ରମରେ
ଶ୍ରୀଲଙ୍ଘନାମଶ. ମନ୍ତ୍ରାଳୟ, ତତ୍ତ୍ଵବ୍ଲେପିତରୁଳିତ, ମ୍ରଦ୍ଗାରାତ୍ମ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ
ଗ୍ରାୟାନିକ୍ରମ, ମନ୍ତ୍ରାଳୟ ପ୍ରାୟତ୍ତରୁଳିତ. ମିଶ୍ରିତବ୍ୟବରୀ, ରକ୍ତବ୍ୟବରୀ ଦ୍ୱୀପବ୍ୟବରୀ
କାହିଁକିଏବେଳେ ତାତ୍କାଳିକ ପ୍ରାୟତ୍ତରେ. ଆ, ତତ୍ତ୍ଵବ୍ଲେପିତରେ, — ଗ୍ରାୟାନିକ୍ରମ
ଗ୍ରାୟାନିକ୍ରମରେ ତାତ୍କାଳିକ ପ୍ରାୟତ୍ତରେ — ତାତ୍କାଳିକ ପ୍ରାୟତ୍ତରେ.

၃. ငြခန္တုံးအဖွဲ့

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

ერთადერთია, რომელთანაც ჩემი სულის უნაზესი ძაფები დავაპი, დავუკავშირე მთელი განვლილი, ხანგრძლივი თუ ხანმოკლე ჰქონდება...

მინიდან ამოხეთქილი ენძელას მოკრძალება, ქარისგან შემკრთალი, ყვავილებით მოჩითული ყანა, საუკუნოვანი მუხების ხედ გადაქცეული ფესვები, ღრუბლიდან ჩამოვარდნილი წვიმის წვეთი, გუბეს რომ აფორიაქებს, ფიფქის დაცემის ხმა, ზამთრის სიჩუმეში რომ გაიგონებ, ლაუკარდში გაუჩინარებული ქორის ჭყივილი... მოკლედ, ბუნება მთელი თავისი აღლადიდებით. რა კოტა მოვინდომე?!

ბევრი ოცნება დამრჩა აუხდენელი, მაგრამ როგორ ვაპატიებდი ჩემს თავს, არ მენახა და მისი ცხოვრებით არ მეცხოვრა თუნდაც ის ერთი ბეწო დღი, რომელიც მასთან დავყავი...

გზის ნაპირი მთიდან მოვარდნილ წვიმის წყალს ჩაუხრამავს, თიხას გადაულესია აქა-იქ შემორჩენილი ძირმაგარი ბალახები, ჭრელ-ჭრელი კენჭები. მოზრდილი ქვები ნალექს დაუფარავს. ზემოდან ჩამოყოლილი ფოთლები და წვრილ-წვრილი ტოტები კალაპოტშია გაწერილი.

ერთი ნაბიჯი და მაყვლის ბარდების გაუვალ კედელთან აღმოგზნდი. შიგადაშიგ ანნლის მწვანე, აქა-იქ შენითლებულნაყოფიანი ღეროებია გამორეული. თავს ჩიტების უზარმაზარი გუნდი გადამევლო და სხრაფად გაუჩინართნენ მეზობელ ბერჩებში.

მივინებვ, მივარღვევ ეკლების ზღუდეს. სახიდან და ხელებიდან ვიცილებ უჩინარ ქსელებს, რომლის სირბილისგან ზიზლის მეტს არაფერს ვგრძნობ, ობობებს რომ გაუბამთ ბუჩქიდან ბუჩქამდე. უზარმაზარ ყვითელ, გაურკვეველი შავი ზოლებით ზურგდამშვენებულ იმათვანს, რომლის მოხატულობა, ალბათ, მხოლოდ ჩემთვის არის აბსტრაქტული, რადგან ბუნებამ იცის, რასაც აკეთებს. ხელით ვუბიძგებ, მაგრამ დახეთ თავხედობას, – დანებებას არ აპირებს. ბოლოს მთელი ძალით ენარცხება მახლობელი ბუჩქის ფოთლების სახურავს.

გზამ, — ორი ნაბიჯია, — ფიქტების გაუვალ
ტყეზე აიმაღლა. მათი ფესვების ქვეშ ჩამოშლილი
მიწიდან ყვითელი, ჭუჭყიანი ქვებია გამოჩრილი.
წვრილი მცენარეები ძაფისებური ფესვებითაა გაბ-
მულ-გამობმული მთელ სიგრძეზე.

დატკეპნილი, მუდმივი ნესტისგან დაღლილი ბალახი, რომელიც ტყის შესასვლელთანვე მხვდება თვალში, მოკლე პილიკზეა მისვენებული. ფრთხი-ლად ვადგამ ფეხს...

მთელი არსებით ვინთქმები ფიჭვების
ჩამუქებულ გრილ სამყაროში.

მინა წინა წლის და უამგასული, ნამცეცქბად ქცეული წინვის ღერებითაა დაფენილი. კუნძები ხავსის ფუმფულა, ნემსებდაბნეული ბალიშებითაა დაფარული. გონების თვალით წარმოდგენილი სანახაობა რეალურში იხლართება... თავს ზემოთ, ქვემოთ, ირგვლივ, ყველგან წინვია. ყველაფერი ისე შენივთებულა მათში, რომ მხოლოდ იმათით გე-გონება შექმნილი...

ჩხველეტიათა საბრძანებელი გარინდულა. მეჩვენება, თავს ვერაფრით დავაღწევ თუ გავტედე და შევუტიე, მეორე მხარეს ვერასოდეს ვიხილავ თუ პატარ-პატარა, ახალბედა აღმონაცენების ნემსებმა არ დამჩივლიტა, ან თითებზე არ ამეკრო წებოვანი, ყვითელი ფისი, უბოდიშოდ რომ გამხვია მწკლარტე აურაში. ირგვლივ ყველაფერი ფისის და მინის სურნელითაა გაუღენთილი, სიცოცხლის სუნს დაუსად-გურებია ამ, ერთი შეხედვით, უსახურ არემარეზე. შენ მწკლარტე ეძახე და აქ სულ სხვა ჰაერია, სუნთქვა აღარ მიტირს. მათობელა და მსუბუქია მისი ბლანტი უანგბადი. ერთ რამედ ღირს ფიჭვის ქვეშ, მის წებოვან ტანზე მიყუდებულმა, ღრმად ჩავიტერინ ფილტერში მთელი ეს ჯანსაღი სიგრუკა.

ლურჯი ცა მხოლოდ აქა-იქ მოჩანს იკლიბაკლო
ნაჭრებად კენწერობს შორის. ნოხზე ხისქვეშეთისა
უწვრილეს ჩრდილებად იბნევა ჩხვლეტია ლეროები,
მათში (კის წევტიანი ნაკუნძები გამოჩრილა. თვალს

ვერ ვაცილებ, იქიდან ძალზე სუსტი და ნაზი სილურჯე მოუმონავს.

თითო-ოროლა ქათქათა ნაფლეთი ღრუბლისა კი ხანდახან წამოედება ყველაზე მაღალი ხის წვეტიან ბოლოს, მაგრამ ჰაერის მსუბუქი ტალღები მაინც მიერევება შეუმჩნევლად სადღაც შორეთში, ჰორიზონტს იქით. ჩრდილ-საც კი არ ტოვებს, ისიც ხომ მას ეკუთვნის.

მივაბიჯებ ნემსების ხალიჩაზე, რომლის ქვემოდან ნესტიანი სითბო მოიზღავნება და მთელი სხეულით მითორევს ლპობაშერეულ არომატში. ათასგვარი შემმუსრავი

„ხელი“ მთელი ძალით ცდილობს შემაჩიროს, მე ხომ მათი სამყოფელის სიმშვიდე ხელვყავი. სიმშვიდე, რომელიც მხოლოდ მატრაკვეცა ციყვების არსებობას დაურღვევია. მხოლოდ მათი მოუსვენარი ყოფა იძლევა სიცოცხლის ნიშანყალს, ხმაურის ექი კი იქვე მდგარ ხეთა ვარჯებისან დაცხრილულ მოლურჯო ბინდში დნება. თითქმის, ყოველ ხეზე გაუმართავთ საცხოვრებელი. ფულურო სქელი ხავსის, ხმელი ბალახისა და ბერვის ქვეშაგებით აქვთ ამოფენილი, – ეს მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია იმდენად, რამდენადაც ახლოს მისვლა არ შემიძლია. ჯერ ერთი, ამ ტანმაღალ ხეებს ძირის ტოტები მთლად შემობია, რადგან საკამა სინათლე და სითბო არასოდეს ღირსებიათ. მეორეც, ბასრი დამცველები ყოველთვის ფხიზლად დარაჯობენ. ასეთი მზამზარეული საცხოვრებელი ადვილად მოსაპოვებელი როდი გახლავთ, ბედი ყველას არ უღიმის. კუდფუმფულას მეტ გზას არ უტოვებს ბუნება ზოგჯერ, – მან საკუთარი „ხელებით“ უნდა ააგოს თავისი ნავსაყუდელი, სადღაც მაღლა, მოქანავე კენწერობენ. ის კი, პატარა ბრჭყალებით ნაშენები, საოცრად თბილი და რბილია.

თავზე გირჩის ნაფექვენი მაცვივდება. გაოცებული თვალებით მივაცილებ პატარა ოინბაზს. ბუდეში თავშერგულს გარეთ კუდის წვერილა მოუჩანს...

ამ არასტუმართმოყვარე მასპინძლის სამყაროს ფრინველიც კი იშვიათად ეკარება, ერთ ბუდესაც ვერ დაინახავ, ერთ ჩაჭიკიკება-ჩამლერებასაც ვერ გაიგონებ. ეს სიმშვიდეა, სიმკაცრის იერი რომ დაჰკრავს.

ყურთასმენას ნაწყვეტ-ნაწყვეტი კაკუნი სწვდება.

– „ამ უძლებ მერქნიჭამიას ხომ ვერაფერი მოვუხერხე“ – კოდალა მთელი ძალით, გაბრაზებით სცემს პატარა ნახვრეტს, რომელშიც ძლივს ეტევა მისი გრძელი, მარწუხისებური ნისკარტი. რამდენიმე საათია ამაოდ ებრძვის პატარა მავნებელს, მყუდროდ რომ მოკალათებულა სილრმეში და აინუნშიც არ აგდებს სასიკვდილო მარმის გამაყრუებელ



მარია ქამუკაშვილი

ბგერებს, მის გასანადგურებლად რომ მოიწევს. ან ესმის კი?!

მხოლოდ ამ თავნება ჭიალუების იმედზე ხომ არ იქნება?! ხის ქვეშ ყრია აუარებელი ნარჩენი გირჩებისა. ნისკარტით დამტვრეულიდან გრძელი ენით გამოიუტანია გემრიელი თესლები.

აგერ, უკვე დღეები გავიდა, ყველა მატლი ამოათრია ხერელიდან, მაგრამ კაკუნი არ შეუწყვეტია. ფულუროს აკეთებს, საცხოვრებლად რომ გამოადგება.

ნინვების გროვიდან ჩემს წინ დიდი, შავი ხოჭო ამოქვრა. მოზრდილი, შიშის მომგვრელი მარწუხები მოუმარჯვებია. მოძრაობას ვწყვეტ,

ვუთვალთვალებ, მაგრამ მაინც მამჩნევს უჩვეულო არსებას. გაკვირვებული ჩერდება, დაჭყეტილი, ამიბურცული თვალებით მიცქერს. გაშეშებული იცდის, – თითქოს მტერ-მოყვარის გამოცნობას ცდილობს. ბოლოს, თავმოპეზრებული, მკაცრად არხევს გრძელ, მოძრაულვშებს. მბრძყინავ, რქოვანა ზურგზე საჩვენებელ თითს ვუსვამ. აი, თვალომაქცი, – გვერდზე გადაყირავდა და ფეხები გაფარჩხა – თავს იმკვდარუნებს. პატარა წკირით ვუბიძგე, ფეხზე წამოვაყენე. მიხვდა, რომ გაუვიდა ეშმაკობა და თავს გაქცევით უშველა. ისევ ძველ ხერელში მიძვრება, მისი შავი „კუდი“ ნელ-ნელა უჩინარდება, ზემოთ კი მიწის ნამცეცების ტალახიან კვალს ტოვებს.

უანგისიფერი ჭიამაია დაფიქრებული მიცოცავს ჩემს ხელზე, კვლავ უკან ბრუნდება, ფრთხებს შლის. მისი სხეულის ქვემოდან შუქი, მოყვითალო ლაქა გამოჩნდა. თითქოს გაფრენა სწადა, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, თითქოს ჩაეძინა. ფრთხილად ვიშორებ, დაბლა ვსვამ. გზას მეორე მხარეს აგრძელებს, ალბათ, დაავინებდა რისთვის იყო გამოსული.

ნამცეცა ჭიანჭველას უშველებელი წინვის ლერო აუთორევია და მასთან ერთად მოკლე, დაკუთხული ჩრდილიც მიცოცავს.

აქეთ, ბალახს შეფარებული კალია გადმოხტა. ნეტავ, როგორ ახერხებს ამას „გადატეხილი“ ფეხებით?

ძველისძველ მორზე ჩამოვჯექი. ნამიანი ბალახის ქვეშ იზნიქება გაკრიალებული საფენი. ჩაურინილი წყლისგან ატალახებული მინა ტყუილად ელოდება გაშრობას, მხოლოდ თხელი ფენა შეუშვრია ნიავს, – აჩრდილს მძვინვარე გრიგალისა. უძალიანდება, არ უნდა დამარცხდეს, მაგრამ ტყვრს ღონე გამოუცლია. ალერსიანად დასრიალებს ხეებს შორის, – სხვა რა გზა აქეს, იმის ძალაც კი არ გააჩნია მოზაიკა შეუცვალოს ამ ხელოუქმნელ, მაგრამ მაინც ერთგვარვან ხისევეშეთს, – ზამთარ-ზაფხულ მხოლოდ ხმელი მძლავრობს ნიადაგზე, თუმცა, ადგილ-ადგილ ამოხეთებილი მწვანე და ძუნნად მოვლენილი ყვავილები ახალისებენ მუდამ მოწყენილ და უხალისო გარემოს.





ზოგ ადგილას, წინვის მხოლოდ თხელი საფარი რომ ფარავს, სოკოები ამონათებულა, ქუდებზე წინვები მისწებებიათ, ხოლო ფეხები დაბლიდან ამოტანილი მიწის სველი ციცქა კოლბოხებით დალაქავებიათ. ქოლგის ქვემოთ შემოჭერილ ბაბთაზე ჩამოკონწიალებულა უწვრილესი ბურთულები, – რომლებიც ამ პანია ზღაპარს გველებაპებივით დაპატრონებიან და თავის თავში გამოუმწყვდევიათ. ერთი ციდა სფეროს შიგნით დავანებულა მთელი სამყარო, საიდანაც სიხარულად იღვრება მზის კაშკაშა სხივები და მდორედ მოედინება სევდა ფერმერთალი ჩრდილებისა.

ძუნწად ეშვება ჩახშირებულ ხეების კენწეროებში მზის ირიბი სხივები. დაბლა ნაყარ ნესტიან წინვებსა და ტოტებს შორის ძველისძველ, ვინ იცის, როდის ჩამოტეხილ ქერცლიან ტოტზე შემორჩენილ გამხმარ გირჩს სამოსის კალთები გადაუხსნია. დიდი ხანია ფრთიანი თესლები ქარმა ფრიალ-ფრიალით მიმოფანტა. სხეული დაუუძლურდა, ნიავიც ველარ ანიჭებს სასიცოცხლო ძალას, მხოლოდ ოდნავ შეტოკდება, – კვლავ, ძლიერად უჭირავს დამპალ, დაფუტუროებულ მეგობარს. მის გაუხეშებულ კანს შეგრძნების უნარი დაუკარგავს. ერთადერთი, რასაც გრძნობს, მოლოდინია იმისა, მიწის ნაწილად იქცეს, მასთან ერთად შეიგრძნოს მარადიულობა მილიარდი წლებისა... მაგრამ ეს რა არის? – ერთი ნაპირებშემომტკრეული და მეორე – ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე სოკო ამოღერებულა სანახევროდ დამპალი, სინესტისგან ჩამუებული სხეულიდან. თვალს არ ვუჯერებ, როგორ მისცა სიცოცხლე, რომელსაც თვითონაც დიდი ხნის წინ გამოთხოვებოდა?! ფრთხილად ვქექავ წინვების და ქერქების გროვას. მიწით ამოვსებული ქერცლების შეუგულიდან, ერთი ძირიდან ამოზიდულ ქოლგებს ქუსლი მინაზე დაუბჯენია და თითქოს ზემოთ ასვლას ცდილობენ. საოცარია, ამდენ თავისუფალ ადგილზე, მაინცდამაინც, მომაკვდავს მიეკედლნენ და უკანასკნელ სუნთქვას აცლან.

ცივა. ციდა ყვავილებს თავები ნაღვლიანად ჩაუქინდრავთ. გვირგვინის სველი ფურცლები მუქ ვარდისფრად ეღვენთებათ დაბილულფოთლებიან ლეროზე. ხალისიანად კაშკაშებს ყვითელი, წვრილი ყვავილები და თვალის მოუშორებულად უდარავებს თბილს, ნაზს, ალერსიანს – სიცოცხლის იღუმალ შთამაგონებელს – დიახ, ეს მზეა მზისფერი.

ნესტი ფეხსაცმელს მისველებს. ფეხები მეყინება, სხეულში გრილი ტალღა მივლის. უკანასკნელი სითბო მოედინება ჩემი სხეულიდან. ვიღაცას სურს იგი მხსნელად მოუვლინოს, – გაალხოს ნესტისგან და სიცივისგან გაყინული სულები ამ ტყის ბინადრებისა, სადღაც, გულის კუნძულში მიმალულ სითბოს მხოლოდ ყვავილებად რომ ასხივებენ.

ფრთხილად ვპიჯებ. დამპალი, მლიერებ-მოდებული ჩხიმლები ყრუ ტკაცუნით იმსხვრევა. სარბად ინოვს ექოს სველი წეშომპალი.

– „რაღა მე დამადგი ფეხი“, – წინვების ქვემოთ



მხატვარი სოფიო ჭელიძე

მიმალული წვეტიანი გირჩის დაქუცმაცებული სხეული საყვედურით ამომცერის. სწრაფად ვინაცვლებ ნაბიჯეს, კვლავ ვიღაცას ვაბიჯებ, – სხვა რა გზაა, ფიჭვისქვეშეთი წინვების საფარქვეშ მოქცეულ, მრავალი წლის მანძილზე ჩამოცვენილი ყავისფერი ნაყოფითაა მოფენილი. ერთმანეთშია არეული დაშლილი და სანახევროდ დაშლილი კონუსისებური ფორმები. ბლომად ყრია ახალიც, ჯერ კიდევ სიმნვანეშერჩენილი. ჭიისგან გამოხვრეტილი „ორმოებიდან“ ჟავად იყურება სიცარიელე.

– „ჩემი არ მყოფის?“ – იქით ყვავილი იბუტება – ვერც კი შევნიშნე. მოკრუნჩეული გვირგვინი ფესვებამდე აქვს დახრილი. სუსტი ღერო მუხლში მორდვევია. ნამოდგომას ამაღლ ცდილობს. შერცხვენილი ფრთხილად ვეხმარები, საყრდენად კი წინვების პანია გორაკს ვუტოვებ.

ხის გამხმარ გადანაჭერზე, რომელსაც ნემსისებური ღეროების სქელი ფენა ფარავს, ხავსი შეცოცებული. მისი ფაფუუკა, რგოლებად დახვეული ყვითელ-მწვანე ბუსუსები აშუქებს ნახეთქი ქერქების ღრიფებიდან მის ტანზე. კიდევ ერთი ცდილობს პარაზიტად თანაცხოვრებას. შემომპალი, რამდენიმე უსუსური, ალბათ, წინა ღამით ამოსული სოკო უდგას დარაჯივით. ამოღრუტნული ზედაპირი ქარს მინით და ნეშომპალათი ამოუესიათ. შიგ ამოზრდილა ფიჭვის პანაწკინტელა წინვიანი ნერგი, შუაგულში ჩაუშვია უსუსური ფესვები და იქიდან წოვს საკვებს.

უხვად ყრია კანიანი და კანშემოცლილი ნაფოტები. მერქანი სადღაც გამქრალა, მხოლოდ წინვებ-შემხმარი წვრილი ტოტები ყრია ძირს ან უხილავ





საყრდენზე ჩამოდებული ელოდება თავის ხედრს. უამრავი ტყუპი ნემსი მოგლეჯილა და უღოწოდ გადაკიდებულა მორკალულ ღეროზე.

მინამდე ვერც კი მიუღწევია, უშნოდ გახიდულა, – ძირი გადანატებზე დაუდვია, ხოლო კენწერო ბუნკარში იკარგება. ლაქებმოდებული, უზარმაზარი სხეული ისეა დაფუტურობული, ოდნავ შეეხბი თუ არა, ჩამტვრეული ხერხემალი უმალ ჩაემხობა ნიადაგში. ასეთი კი უამრავია.

ყველგან წინვების ტყუპებია მოდებული, წვრილი ხეების ვარჯების ყოველ განშტოებაზე შემომსხდარან მხედრებივით, იქით სოკოს ქუდზე გადაულაჯებიათ, აქეთ დაბალი ბალახის ფოთლები გაუხერტიათ და მინაში ჩარჭობილან თავიანთი ნემსისებური ბოლოებით. მოკლედ, მთელი ეს სამყარო მათ განკარგულებაშია.

თვალი ავაყოლე ტანთხელ ფიჭვს, კენწერო უსასრულობაში ეკარგება. ლამაზია, მოხდენილი.

– ვერსად გავეძეცი ამ უნამუსო სუროს, ლამის ცას მივწვდე, ეს თახედი თანამგზავრი კი ვერაფრით მოვიშორე, – მივდვარ და მომდევს. ისე ვყავარ ჩაბდუჯული, სუნთქვაც ალარ შემილია. მახრჩობელა გველებივით მაცოცდებიან ტანზე, მიჭერნ და მიჭერნ. წვრილი, მრავალფეხას მსგავსი ფესვები კი საცეცებივით მეტვევა, თანაც განა ერთია, მთელი სხეული მათით მაქვს დაფარული. ჩემი საბრალო კანი მათ საცხოვრისად არის ქცეული. ხასხასებენ, შრიალებენ მისი ფოთლები, მე კი ტოტების გატოკებაც მიჭირს. მიშველეთ ვინმერ, მომაშორეთ ეს სიკვდილის მოციქულები. ძალიან ღრმად ვეშვები მინაში, საკვები არ მყოფნის, ეს ჩემი დამაქცევარები მზად არიან ყველაფერი შეჭამონ, შესვან, მოსპონ, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინც შერჩენიათ იფიქრონ, რომ ჩემი სიკვდილი კარგს არაფერს მოუტანთ. კი, ლამაზი ვარ, ეს „ბოროტების“ სამკაულიც ძალიან მიხდება, მაგრამ დავიღალე...

მინები ყინულის კრისტალებს დამსგავსებიან. უცნაურ ფიგურებს ამოუცსია თვალისოვის შეუმჩნეველი უსწორმასწორო ზედაპირი. უამრავი ნაკანი და ჩაღრმავებაა. სწორედ იქ გროვდება მიკროსკოპული ნატეხები ყინულისა, იქ გადაშლიან არამინიერად მშვენიერ სამყაროს. ამ აბსტრაქტიზმში ნაცნობი ფორმებიც ერევა იშვიათად. აი, ეს პანია ყვავილს ჰგავს, იქ ბუჩქია, აგერ, ხეებიც...

ტყეში კი ერთმანეთს ხელს არ უშლიან, – ტანაშოლტილთა გვერდით ბებერ, ტოტებგაშლილ ფიჭვებს თავიანთი საფიქრალიც და საზრუნავიც თავზე საყრელი აქვთ, არ ერევიან ერთმანეთის ცხოვრებაში, თავიანთ წილ სინათლეს და სითბოს თანაბრად ინანილებენ.

ადრიანი დილა მშვენიერების შარავანდედად ადგას ტყეს. ყინვა მპრწყინვა ნამცეცებად ეფინება წინვებზე.

ტანმაღლები, მოზღვავებულ ნაკადებს ფიჭებისა, ვერ აკავებენ, მხოლოდ მცირედით კმაყოფილდებიან. სამაგიეროდ, თეთრი და ქათქათა ბალიშები თოვლის ამშვენებს ტანდაბალთა მძიმედ დაზნექოლ, ცხოველის თაოს მსგავს ტოტებს. ჩაც გადარჩებათ მსუბუქი მარმაშივით ეფინება უანგის-ფერ, ერთმანეთში გადახლართულ ნემსებს. აქა-იქ ამოჩრილი გირჩები კი თეთრ ქუდებს ირგებენ, მალე მათ ყავისფერ შიგთავსის სიცარიელესაც შთანთქავს მდუმარების ეს გაუგონარი სიმბოლო – თოვლი.

ტყის განაპირა ზოლის ბინადრების პირამიდული სილუეტები მკვეთრად იხატება თეთრ ფონზე. მარმარილოს სიქათქათებია გარინდული წინვიანი ტყე. სიცოცხლის ნიშანი კი მხოლოდ დაბარდნილი ტოტების ქვემოდან გამომზირალ სიმწვანებია შებუდებული, მათში არასოდეს წყდება სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ელოდებიან სინათლის, სითბოს და სიმწვიანის გაზაფხულს. გაზაფხულს – ძლევამოსილი, უშრეტი სიცოცხლით.



მხატვარი ვანო გოცირიძე





თინათინ თელაველი

ზღვიფან, რომ გამოდიოდნენ, იქვე, მზით გასარყეცად, ნამინოლილ ყმანვილთა ჰგულიფან, ერთ-ერთი, რომელსაც საჩინოილობელი ქუდი სახეს ნახევრად უფარვედ, ზანტად ნამიმიპროცეს, ესმერლოდას წელზე ხელი შემოხვიდა და... ზღვის სანაპიროსკენ გასეირინება შესთავაზია. ესმერლოდამ ზიზლით მოიშორა თავხელი „თაყვანისმწერელი“, ხოლო მისი საშუალო ძმა, ის იყო, სასტრიკად უნდა გასწორებოდა მოარჩიულს, რომ მოულოდნელობად, ვიღუწის ძლიერი მუშავი, უფიფარ ყმანვილს ისეთი ძალით მოხვდა სახეში, ტუფილ-ისაგან თვალთ დაუშენელოდა და იქვე ჩაიყვარა...

က. ကျော်ခွဲရှုရန်

სიყვარული...

ოდესისაკენ მიმავალი მოხეტიალე ბოშათა
ბანაკი, განსაზღვრული დროით როსტოკში, რკი-
ნიგზის სადგურის მახლობლად დაბანაკდა. ისინი
თავს იყრიდნენ ხოლმე სადგურში, რათა, შემოსუ-
ლი მატარებლის მგზავრებისათვის, – თავიანთი ამ-
ალელვებელი ხიბლით გაუღდენთილი სიმღერებით და
ცეკვებით თავი მოეწონებინათ, და როგორმე ფული
ქშოგათ.

მათში განსაკუთრებული სილამაზით გამოიჩინეოდა, ტანწერნეტა და საოცრად მოქნილი აღნაგობის ესმერალდა, შავი წარბ-წამნამიდან გამომზირალი, მუქი ლურჯი თვალებით, შემხედვარეს, – მომნუსხეველი ცეცხლის ალში, რომ ატრიალებდა... მას, თან, ახლდა ორი, ასევე მიმზიდველი გარეგნობის – საშუალო და უმცროსი ძმა, რომელთაც, მშობლების დალუპვის შემდგენ, ესმერალდა უწევდა პატრიონობას.

ერთხელ, ამავე ქალაქში, ჯარის ნაწილში მოძახურე ლეიტენანტი - ანდრიასაც მოუწია ესმერალდას განსაცვიფრებელი ელასტიურინბითა და მოხდენილი მოძრაობით შესრულებულმა ბოშური სიმღერის მოსმენამ და... ნეტარების ბურჯუსში გაახვია...

ამ დღის შემდეგ, იგი, ხშირად სტუმრობდა ამ ადგილს, რომ ესმერალდასთვის თვალი მაინც მოკერა, მოხდა, ისე, რომ როცა მას პირისპირ შეეჩერა, ძალა მოიკრისა და... თავისი გრძნობა გაუმჯდავნა, მაგრამ ესმერალდამ თავი შორს დაიჭირა, წარმოსადევი ლეიტენანტის აღსარებას ყურიც არ ათხოვა და საჩქაროდ გაერიდა.

სიყვარულით გულანთებული ანდრია, როგორც
კი, თავისუფალ დროს იპოვნიდა, მაშინვე ესმერალ-
დას სანახავად მიიჩქაროდა და ცეცხლოვანი მზერით
ცდილობდა მისი გულიც დაეტყვევებინა. ესმერალდა
ხშირად გამოძიოდა გზაზე და ლეიტენანტის გამო-
ჩენას, უკვე, მოუთმენლად ელოდა... ბოლოს, ისინი,
ისე, შეეჩინენ, ასეთ, შეცვედრებს, რომ ორივე გა-
მოუტყდა ერთურთს სიყვარულში, — და უკვე, — ბო-
შათა ბანაკიდან მიშორებით, კინოებსა თუ განმარ-
ტოებულ ადგილებშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს...

ერთ დილას, — ბოშათა ბანაკი გასამგზავრებლად ნამოიშალა... თვალცურემლიანი ესმერალდა გულდასერილი გასცეკროდა ქალაქის გზას... ანდრია კი არსად ჩანდა... გაემგზავრნენ ისე, რომ გულის სწორს, თავისი მომავალი ახალი ადგილის მისამართი ვერ შეატყობინა, რადგან, ანდრია, — ამ დროისათვის საჯარო საშასხურიდან, რამოდენიმე დღით, სხვა ქალაქში მიავლინეს...

მივღილნებიდან დაბრუნებულმა ლეიტენანტმა, ბევრი ექცევა მოულოდნელად გაუჩინარებული ესმერ-ალდა, მაგრამ მის კვალს გერსად მიაგწო...

ოდესაში ჩასული მოხეტიალე ბოშები, ხალისი-ანად შეირიცხნენ ქალაქის მჩქეფარე მაჯისკემით ახ-



მხატვრაკონი სოფიო ჭელიძე

მაურებულ ქუჩებს...

დრო გადიოდა... ესმერალდას მუცელი ნელ-ნელა ეზრდებოდა... როდესაც ბოშები მიხვდნენ, რა-შიც იყო საქმე, გაპრაზებულებმა ის პანაკიდან გააძევეს თავის ორ ძმასთან ერთად...

ესმერალდამ და მისმა ძმებმა, ბოშათა პანაკიდან, საკმაო მანძილის მოშორებით, განმარტოებით მდგარ, მიტოვებულ ელექტრო ქსელის ყოფილ შენობას შეაფარეს თავი - და შეძლებისდაგვარად მოაწყეს ისე, რომ, - იქ ყოფნა მათვის გაუსაძლისი არ ყოფილიყო... ისინი ყოველდღე დადიოდნენ

ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მოსწონდათ სეირნობა დერიბასოვის ქუჩაზე მდებარე უძველეს პარკში, სადაც, ყოველთვის ხალხმრავლობა იყო, - მღეროდნენ, ცეკვადნენ და ამით, საარსებო გროშებს შოულობდნენ... ესმერალდას საშუალო ძმა, ციკ იარაღს, მუდამ თან ატარებდა, რადგან გრძნობდა, მის დას, ზოგი, როგორი მგზნებარე მზერით აცილებდა... ამიტომ, ძლიერ აღიზიანებდა ესმერალდას მიმართ, აღტაცებული და, ხანდროს, ზედმეტად წრეგადასული ხოტბის მოსმენა, მაგრამ რას იზამდა?.. განცდას გულში იკლავდა...

შუადღე უკვე გადასული იყო, და, - ძლიერი სიცხის გამო, მათ გადაწყვიტეს - ლურჯად მოლივლივე, ტალღებით აქორილ უნაპირო ზღვას სწვევოდნენ. ტანთ გაიხადეს და მონატრებულები, - შეეგვნენ ტალღებს. ზღვიდან, რომ გამოდიოდნენ, იქვე, მზით გასარუჯად, წამოწოლილ ყმაწვილთა ჯგუფიდან, ერთ-ერთი, რომელსაც საჩრდილობელი ქუდი სახეს ნახევრად უფარავდა, ზანტად წამოიმარ-



თინათინ თაღაველი

თა, ესმერალდას წელზე ხელი შემოხვია და... ზღვის სანაპიროსკენ გასეირნება შესთავაზა. ესმერალდამ ზიზღლით მოიშორა თავხედი „თაყვანისმცემელი“, ხოლო მისი საშუალო ძმა, ის იყო, სასტიკად უნდა გასწორებოდა მოარშიყეს, რომ მოულოდნელად, ვილაცის ძლიერი მუშტი, უტიფარ ყმაწვილს ისეთი ძალით მოხვდა სახეში, ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა და იქვე ჩაიკეცა...

ესმერალდა თვალებს არ უჯერებდა... წაქცული მოძალადის წინ განრისხებული ანდრია იდგა... მათ გარშემოყოფნი შემოხვივნენ და ძირს დაცემული მოარშიყე იქაურობას გაარიდეს...

ანდრია და ესმერალდა ერთმანეთს ნეტარებით ჩაეხუტნენ და თვალცრემლიანნი ყვებოდნენ ერთურთის უშედეგო ძებნის ამბებს...

ანდრია მიხვდა, თუ, როგორი სახიფათო იყო მომხიბვლელი ესმერალდას უცხო ქალაქში მარტოდ დატოვება, - ასევე იგრძნო, თუ როგორ ძლიერ უყვარდა იგი და, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ იცოდა მისი ფეხმძიმობის ამბავი, მტკიცედ გადაწყვიტა ესმერალდა და მისი ძმები, როსტოვში, თავის სახლში წაეყვანა, მშობლებისათვის გაეცნო ესმერალდა და მასზე ექირნინა...

მართლაც, - მათ სიყვარულით შექმნეს ოჯახი და... ურთიერთსიყვარული, დროის გასვლასთან ერთად, უფრო და უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა... ისეთი ბედნიერები იყვნენ, ისეთ დამათობობელ სითბოსა და სიყვარულს ასხვებდნენ ერთმანეთის მიმართ, - რომ გარშემო მყოფნიც ბედნიერად გრძნობდნენ თაგს მათი ბედნიერებით...

ადამიანებსაც შეგვაძლებინოს!..

ცის უკიდეგანო სივრცეში მიმოფანტულ ღრუბელთა ქათქათა ფთილების მზერა, ბავშვობიდანვე მიზიდაგდა, მომწუსავად მხიბლავდა, უზომო სიამესა მგვრიდა და თვალის მოშორება მიჭირდა...

ღრუბლები, ხან ადამიანთა, ხან ფაფარაშლილი ლომის, თუ, უამრავ ცხოველთა, ფრინველთა, ან რაიმე საგანთა ფორმას იღებდნენ და თვალის დახამაშებაში იცვლებოდნენ...

განსაკუთრებით მიყვარდა მთის წვერზე ჩამოყრდნობილ, ათქვირებულ ღრუბელთა ცქერა, მუქი ღურჯი ცის ფონზე, მთებს ულამაზეს გვირვევინად რომ ადგნენ თავზე...

იმ დღესაც, - სარკმლიდან, წანდორ პეტეფივით გაგურებდი მზის სხივებით აელვარებულ ღრუბელთა სახეცვლილებას და საოცრების მოწმე გავხდი: ძალიან შორს, თითქმის, ცის თალთან, ფრინველთა გუნდი შევნიშნე. ისინი ფუტკრებივით ირეოდნენ...

კარგად დავაკვირდი: ფრინველები ერთ ადგილზე ტრიალებდნენ, ჩამორჩენილებს წინ გაუშვებდნენ, ან შეუაში მოიქცევდნენ. და... მხოლოდ, ამის, შემდეგ ერთობლივად განაგრძობდნენ გადაადგილებას... მიუხედავად იმისა რომ უკვე ბინდებოდა, - არაფრად აგდებდნენ, - არცერთ ჩამორჩენილს გზაში არ ტოვებდნენ, რამდენჯერმე ბრუნდებოდნენ მათ დასახმარებლად და... მთელი გუნდი ერთად განაგრძობდა სვლას... მზესთან, ასე, ახლოს მყოფნი, თითქმის ღვთიური ერთსულოვნებით იყვნენ შეკავშირებულნი...

მათი შემყურე გულისტკივილით ვფიქრობდი: ნეტავ, ადამიანებსაც შეეძლოთ, ასე, ერთმანეთის გატანა, რომ დაწინაურებულებს და გალალებულებს, „ჩამორჩენილი“ და გაჭირვებული მოძმე არ ავინყდებოდეთ, მაშინ ხომ დედამინაზე გაჭირვებაც აღარ იარსებებდა, - მეთქი...





ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

სამეცნიერო

ოთხივე დროს ლამაზია
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი;
მოვუაროთ, — შევასრულოთ
მამა-პაპის დანაბარი.

၁၂၅

ჩვენს ზორუნვაში ათენებ,
ჩვენზე ფიქრში აღამებ,
ჩვენი მომავალი გწამს:
ვიკით, როგორ დაგლალეთ.

დედა, შენი იმედი
გულს ექნება ნიადაგ...
გაზაფხული სიცოცხლის
გადიშალა ია და...

სულ ჯანმრთელი იყავი,
მზის დარია ეს გრძნობა,
სიყვარულით სავსეა, —
დიდი — დედაშვილობა.

ප්‍රජාත්‍යුවූ සාම්ප්‍රදායික ප්‍රජාවලිය

დღილით, უთენია, შაშვი
მღერის ლამაზ საგალობელს,
გაზაფხული რომ მოვიდა, –
მინდა ვამგანო: ქალაქს, სოფელს.

მზეს სხივები გაუშლია, –
სიხარულის მაცნეს, მშობელს,
ეს, სიკეთემ მოგვცა – შვება, –
მიგაობრობის იმედ-მყოფებს.



תְּנַשֵּׁא בְּנָהָרִים

ନୀଗଣ୍ଠି, - ହୃଦୟର କାନ୍ଧରେପଳି,
ନୀଗଣ୍ଠି, - ହୃଦୟର କାନ୍ଧରେପଳି,
ହୃଦୟ, ଅନ୍ତରାଳର ହୃଦୟରେପଳି
ଫ୍ରେଶପର୍କର ଗ୍ରାମରେପଳି.

ଶ୍ରୀପୁରୁଷଙ୍କୁ ଏହାମନ୍ତରିଣୀରେ,
ମିଳିବା ଗାୟତ୍ରିକାରେ, ମୋହର,
ଶ୍ରୀପୁରୁଷଙ୍କ ଦୋଷୀ ଶ୍ରୀପୁରୁଷଙ୍କ
ଅୟାତରନ୍ତର ଦେଖିବାରେରୁବାରୁକ.

6. ଦୟାମ୍ଭକାରୀଙ୍କ

გამოცემი

გაზაფხულდა, ერთი ნახეთ,
სილამაზე, - ყვავილების,
როგორ დაუმშვენებიათ:
ტყე, მინდორი და ველუბი.

იები და ენძელები,
ღილილო, თუ, ხარისთვალა,
ეფერება ცხრათვალა მზე, –
ლამაზნი ხართ: ტანად, თვალად.

მეჯლისი აქვთ: მერცხლებს, პეპლებს,
დაფრენს ფუტკრების ამაღაც...
და... ვერავინ – გაზაფხულის
სიყვარული ვერ დამარა.

35063350530

რა ლამაზი არის ზეცა, –
დაწინწკლული ვარსკვლავებით;
სურვილი მაქვს – ცას ვესტუმრო,
შემოგხვიო მათ მკლავები.

ოქროს რაშით ვესტუმრო ცას,
მოვარევ, ნატვრას გულს ვატანდი....
მერე, როცა დავბრუნდები
ალამაზ ზეჯას დავხატავდი.

ლელას ბალის სტუმრები

სტუმრები ჰყავს ლელას,
ყვავილების ბაღნარს, –
პეპლების, ფუტკრების
ეჯინება. ტალოა.

ლელა გოგოს კაბაზეც
პეპლებს უხვად ნახავთ:

თვლის გოგონა, ველარ თვლის, –
ნამდვილსა, თუ, ნაქარგს.

დედას – ამ, სილამაზით,
უბრნყინდება ოვალი...
ბალნარს კარგად უვლისო
პანაზინა ქალი.



ხარისხთვალა ყვავილი

ხარისთვალა ყვავილი ვარ,
გამრჯე ხარის ვარ სეხნია,
ამ წელს, უფრო ამაყი ვარ, –
სიხარული გულს მეხვია.

გაზაფხულის მზე ახარებს,
ყველას: დიდსა, თუ, პატარებს...
წელს, წელია – ხარისაო,
იმედია, – დარისაო.

ზალის მეგორძონი

კუ მოუყვანა მამიკომ
გუშინ, – ნიკას და ზურას,
მოშიებული იქნება,
და... ყველა კუზე ზრუნავს.

კომპიუტერში ნახეს და...
საკვებსა ჭამსო, – მცენარის,
კუს მოენონა სტუმრობა, –
არ უყვარს პიჭნა, რეჟანი.

ნასაუზმევი გაუშვეს, –
მეგორძონი ხარ ბალისო;
იქ, ერთი ზღარბი დაგხვდება, –
თქვენი შეხვედრა რად ლირსო.

მეხანძრე-მაშველი

რა გსურს, რომ გამოხვიდე,
ჩვენო, კარგო, ნიკო?
რა? – მეხანძრე-მაშველი, –
გულით მინდა ვიყო.

დროზე მივალ, ხალხს ვუშველი,
დამლოცვენ გულით;
ყველა კარგად რომ იქნება,
ნახეთ, სიხარული.

ჰოდა, სახანძრო მანქანა,
რომ მიყიდოთ, მინდა,
ხიდან, კიდევ ჩამოვიყვან
ფისუნიას, – ცინდალს.

ზაფხული

ზღვაზე მივალთ, – ამბობს, – ლუკა,
გულს სიამე მეფინება,
რა სპორტული ილეთები, –
ჩატარონ დელფინებმა.

თოლიებსაც ახლოს ვნახავთ,
ზღვას დავხატავ, – სანაქებოს
და ნახატებს ვუსახსოვრებ,
რომ ჩამოვალ, პაპას, ბებოს.

გავიკაუებ სხეულს, ჰოდა,
მოლოდინით არ ვლონდები...
მონიკინიკე საათს ვუსმენ, –
გათენებას ველოდები.

47



ყურადვიჭა

ყურცევიტელა, ბოსტანში,
შეეპარა ალას,
გოგონა რომ დაინახა, –
უცებ, დაიმალა.

სადა ხარო? – გამოდი,
მოგეწონა სტაფილო?!.
მე გაჩუქებ, ყურცევიტავ,
შენ დამალვას ნუ ცდილობ!

ბოსტნის უცხო სტუმარს
გაუბრნყინდა სახე:
„ალარ გაგეპარები, –
დამსაჯე, თუ მნახე?!”

ჭრიჭინა

მთელი ლამე ჭრიჭინებ,
არ იღლები, ჭრიჭინა?
სამოსს ხომ არ იკერავ?!.
მთელი ლამე ჭრი, ჭრი და...

დღისით ვერ გამოვტნდები,
ლამით – კი გულს ვანთებ და...
სიყვარული მაწვია –
ციცქა, – ციცინათელამ.

შემოდგომა

შემოდგომა მოვიდა და...
ირჯებიან პატარებიც,
შრომა-გარვა ისე შვენით, –
ოქროს დროა, – სატარები.

ცქრიალებენ, ალმასობენ
მზეზე, ფერადი მტევნები;
ცელქი სიოც ჩვენთან არის
და მთა და ბარს თავს ვევლებით.

ოლქ, №4, 2021





ვაშლი, მსხალი და ატამი,
ბრონეული, – ძონეული
და ყურძენიც, – შარბათია, –
უკვე არის – მონეული.

წვიმაც, დროით, მოჟუჟუნებს,
ცისარტყელაც გვჩუქნის შვიდ ფერს,
შემოდგომა, საამაყოდ,
სიხარულით გულს ლალს იფენს.

შემოდგომის უხვ მოსავალს
დიდ-პატარას ვუჩვენებდით,
მოდით, ყველა და იგემეთ –
ბებოს ტკბილი ჩურჩხელები.

კუჭერის ზღაპარი

ციყვუნიამ ასე უთხრა –
ტყის ბინადარს, – მელას:
როცა, კუდებსა არიგებდნენ,
მე ვაჯობე, – ყველას.

თან, ლამაზი კუდი მერგო,
ჰოდა, – ასე მოხდა,
ამიტომაც, ჩემი კუდი
ფუმფულაა, კოხტა.

ეგ, საიდან მოიგონე? –
გამოსძახა მელიამ,
მე, არ მომიგონია, –
ურთ ზღაპარში წერია.

შზრუნველი ზავშვერი

ხეივანზე ყურძნის კუჭხლებს
ჩიტუნები კენკავენ,
თქვენთვის შემოვინახეთო, –
ბავშვები მათ კვებავენ.

პურის ციცქანა ნამცეცებით
გასაუზმოთ, მზად არი...
მალე გაზაფხული მოვა, –
გაიტანეთ, ზამთარი!

მადლობთ, მადლობთ – ზრუნვისათვის,
ჩვენო, კარგო ბავშვებო,
სულ, სიკეთემ გალალოთ და...
მეგობრობამ გვამშვენოს.

ფილინა და კნუტერი

ფისოსა ჰყავს ოთხი კნუტი,
ფისუნია ველარ უვლის,

გადაწერეს მთელი სახლი
გაუწყალეს ბებოს გული.

დედამ ასე უთხრა – ნინის:
კნუტებს გვთხოვენ მეზობლები;
დედა, რომ არ ეყოლებათ,
იტირებენ იქ, ობლები.

ფისო, იქაც, მიაკითხაგს,
არ დატოვებს შვილებს მარტო;
ჯერ მოიცათ, ოთხი კნუტი
ერთად მინდა, რომ დავხატო.

წვიმა

დღეს წვიმაა და თოჯინას
ველარ ვასეირნებ...
ვერც ზოოპარკში წავიყვან
ვერ ვაჩვენებ ირემს.

გაიდარებს, რომ დავპირდი
შუადლისას, ან, ხვალ,
ლამაზი ირემს რქებგადაშლილს
თავის ნუკრით ვნახავთ.

წირა და ფიფქი

თოვლის ფიფქი დაიჭირა –
ციდან, მოცეკვავე, – ცირამ,
აი, ბებო, რა გახარო,
თოვლის ფიფქი აქ, მყავს, – ციდა.

აბა, გამოშალე, ხელი,
ციცქანა ფიფქი სადღა იყო!
ნეტავ, ფრთები, თუ, მოისხა?! –
ფიფქი, ჩუმად, გამქრალიყო.

მარადმწვანე ხეერი

მწვანე სამოსი გაცვიათ
და გიხდებათ მწვანე ფერი,
ნაძვს, ტუიას და კვიპაროსს
შეგრჩინათ ის, ელფერი.

ჩიტუნიებს ბინას ვაძლევთ,
სევდა, მაინც გულს გვაქვს ციდა,
ქარი, უფრო, ჩვენ გვერევა, –
გვეჭიდება ყოველ მხრიდან.

ქარო, ქარო, დაისვენე,
ჩიტუნებს, ხომ, უნდათ ბინა?..
ცოდო არის – ეს ხეებიც, –
რადგან, თოვლშიც მწვანედ ბრნყინავს.



დინო გუცატი

სახმანის მუზეუმი

— უძანვი სულო, ქმნილებავ, ნეტა, სადა ხარ ახლა? რას აკეთებ? იმდენს ვფიქრობ შენზე და ისე ძლიერ, რომ არ შეიძლება, ჩემმა სიყვარულის, რა უნდა შორს იყო, თუგინდ ზღვის მეორე მხარეს, შენაძლე არ მოაღწიოს... (რა საოცარია, ფიქრობდა თან, როგორი ახსნა უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს? ჩემისთანა ჩამოყალიბებული მამაკაცი, კომერციული საქმეების ორგანიზაციონი, ასეთ რამებს უნდა წერდეს? სიგიურა აღმართ?)

დ. მუჯადი

49



სასიყვარულო ნერილი

31 წლის, კომერციული კომპანიის მერეჯერი, შეყვარებული ენრიკო როკო თავის კაბინეტში ჩაიკეტა. ქალზე ფირზი იმდენად ძლიერი და მტანჯველი იყო მისთვის, რომ გადაწყვიტა, ყოველგვარი სიამაყე და მოკრძალება გვერდზე გადაედო და წერილის წერას შესდგომოდა.

— ძვირფასო ორნელა! — დაწერა, და იმის გაფიქრებით, რომ ქალი მის სიტყვებს ამ ფურცელზე წაიკითხავდა, გულმა ფერქვა ისე დაუწყო, ლამის საგულედან ამოუვარდა. — ჩემო სიხარული, ჩემო სულო, შუქო, მწველო ცეცხლო, დამის ფირზი, ღმიონი, ყვავილო, სიყვარულო...

— მაპატიეთ, ბატონო როკო! თქვენთან ერთი ბატონია მოსული, — შემოვიდა მაუწყებელი ერმეტე. — გვარად, აი, მანფრედინი (სავიზიტო ბარათს დახედა).

— როგორ? მანფრედინი? არც კი ვიცნობ! მერე კიდევ, მე ახლა დრო არ მაქვს, აუცილებელი საქმე უნდა მოვაგვარო. უთხარი, ხვალ ან ზეგ მოვიდეს.

— ბატონო როკო, მკერავა, მგონი, პიჯაკის მოზომება უნდა.

— აჲ!.. მანფრედინი! უთხარი, ხვალ მოვიდეს.

— კი, მაგრამ, მისთვის თქვენ დაგირეკავთ, მოსვლა გითხოვიათ!

— მართალია, მართალი (ამოისუნთქა)!.. კარგი, შემოიყვანე, ოღონდ უთხარი, მალე მორჩეს, ორწუთში.

მკერავი მანფრედინი შემოვიდა, პიჯაკიც შემოიტანა. მოზომება გადამეტებული ნათქვამია, რამდენიმე წამით მოაცვა მხოლოდ, ცარცით ორ-სამ ადგილას მონიშნა.

— მაპატიეთ... იცით, აუცილებელი საქმე მაქს... ნახვამდის, მანფრედინი!

სანერ მაგიდას ხარბად მიუბრუნდა და წერა გა-



დინო გუცატი

ნაგრძო:

— უძანვი სულო, ქმნილებავ, ნეტა, სადა ხარ ახლა? რას აკეთებ? იმდენს ვფიქრობ შენზე და ისე ძლიერ, რომ არ შეიძლება, ჩემმა სიყვარულმა, რაც არ უნდა შორს იყო, თუგინდ ზღვის მეორე მხარეს, შენაძლე არ მოაღწიოს... (რა საოცარია, ფიქრობდა თან, როგორი ახსნა უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს? ჩემისთანა ჩამოყალიბებული მამაკაცი, კომერციული საქმეების ორგანიზაციონი, ასეთ რამებს უნდა წერდეს? სიგიურა ალბათ?)

იმ წუთებში ტელეფონმა დარეკა. ენრიკო როკოს წელში ყინვასავ-

ით დაუარა.

— გისმენთ! — ძლივს წარმოთქვა.

— გამარჯობა! — გაისმა ქალის მინაზებული კრავილი. — რა ხმა გაქვს!.. ცუდ დროს ხომ არ დავრეკე?

— რომელი ხარ? — ჰქონდეს როკომ.

— ოჳ, რა აუტანელი ხარ დღეს! იცოდე, რომ...

— რომელი ხარ?

— მოიცადე, მათქმევინე მაინც!..

ყურმილი დადო და სანერ კალამს ხელი სტაცა.

— მისმინე, ჩემო სიყვარულო, — დაწერა. —

გარეთ ნისლია, ცივი, ნესტიანი, ნავთისა და სხვა სუნით გაუღენთილი, მაგრამ იცი, რომ მე მისი მშერს? იცი, რომ მე ახლავე შევიცვლ...

— წკრრ!.. — გაისმა ტელეფონის ხმა.

ისე შეაძაგდაგა, თითქოს ორასი ათასი ვოლტის ძაბვამ დაუარა.

— გისმენთ!

— ენრიკო, მაგრამ, — წინანდელი ხმა იყო. — მე ქალაქში შენოთვის ჩამოვედი და შენ...

ნაბარბაცდა, ლახვარივით მოხვდა. ფრან-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

კა იყო, მისი ბიძაშვილი – კარგი გოგო, ლამაზიც კი. თვეებია უკვე, რაც ეპრანჭება. ვინ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული. ქალებს საერთოდ რომანების შეთითხნა ახასიათებთ. მისი იმქვეყნად გაშვება არ შეეძლო, ამიტომაც თავი შეიკავა, თუმცა წერილის დასრულება კი ძალიან უნდოდა, რაც ერთადერთი გზა იქნებოდა დანთებული ცეცხლის ჩაქრობისა, რომელიც შინაგანად წვავდა. ორნელასთვის წერილის მინერა რაღაცნაირად მის ცხოვრებაში შესვლად წარმოედგინა. წერილი შეიძლებოდა ქალს ბოლომდე წაეკითხა, შეიძლებოდა გაეცინა კიდეც, შეიძლებოდა საერთოდ ჩანთაში ჩაედო. ფურცელი, რომელსაც ენრიკო უაზრო წინადადებებით ავსებდა, რამდენიმე საათში შეიძლებოდა ქალის სურნელოვანი საგნებითაც შეხებულიყო: პომადით, მოქარგული ცხვირსახოცით, იდუმალებით მოცული ინტიმური წითებით... და ახლა, აგრე ფრანკა თავ-ბრუს ახვევდა სწორედ.

– მისმინე, ენრიკო. – ჰეკითხა დაუინებულმა ხმამ. – გინდა, ოფისში მოგაკითხო?

– არა, არა, მაპატიე, ახლა უამრავი საქმე მაქვა! – იჳ, მოგერიდება, მოვალ, მაგრამ თუ შეგანუხებ, არა უშავს. ჩათვალე, რომ არაფერი მითქვამს. ნახვამდის!

– ღმიერთო, როგორ უცებ გწყინს! გეუბნები, ბევრი საქმე მაქვს-მეთქი. აი, მოგვიანებით კი შეგილია მოხვიდე.

– მოგვიანებით, როდის?

– ორ საათში.

ყურმილი ტელეფონზე ისე დააგდო, თითქოს უამრავი დრო დაეკარგა უკვე. წერილი საფოსტო

ყუთში პირველი საათისთვის უნდა ჩაეგდო, თუ არადა, ადრესატს მეორე დღეს მიუვიდოდა. ეს-ქპრეს-ფოსტით არა, არ გააგზავნიდა.

– ახლავე შევიცვლიდა. – დაწერა. – ზოგჯერ ვფიქრობ, ნისლს, შენს სახლს რომ ეკვრის და შენი ოთახის წინ ნარნარებს, თვალები რომ ჰქონდეს (ვინ იცის, იქნებ, ნისლიც ხედავს), ფანჯარაშიც კი დაგინყებდა თვალთვალს. და გინდა, რომ არანაირი ნახვრეტი არ არსებობდეს, ერთი წვრილი ჭრილიც კი, საიდანაც შესვლა ვერ შეძლოს? ერთი პატარა სულის შებერვასავით, მეტი არა, მსუბუქი შეხებით რომ მოგეფეროს? ცოტაა საკმარისი ნისლისთვის, ცოტაა საკმარისი სიყვ...

– მაპატიეთ... – ისევ დააკაკუნა კარზე მაუწყებელმა ერმეტებ.

– ხომ გითხარი, სამუშაო მაქვს-მეთქი! არავისთვის არ ვარ. ყველას უთხარი, საღამოს მოვიდეს.

– მაგრამ...

– მაგრამ რა?

– კომენდატორი ინვერნიცი გელოდებათ ქვევით, მანქანაში.

დასწყევლოს ღმერთმა! ინვერნიცის მაღაზიაში უნდა შეხვედროდა, სადაც სანძრის გაჩერის მცდელობას ჰქონდა ადგილი. ექსპერტებიც უნდა მისულიყვნენ. ჯანდაბა, სულ დაავიწყდა! სხვა გზა არ ჩანდა, უნდა ნასულიყო.

წერილის დაწერის სურვილი შინაგანად ტანჯავდა, მეტობის არეში წვავდა, აუტანელ დღეში აგდებდა. ავადმყოფობა უნდა მოემიზე ზებინა? შეუძლებელი იქნებოდა. წერილი ისე უნდა დაესრულებინა, როგორც იყო? მაგრამ კიდევ უნდა ეთქვა ბევრი რამ, ბევრი მნიშვნელოვანი რამ! იმედგაცრულებულმა ფურცელი უჯრაში ჩაეტა. ლაბადა აიღო და გარეთ გავიდა. ერთადერთი გზა საქმის დროზე მოლევა იყო, მეტი არაფერი. ნახევარ საათში, ღვთის წყალობით ალბათ, უკან დაბრუნება უნდა შესძლებოდა.

რომ დაბრუნდა პირველს ოცი წუთი აკლდა. დაინახა, სამი-ოთხი ადამიანი მოსაცდელ დარბაზში იჯდა. კაბინეტში სუნთქვაშეკრული შევარდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოალო და... წერილი შიგ აღარ იდო.

გული ისე შეუქანდა, რომ სული კინაღამ შეეკრა. ვის უნდა ექვექა მისი საწერი მაგიდის უჯრაში? იქნებ, შეეშალა? მაგიდის უჯრები გიუივით, სათითაოდ გამოალო.

კიდევ კარგი, შეშლია. წერილი იქ იდო; მაგრამ პირველ საათამდე მისი გაგზავნა უკვე შეუძლებელი იყო. აზრები (ასე უბრალო და ბანალურ რამეზე) მის თავში ერთმანეთში იხლართებოდა, იმედსა და ღელვას ერთდროულად ნარმოქმნიდა. წერილი ექსპრეს-ფოსტით რომ გაეგზავნა, საღამოს, ბოლო დარიგებას მაინც მიუსწრებდა, ანდა... მეტიც, ერმეტეს მისცემდა, ნაღებას დაავალებდა, მაგრამ არა, არა, უკეთესი იქნებოდა, ამ დელიკატურ საქმეში მას თუ არ გარევდა, თვითონ წაიღებდა, პირადად.



– ასე ცოტაა საქმარისი სიყვარულისთვის, – დაწერა. – ამხელა მანძილზე რომ გაიმარჯვო და გადაი...

– წკრრ!.. – გაისმა ისევ ტელეფონის ხმა.

გარაზებულმა საწერი კალმის დაუდებლად მარცხენა ხელი ყურმილს სტაცა:

– გისმენთ!

– აღო, აქ არის მისი აღმატებულება თრაქის ოფისის სამდივნო?

– დიახ, დიახ!

– გირეკავთ კაბელების იმპორტირების ლიცენზიის...

ერთ ადგილას გაიყინა.

უზარმაზარი საქმე იყო, მის გარეშე არ შესრულდებოდა. საუბარი ოცი წუთი მაინც გაგრძელდა.

– გადაიარო ჩინეთის კედელი. – დაწერა. – ოჟ, ძვირფასო, ორნ...

მაუწყებელი კარს ისევ მოადგა, ის კი ველურივით დაეტაკა:

– გაიგე თუ არა, რომ არავის მიღება არ შემიძლია?

– მაგრამ ინს...

– არავის, არავიიის! – იყვირა გაგიუებულმა.

– ინსპექტორი გელოდებათ, ფინანსთა ინსპექტორი! და ამბობს, რომ თქვენთან შეხვედრა ჰქონდა დანიშნული.

იგრძნო, ძალები როგორ დაეკარგა. ინსპექტორის უკან გაპრუნება ნამდვილი სიგიურ იქნებოდა, თვითმკვლელობის მსგავსი, განადგურება. ინსპექტორი მიიღო.

ორს ოცდახუთი წუთი აკლია. ბიძაშვილი ფრანკა ომოცდახუთი წუთია მოსაცდელში ელოდება. არის კიდევ ინჟინერი სტოლცი, რომელიც უენევა-დან სპეციალურად ჩამოვიდა, ადვოკატი მუზუმე-ჩიც – მტკირთავების საქმეზე, და ექთანი, მისთვის ყოველდღე ნემსის გასაკეთებლად რომ მოდის.

– ოჟ, ძვირფასო ორნელა! – ისე წერს, როგორც შტურმის დროს მოხვედრილი, უზარმაზარ ტალებებთან მებრძოლი მეზღვაური.

ტელეფონი: – კომენდატორი სტაცი მობრძანდა, ვაჭრობის სამინისტროდან!

ტელეფონი: – კონსორციუმთა კონფედერაციის თავმჯდომარე გახლავთ!

– ოჟ, ჩემო ძვირფასო ორნელა, – წერს. – მინდა იცოდე, რომ...

მაუწყებელი ერმეტე აკაკუნებს, დოქტორ ბის, ვიცე-პრეზეფექტის მოსელას აუწყებს.

– იცოდე, რომ, – წერს. – აქ...

ტელეფონი: – სახელმწიფო მმართველი ორგა-



მაია ტურაპელიძე

ნოს გენერალური უფროსი მობრძანდა!

ტელეფონი: – განსაკუთრებული მდივანი, მისი აღმატებულება არ ქიებისკოპოსი გახლავთ!

– როცა მე შენ... – დასიცხულივით წერს, უკანასკნელი ამოსუნთქვით.

– წკრრ, წკრრ!.. – ტელეფონი: – სააპელაციო სასამართლოს პირველი პრეზიდენტი!

– გისმენთ, გისმენთ!

– უმაღლესი საბჭოდან, პირად სენატორი კორმორანო!

– გისმენთ, გისმენთ!

– მისი უფიდებულესობა იმპერატორის პირველი ასისტენტი!

ამ ყველაფერმა ჩაითრია, ტალღებივით შორს გაიტაცა.

– გისმენთ, გისმენთ! დიახ, მე გახლავართ, თქვენო ბრნებინვალებაგ! უკიდურესად ვალდებული ვარ!.. მაგრამ ახლავე, ამ წუთას! დიახ, ბატონო გენერალო, გავითვალისწინებ! რა თქმა უნდა, და ულრმესი მადლობა!.. გისმენთ, გისმენთ! აუცილებლად, თქვენო უფიდებულესობავ! უსაზღვრო პატივისცემით (საწერი კალამი, მიტოვებული, მაგიდის კიდემდე ნელა-ნელა მიგორდა, ერთი წამით შეჩერდა, იატაკზე სწორად დაეცა, წვერი გაეღუნა, და იქვე დარჩა)!.. დაბრძანდით, გთხოვთ! როგორ გეკადრებათ! მობრძანდით, მობრძანდით! არა, თუ ნებას მომცემთ! უკეთესი იქნება, სავარძელში თუ მოთავსდებით, უფრო მოსახერხებულია! რა მოულოდნელი პატივია! აბსოლუტურად! სწორედაც! იმათვის გმადლობა! ერთი ფინანსონი გადაისახოვა? სიგარეტი?..

რამდენ ხანს გაგრძელდა ეს არეულობა? საათები, დღეები, თვეები, ათასწლეულები?

დაღამებისას მარტო დარჩა, როგორც იქნა; მაგრამ სანამ ოფისს დატოვებდა, შეეცადა, მაგიდაზე დახვავებული საქალალდები, პროექტები და ოქმები მოეწესრიგებინა. უზარმაზარი დასტის ქვეშ ერთი ფურცელი იპოვა – წერილი, მისამართის გარეშე. საკუთარი ხელწერა იცნო.

ცნობისმოყვარებამ სძლია და წაიკითხა:

– რა სისულელეა! რა სასაცილო იდიოტობაა! ვინ იცის, როდის დავწერე? – დაფიქრდა, გახსენება მოინდომა, მაგრამ ამაოდ. ვერაფერი გაიხსენა და ხელი უკვე გათეთრებულ თმაზე გადაისვა. – როდის დავწერე ასეთი სისულელები? და ვინ იყო ეს ორნელა?

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაპელიძემ





XIX და XX საუკუნის რუსული ლირიკა

תְּבִ�ָה

გრიგორიელი წარმატება
თოვლის ნამექენს რეალობდ ახვევს,
ხან გაძლიერის მხერისგვარად,
ხან სლუცუნების შალლის ხმაზე,
ხანავ, ხსევნში დამაკლიული
სახურავზე ჩანარი ურევს,
ხან, ვით მეზავრი დაღრღლიული
ჩვენს ფანჯარას უკაცენებს.

5. პურუნი

ალექსანდრე პუშკინი

၁၆၂၀၈ အာဏာ

გრიგალი ცას ბუქით ფარავს,
თოვლის ნამქერს რეალად ახვევს,
ხან გაკლმუის მხეცისგვარად,
ხან სლუკურებს ბაღლის ხმაზე,
ხანაც, სხვენში დამალული
სახურავზე ჩალას ურევს,
ხან, ვით მგზავრი დაღალული
ჩვენს ფანჯარას უკანებს.

ჩვენი ქოხი – ძველი, თანაც, –
სევდინი, დაბინდული,
რაო, ჩემო ბებრუცინავ,
რად ხარ ასე გარინდული?
იქნებ, ქარის გნიასისგან
დაგეღალა კარგო გული?
აპზრიალებ შენს თითისტარს
და გერება თვალზე რული?

შევსვათ, ჩემო განუყრელო
მეგობარო ბავშვობიდან,
ლვინით დარღი გავანელოთ,
გახხაროს გულმა მინდა.
მომიყევი: თოხიტარამ*
ზღვას იქით რომ ჰპოვა ბინა,
ის მიმღერე: გოგუცანამ
წყაროზე რომ ჩაირბინა.

გრიგალი ცას ბუქით ფარავს,
 თოვლის ნამქერს რკალად ახვევს,
 ხან გაკლმუს მხეცის გვარად,
 ხან სლუკუნებს ბალლის ხმაზე.
 შევსვათ, ჩემო განუყრელო
 მეგობარო ბავშვობიდან,
 ღვინით დარდი გავახელოთ,
 გაიხაროს გულმა მინდა.

1825

*თოხილარა – синица – პატარა ჩიტია

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

၁၀၈

გუშინ საკანი გავაღე
ჰაეროვან ჩემი ტყვისა:
ტყეს მგოსანი დავუპრუნე
ჩიტს - დღე თავისულობიძა.

გაფრინდა და ჩაიძირა,
ლაუვარდ სივრცეს მიაპონდა,
გაფრენისას ისე მღერდა,
თითქოს ჩემთვის ლოკულობდა.

1826

მისამართი: [www.georgianlanguage.com](#)

ጀንደኛ

გააღეთ ეს საპყრობილე, მომეცით მე დღე მზიანი, შავთვალება ქალწული და ცხენი შავფაფარიანი. მე იმ ქალწულს, თვალხატულას, ჩვილ ბაგზე რომ ვაკოცებ, მყის ბეჭაურს მოვახტები და ტრამალზე გავაძროლებ.

მაგრამ, ციხის კარ-ფანჯარა
დახულია მტკიცედ, მაგრად...
შავთვალას შორს, მდიდრულ კოშკში,
ნებიერად სძინავს ახლა;
პედაური უაღვიროდ,
ველზე ლალად კუდს რომ იქნევს,

გაირბენს და გამოირბენს,
ბალახობს და ძალას იკრებს.

მე მარტო ვარ – არსად შვება:
ირგვლივ – კედლები პირქუში,
დილეგს მერთალად ეფინება
სანთლის მომაკვდავი შუქი.
მესმის: ღამის სიჩუმეში,
კარებს მიღმა, დადინჯებით –
დადის უტყვი მეთვალყურე,
მოზომილი ნაბიჯებით.

1837

ათანასე ფეტი

* * *

ჩურჩული, შემკრთალი სუნთქვა
თან ბულბულის ტრელები,
ჩაძინებულ მდინარეზე
მოვერცხლილი ჩქერები.
ღამის შუქი, ღამის ჩრდილი,
ჩრდილი გრძელზე უგრძესი,
რა ჯადოსნურად იცვლება
სახე უსაყვარლესი.
მეწამულ ნისლს შერევია
ქარვის მქრქალი ფერები,
განთიადი! განთიადი!
ამბორი და ცრემლები.

1850

ანა ახმატოვა

* * *

ალექსანდრე ბლოკის

მე ვეწვიე სტუმრად პოეტს,
კვირას. ზუსტად შუადღისას.
ვრცელ ოთახში სითბო სუფევს,
ფანჯრებს იქით ყინვაა.

და მზე არის უოლოსფერი,
გაცრეცილი ღრუბლის კვამლით...
თვალნათელი მასპინძელი
უხმოდ, მშვიდად მიყურებს!

მას თვალები აქვს ისეთი,
ყველამ უნდა დაიხსომოს,
მე კი ვცდილობ ვიყო ფრთხილი,
სჯობს მათ სულ არ შევხედო.

ვიმახსოვრებ გრძელ საუბარს,
კვირას, კვამლიან შუადღეს,
მაღალ, სადა, ნაცრისფერ სახლს
ნევის ზღვის კარიბჭესთან.

იანვარი 1914

53



ოსია მაცხელეჭახი

* * *

ალექსანდრე გლოვა

* * *

ქარმა შორით მოიტანა
გაზაფხულის ჩუმი მლერა,
სადღაც ზეცის ჭუჭრუტანა
ღრმა სილურჯით გადიფერა.

უსასრულო ლაჟვარდთ კიდე,
გაზაფხულის მერთალი რიდე,
ზამთრის ქარის ოხვრა კიდევ,
ვარსკვლავური გარინდება.

უნდობლად, ყრუდ, სევდიანად,
ქვითინებდა სიმი ჩემი,
ქარმა შორით მოიტანა
სიმღერების უღერა შენი.

29 იანვარი 1901

ძილის გაკრთომა. ჰომეროსი. ზღვა. იალქნები.
მე ნახვერმდე წავიკითხე ხომალდთა სია:
წეროთა გუნდზე უგრძესია გემთ ქარავნები,
მოდის, მოიწევს – ელადიდან ეს პროცესია!

ვით წეროები მყივარი ხმით კვეთენ სივრცეებს, –
ისე მკვეთრია, მეფეთ შუბლზე ღვთიური ნიშა;
საით მიცურავთ? – მიზეზია მხოლოდ ელენე?
ტროა თქვენია? – აქაველნო, ვინ გაძლევთ ნიშანს?

ზღვა იზნიქება და აქვე კრთის პოეტის ლანდი...
დუმს ჰომეროსი! – ოჳ, არ ვიცი ვის მოვუსმინო?!
შმაგი ზვირთები ჩემს სასთუმალს უტევენ ზათქით,
მე უძლური ვარ, ამ დგანდგარში რომ დავიძინო.

1915

ოლქ. №4, 2021





პებიას

მოგრძო, ოვალური სახე.
მაქმანები – შავ კაბებზე...
ჩემო ყმანვილო ბებია,
ვინ გკოცნიდათ მაგ ტუჩებზე?

ხელები, დიდ დარბაზებში,
შოპენის ვალს რომ უკრავდნენ,
იქვე, ცივ და უძრავ სახეს
ჟულულები ამშვენებდნენ.

ღრმა, გამჭოლი, მკაცრი მზერა,
მსგავსი მზერა ნორჩებს არ აქვთ,
ჩემო ყმანვილო ბებია! —
მე არ ვიცი თქვენ ვინა ხართ?!

ბევრი შესაძლებლობები, —
რამდენი რამ თან წაიღეთ,
ჯერ ოცისაც არ იყავით
ბოლო პოლკა რომ იცეკვეთ.

დღე უბინო, სუსტი ქარით,
ვარსკვლავებს ეხუჭათ თვალი...
ეს სასტიკი შფოთვა გულში
— ბები! — თქვენგან ხომ არ არი?

სექტემბერი 1914



ციცინო მარკოზაშვილი

სირგეი ესენინი

არყის ხე

თეთრი არყის ხე
ფანჯრის ნინ რომ დგას,
თოვლს დაუფარავს
ვერცხლისფრად მოჩანს.


თოვლქვეშ დახრილი
თეთრი რტოები,
დამშვენებულან
ვერცხლის ფოჩებით.

სძინავს არყის ხეს,
სიზმრები რბიან...
თოვლის ფიფქები
ნაპერწკლებს ყრიან.

აისი ზანტად
კარს რომ გააღებს,
ჩემს თეთრ არყის ხეს
სხვა ვერცხლს დააფრქვევს.

1913

რუსულიდან თარგმნა
ციცინო მარკოზაშვილმა



მხატვარი
ვანო გოცირიძე



რომელ შეიძლება

თამრი ფხავაძის პერსონაჟთა საკურნის მანერა აღმე-
ფდილია კოლონიტული ინტენსიურული მიმოქცევებით, სადა-
ც არ ხელშესახებად წარმოჩინდება წინადადების მოდალური
ნაირსახეობანი. სწორედ ეს ინტენსიური ნიუბისები ქმნის
თხრობის ექსპრესიულ აქტუალიზებას. ასე რომ, ინტენ-
ცია წინადადების მოდალურის თანმიმდევრი, რითაც მიიღნ-
ევა თხრობის ექსპრესიული ეფექტი. ამ მხრივ, თითქმის
ერთგვარი ინტენსიური მიმოქცევები ახასიათებს როგორებ-
კითხვით, ისე ძახილის წინადადებას; ამ წიპატობის
გათვალისწინებით ორივეს ერთობლივად განვიხილავთ და
ვუწოდებთ ემორიურ წინადადებას.

რ. ჭიკაძე

55



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

ხალხური სასაუბრო ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და ინტონაციური რპუსები თამრი ფხავაძის მოთხოვები

„მწერლობა სულიერი სტრიპტიზია... სულს იშიშ-
ვლება...“ თამრი ფხავაძის ამ პოსტულატის არსი სავსე-
ბით მიესადაგება მისასავე მხატვრული შემოქმედების
უმთავრეს საზრისს, ჩასწვდეს ადამიანის სულიერ სამ-
ყაროს, რაც უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს; სწორედ
ამგვარმა სწრაფვამ განაპირობა მნერლის თვითაღი-
არებითი ვნებანი: „ხანდახან საშინლად მღლის ეს... ეს
ანალიტიკური ჭვრეტა, ეს გაუთავებელი ყველაფრის
დამახსოვრება, ეს... ეს მასალის დაჭერა და დაუს-
რულებელი ფათური ვიღაც-ვიღაცების ფსიქოლოგი-
აში, საკუთარ თავში, სიტყვების მარაგში“ („ვნებანი“).

...და თამრი ფხავაძე ამ „დაუსრულებელი ფათუ-
რით“ სულის მოსათქმელად თავშესაფარს ექცეს თავ-
ისასავე მოთხრობების პერსონაჟთა ყოველდღიურობა-
ში და აქცენტი გადააქვს მათი საუბრის ლალ მანერაზე.
საერთოდაც, თამრი ფხავაძისეული თხრობის სტილი
განზავებულია ხალხური სასაუბრო ენით, რაც ქმნის
მისი თხზულებების ენობრივ ფერადოვნებას.

ამასთანავე, საგულისხმოა ისიც, რომ მწერალ-
მა საკუთარ სახელად დაირქვა კნინობითი „თამრი“
და არა ოფიციალური „თამარი“; იგი ამ ნიუანსითაც
მიგვანიშნებს თავის დამოკიდებულებას ხალხური
ენისადმი, რაც ესოდენ კოლორიტულად გამოიხატა
თავისივე პერსონაჟების მეტყველებაში. მართლაცდა,
სხვაგვარად როგორ ისაუბრებენ: გიუგოგია, პატარვა-
სო, უქმურა, დოლარა, შამფურა, თეთრი სპირიდონა,
ბადრია მენისქვილე, ბასილა მენისქვილე, კბილა ტა-
სია...

ამ პერსონაჟთა შერქმევასაც თავისი მიზეზები
აქვს: „მოხედა თადეოზამ და კაილა ტასია დაინახა,
სოფლის ობოლი, ბასილა მენისქვილის შვილიშვი-
ლი. კბილა იმიტომ, რომ წინა ორი კბილი შორი-შორ
ამოსვლოდა, ტასია კიდევ იმიტომ, რომ დიდი ბაბუის
– ანასტასიას სახელი ერქვა.“

და კიდევ: „უქმურა რათა ჰქვია?! – ზის, მარაქა-
ში არ ერევა.“ აქვე არიან: ფირუზა, ნოდარა, ჯემალა,
ბესიკა, რევია, რობიზონა, ზაურა, როსტომა, გოუშა,
ბადრია, ბადურა, თადეოზა//თადე... ქეთა, ანკა, ლამ-

ზირა... გიო, ნუგო, თაზო ვეფხო, ნათო, ნაზო...

ეს თანასოფლელები საღამოს პირზე წყაროსთან
მოიყრიან ხოლმე თავს. ...და მწერალიცა და მკითხ-
ველიც შენატრიან მათ სიტყბოიან ურთიერთობას,
მათ „სოფლურ“ მეტყველებას:

„მოკლედ, აეს დროა რაა, საღამოსკენ არი ცოტა-
თ უკვე. და, აგე იქა, დაღმართის თავში, წყაროსთანა
ვზივართ სუყველა: მეე, თაზოო, უქმურაი, დოლარაა,
რავა, ნაზოს ბიჭები, ორივეი, შამფურა... და ისა,
ელიკოს გერი როა, ჰორ და, ეგრე, საღამოსპირია, მა-
გრამ ცხელა, ცხელა რო, არ გაისაძლისება“... („ვინ
უდარაჯებს დარაჯებს?“).

მათ ერთმანეთისა გარეშეც არ გაესაძლისებათ,
ავკარგიანები არიან, ერთმანეთზე გულმტკივნეუ-
ლობენ: „ნოდარაზე არა ვფიქრობდი? ნოდარაზე
ვფიქრობდი, ჰო... აი, ხო მიყვარს ჩემი ლალი არაა,
და იმის ძმობითა კიდე, ათმაგად მიყვარს. ეხლა რო
ნოდარა ჩემ აესეთ ხველებას შესწრებოდა არაა, ლა-
მის თავის ჯიგარს ამოიღებდა და მე ჩამიდგამდა, ის-
ეთია, ისეთი გულისაა...“ („მოლოდინი“).

აი, ისეთი გულისები არიან თამრი ფხავაძის პერ-
სონაჟები, რასაც ურთიერთმიმართვისასაც ამჟღავნე-
ბენ: ძმაო..., ბიჭე..., გოგო...:

– ვააა... გიოოო?! როდის ჩამოხვედი ძმაო...
დღეს?!, ვაა...

ბიჭო, გიუგოგია არა ხარ შენა?

ბიჭო, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი!

ბიჭო, მამუკა... ბიჭო, ბესიკა...

ლამზირ! საით გაგინევია, გოგო, დავე, წაგიყვან.

– ბადროოოოო!.. ჰე-ჰე-ჰე-ჰე! – იძახდა ვი-
ლაც სიფლურად, ლალად.

მართლაცდა, რაოდენი სითბო და სიყვარულია
ჩაღვრილი ამ „სოფლურ“ ურთიერთშემიანებაში.

აქაც თითქოს ილია ჭავჭავაძე გვმოძღვრავდეს:
„კაცო, გიყვარდეს!“

თამრი ფხავაძის პერსონაჟთა საუბრის მანე-
რა ალბეჭდილია კოლორიტული ინტენსიური მი-
მოქცევებით, სადაც ხელშესახებად წარმოჩინდება





წინადადების მოდალური ნაირსახ-ეობანი. სწორედ ეს ინტონაციური ნიუანსები ქმნის თხრობის ექსპრე-სიულ აქტუალიზებას. ასე რომ, ინ-ტონაცია წინადადების მოდალობის თანმდევია, რითაც მიიღწევა თხრო-ბის ექსპრესიული ეფექტი. ამ მხრივ, თითქმის ერთგვარი ინტონაციური მიმოქცევნის ახასიათებს როგორც კითხვითს, ისე ძახილის წინადადე-ბას; ამ ნიშანდობლიობის გათვალის-წინებით ორივეს ერთობლივად გან-ვიხილავთ და ვუწოდებთ ემოციურ წინადადებას.

საერთოდაც, წინადადების

მოდალური კონფიგურაცია მხატვრული სიტყვის ოს-ტატთა მძლავრი ენობრივ-გამომსახველობითი იარაღ-ია, რითაც მკითხველი ეზიარება როგორც ავტო-რისეულ, ისე მისივე თხზულებათა ჟერსონაჟების საუბრის მანერას.

„ინტონაციას შეუძლია შეცვალოს არა მარტო



როინ ჭიკაძე

წინადადების აქტუალიზების ელფერი, არამედ მისი შინაარსობრივი (ლოგიკუ-რი და ემოციურ ნებელობითი) სახეც “დავითიანი, 1973, 155): საზიზლარო... – მუცუბნება ქეთი ალერსიანად.

ამავე დროს ერთი და იგივე ტე-ქსტუალური მასალა შესაძლებელია შეცავდეს ინტონაციის სხვადასხვა ვარიანტს; ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატად ზოგჯერ გამოყენებუ-ლია ინტონაციის სხვადასხვა სახე და პირიქით: სხვადასხვა მნიშვნელობის გა-მოხატვა შეუძლია ინტონაციის ერთსა და იმავე სახეს სათანადო კონტექსტი-სა და სიტუაციის მიხედვით (ჟლენტი,

1963, 119). თამრი ფხაკაძის თხზულებათა სასაუბრო ენაში უხვადა განფენილი მრავალფერი ინტონაციუ-რი ოპუსები და გამოვლენილია ინტონაციის უსაზღვ-რო შესაძლებლობანი, სადაც ინტონაციის მეოხებით წართქმითი წინადადება უკუთქმით შინაარსს იძენს, ხოლო უკუთქმითი – წართქმითისას.

წართქმითი კონსტრუქცია უკუთქმითი შინაარსით:

მაგას გავყვები?! ეგეც თუ კაცია! კაცია ეგა?!; ფსიტის სუნი უნდა აგდომდეს ალმასივით ბიჭა? მე ეგრე მეყოლებოდი?; ეგა პატარა ამბავია?; აკი წინ ვიყავით წასულები, ბიჭო? აკი ვაკონტროლებდითო?; თავი ჩააკალი მეტეი, გითხარი?; ემ ჭორფლიანებს რაღა ეშველება!; ძან უნდა ეხლა იმას ჭორფლიანები!; ცოლი ჰქვია ამის ცოლსაცა!.

სათანადო ინტონაციასთან ერთად უარყოფით შინაარსსა და რიტორიკულ ელფერს აძლიერებს კითხ-ვითი წაცვალსახელები, ზმინზედები, შორისდებულე-ბი....

ვინ უნდა იყოს ამ ხორბლისფერი ათინათების, ამ საიდუმლო შუქრდილების ღირსი, ვინ?; აიესეთ ცხ-ვირიანი ვის გინდა თვალში მოუხვიდე?;!; რაო, დაილია თევზი ქსანში?; რა კაცია ეგა!; სადღა გაახსენდა რამე! სადღა გაახსენდა თადეოზას ნაჩუქარი, თოვლებუინუ-ლი სულ პირველი იები!... სადღა გაახსენდა თადეოზას დაჭრილი ციყვი და ოფოფი... სადღა გაახსენდა თა-დეოზას მის ფანჯრებთან ბულბულის სტენა; აბა, გაიოზას ბიჭებსა ძმები ჰქვიათ?; ეჱ, ხალხს რა გამოე-პარება!

უკუთქმითი კონსტრუქცია წართქმითი შინაარსით

არ გინახავთ, ტურქო, თითქოს ციდან წამოშ-ლილი ქვის წევია! არ გსმენიათ, როგორ ჩაიხვევენ ხევებში მორღვეულ კლდეებს, როგორ გუგუნებს ქარი ხეობებში და ჭიუხებში!; წამოვიდა ღლულით მეო-რე თვითმფრინავი... და უცებ... არ წამოვიდა ბზრი-ალ-ტრიალით?! არ მოედო ცეცხლი გზადაგზა?! არ ჩასკდა ხევში რა ხმაზე?....

რაღას არ გამოედევნებოდა!; არ დავიმარხე თავი?;!; ბრძანა უძახე და არ გამოუვარდა სანადირო თოფითა?; კამერიანი უერნალისტი არ მომადგა გუშინ სახლში?;!; ამ ალგებრას კაცი არ წაიკითხავს?;!; არ შეჭამა ტვინი, კაცო?;!; არ უქრიტინებთ ახლა ამათ თავში?; ბრახა, და, ჩემ ძმამ, ზალიკომ ცოლის შერთვა არ მოიფიქრა?! არ ჩაესიძა კიდეც კუპატიძეებს?;!; ბი-ჭოს! ოლეგა არა ჩეხავს შეშას ჩვენს ეზოში?; რა, არა კვდება ჯანღონიანი ხალხი?.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში პირობით-შე-დეგობითობის გამოხატვისას უარყოფის არ, არა წან-ილაქები გარკვეულ კონტექსტში ენამ შეიძლება გა-

მოიყნოს სრულიად საპირისპირო – დადასტურების ფუნქციით; ასეთ შემთხვევაში მთავარი გამორიცხავს იმას, რაზეც დამოკიდებულია საუბარი (ჯორბენაძე, 1984, 165; კავანტალიანი, 1990, 19):

ვენახი რო გაილარება ზედა, იმი პატრონსაც უფრო არ ეამება?;!; ღმერთმა არ თქვა, მათხოვარს ვინც წყალობას აძლევს, მე მაძლევსო?; მათხოვარი რომ არ იყოს, ღმერთი სხვებს როგორ გამოცდის?; ეკლესიასატესი არ იყოს, ჩემო წუგო, თავთავისი დრო აქვს ყველაფერს; ჩემი თვალით არა ვნახე, რო აეწონე?; წათესავის არ იყოს, არა?

ინტონაციის ფაქტორი იმდენად ძლიერია, რომ ზოგჯერ დაუსრულებელი წინადადების ნაკლულ კონ-სტრუქციასაც სრულყოფილს ხდის აზრობრივად:

ჯინსის სარაფანა რო მომცა?...; იმან რო ნოდა-რა ძიას სიკვდილი გაიგოს, იმან რო ეგ გაიგოს... შვილოვი...; ჯერ მარტო რო გავალ აქედანა და რო ჩავისუნთქავ...; აი, რო გავწევები მტკვრის პირზე... სათანადო ინტონაციას ემოციურ მუხტს მატებს



ჰერსონაჟთა სასაუბრო ენაში გამოყენებული კომუნიკატივები, რომლებითაც წინადაღებას თხრობით-მტკიცებითი ელფერი ეძღვა:

მასწავლებლობ, არა?; აბა, მაშ დამხრჩხვალიყავ, არა?!; რა სასაცილოა, არა?; რას გამოქატავდი, არა?; მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდნოოო, არა?.

მე შენს ადგილზე, არაა, იქნებ უარესიც მექნაო; შენ, არაა, ჯანდაბას იქთაც წასულხარ!; აი, ხომ მიყვარს ჩემი ლალი არაა, და იმის ძმობითა კიდე ათმაგათ მიყვარს. რო უსტენ ნოდარას სიმღერას, არაა, ვერ გამიგია, ვდარდობ, თუ პირიქით, ალარა ვდარდობ. ისა, არაა, გულზე სკდება. ისა არაა, მინდორში ვაზების ჩაყრით თავს არ აიტეიებდა. ეხლა რო ნოდარა ჩემ აესეთ ხველებას შესწრებოდა არაა, ლამის თავის ჯირგარს ამოილებდა და მე ჩამიდგამდა. მაშინ, არაა, მაშინ მინდა, ჩემო ნოდარა, შენი ძმობა. გლეხი, არაა, მინაში ცასა ჰეჭავს!

თქმულის დამჯერებლობისათვის მოსაუბრებშირად იყენებს მტკიცებით ნაწილაკებს, შორის-დებულებს....

ღმერთო, ეგეთი სილამაზე დაბადეულა სადმე, ჰა?; გაპ, მე რო არა გყავდეთ, რა გეწველებოდათ, ჰა?; შენ რა საჯიმშერაო იყვით, ქალო, ჰა?; პონჩიკს მიყიდი დედილი? ჰა? მიყიდი, ჰა?; ბიჭო, მამუკა, იქნებ აქედან სახლში წავიდა, ჰა?.

Նորդարանից զբոյզրոնծდո, პო...; Տաճամտորոս մյուրածա
ხօմ გոյզարս? ხօմ ցոյզարս? Ֆո՞ հիմէ տայս ցորիշեց-
նու, ხօռո՞!; Թէ առ ցամոմթաթազգո գրո՞մէնից, ხօռո՞!;
մա՛մ, ցամոյցէցո իմ ցըրաց մտազարմարտեցելուս, ხօռո՞!;
ցըլար ցայսիցրդո, ხօռո՞!, ցըրու Տօլիպցոտ մողեծօլու,
ხօռո՞!; Երտեամեաց ցըր դամինասեց ամ Տօլիպցոտի, ხօռո՞?

აგე, გამოჩნდა,! – ხედავ? – ხო, ვხედავ, მაშ! თან
მერკელის მოფრინას ხედავს კაში, მაშ!

მერედა, რა გაძლებინებს, შე საცოდავო, დღედა-
ლამ წყალში ეგდე და...; ლამაზია, მარაა! შენ ეგრე გიხ-
დება, და...; - არა ვტირი, მზემ დამაჭურიტა თვალებზე
და...; მადიანად გეახელით, ალუპბლის წვენი დავყაოლე
და...; მე თუ პეპელასავითა ვარ, ეხლა და...; ოცდ-
აოთხი წლისა გავჩხო გუშინ და!..

აბა, და დაიწყო აზრებმა ტოკვა. აბა და, მე რო
მშიერი ვარ?; აპა და მოვკვდი...; აპა და გავიხაროთო!;
აპა და, გაჩნდა ლურსმანიცა!..

ლამის იყო და, ძარღვები დაეხეთქა!; ლამის იყო და, მთა ბარში გადამედგა!; ლამის იყო და, მდინარე ლახტივით აქეთ-იქით მეტნია.

მოდი და, არ ვიყო... მოდი და, არ ეყვიროს?!

დიალოგებში კიდევ უფრო იკვეთება „და“ ნაწ-ილა კის მტკიცებითი ფუნქცია:

- ვინ ჯანდიქერი?
 - ვინ ჯანდიქერი და პროფესორი ჯანდიქერი.
 - ფული მაქ ჯიბერი.
 - რამდენი გაქ?

— നാലുപ്പത്തിന് ഒരു മണിമണി.

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ରାନୁଷ୍ଠାନିକ ପାତ୍ରାନୁଷ୍ଠାନିକ

ნოდარა მეწატრება რო, აღარ გამეძლება!; რა შეს-აფერებელი მე ვარ, რო!; შეფ-მზარეული ყოფილხარ, მისთანა როო...; რა სარწმუნოები ეგენი არიან, რო?...; რაზე შეატყვევ, რო?; არ შემოტრიალდება, რო?!; ქარი ქროდა, ქარი ქროდა რო...

ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო სემანტიკის „ჰო“ და „არა“ ნაილაჟები წინადადებაში ერთმანეთის გვერდითაა და ორივე ერთდროულად დადებითი ან უარყოფითი მტკიცებულების გამოშატებულია:

— არა მჯერა, არა! არა მჯერა, ჰო! არა მჯერა
თქვენი არაფერი!

- რა იყო? გინდა იმ საღმე, იმ უკაცურ პლაჟზე
სექსუალურ შარს გადამყარო და მერე... მერე კვალის
დაფარვის მიზნით ზღვაში ჩამახრჩო, არა? ჰო, არა?!
მითხარი, ჰო, არა?!

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „არის“ ზმნა ხალხურ მეტყველებაში გვხვდება როგორც ლექსიკური აქტუალიზატორი ან როგორც ემფატიკური საშუალება (ჟვანგალიანი, 1990, 117), რაც თამრი ფხავაძის პროზის ენაშიც დადასტურდა მტკრცებითი ფუნქციით: დაჭრის არ ერთმანეთი.

თამრი ფეხაკაძის თხრობის სტილისათვის დამახა-
სიათებელია ინტონაციური მრავალფეროვნება, რასაც
ბევრათა ინტენსიური გამეორებითაც აღწევს. ფაქტო-
პრივად ესაა **ბევრობი ინტონაცია**, რითაც მწერალი
არეგულირებს თხრობის რიტმს, პერსონაჟთა ურთ-
იერთმიმართვის ტონალობასა და განხნყობილებას:

მოკლედ, აქს დროა რაა, წყაროსთანა ვზიგართ
სუსეველა: მეე, თაზოო, უქმურაა, დილარაა...; ვააა...
გიორო?! როდის ჩამოხვედი, ძმაო... დღეეს?!.; სად
იყო ამინდენა წყალი... რამდენია, ბიჭოოო...; ჰა, დე-
დასა, ბეღურები მაინც წამოაფრინოს, კაცოო!..;
ბადროოოოოოო!.. ჰე - ჰეეეეე! იძახდა ვილაც
სოფლურად, ლალად; ქალლი მინდა! ... ქალლოი-
უკუკუკუკააა უკუკუ ბბბბ!

ამ სერისით ერთსიტყვანან მიმართვაშიც კი აისახება პერსონაჟთა გრძნობითი ემოცია: – ლოოომა!; თევზებიძლილობები; პარულობები!

- ተግባኑናዚያ... ሆሷዣቻ... - ደአቶኑንጠጣሚ... -
- ፈጥነጠጠችይይይ... ፈጥነጠጠችይይይይ... - ፈይሳጠብበብ...
ደይሳጠብበብ... - ሪፖርት, ሆሷዣቻ... - ንብረት-ሕብረትነት
እናነፃፃዎችን ሲጠልላቸዋን.

პრას!!! ჯახ!!! ჭახ!!! - ყველაფერი ერთად. ტკაც! გამოისართობისა მასთან მართლა გამოისართობისა მასთან მართლა

ანდა უსიტყვოოდაც, მხოლოდ ბერითი ხმაბაძვით
ა ვარონინიბირიბის, სიჭრაცაის:

დრორნნნ! დრორნნნ! - და გავფრინდთ.
სსსსსსსსსსსსს! ხმა! შშშშ... - დაწყნარდი, ჩემო კარგო.
ლლლლორრ, - ვითომ ავად ვაღრტენ კბილებს. ლლ-
ოორრ, - ვორენ უძლორუა.

დასახელებული მაგალითებითაც ნათელია, რომ
თამრი ფხავაძე სიტყვიერ თუ ბერიობრივ საშუალე-
ბებთან ერთად აქტიურად იყენებს სათანადო სასკრნ-
ნიშნიანს და ძირითადად იღვავს პაზიტიუაციას და-





გენილ ნორმებს, თუმცა ინტონაციური მუხტის გასაძლიერებლად არ ერიდება მათ არანორმირებულ გამოყენებას.

საერთოდაც, ამ წესისადმი სუბიექტური მიდგომა უცხო არაა მწერალთა პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებში. სწორედ ამის თაობაზე მიუთითებს გიორგი გოგოლაშვილი სტატიაში „სასვენი ნიშნები პოეტურ ტექსტში“, სადაც ამ კუთხით განიხილავს გალაქტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭვარიანის ლექსებს. მკვლევარი მათ „პეპატიობს“ პუნქტუაციურ გადაცდომებს, ვინაიდან, მისივე თქმით, „კლასიკოსებს თავიანთი წესები აქვთ“. ეს „წესები“ უცხო არაა პროზაიკოსებისთვისაც; გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძისა და შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიური ნოველები, სადაც პერსონაჟთა ემოციური განცდები მკითხველისათვის კიდევ უფრო გასაგები ხდება სასვენი ნიშნების ორიგინალური და მიზნობრივი გამოყენებით.

ამ მხრივ გამორჩეულია თამარ ფხავაძის „ინიციატივები“; პერსონაჟთა განცდებისა თუ ემოციების გამოსახატავად მწერალი ინტენსიურად იყენებს მრავალნერტილის, კითხვითისა და ძახილის ნიშნების მრავალგვარ კომბინაციებს:

— ადე! ადე!! ადე!!! — ვღრიალებ გულში. გუშინ იქ დამკრახული გოჭი იყო?!!! იქ გოჭი იყო შემწვარრი!!! იქ კუპატი იყო... ესე იგი, რა პურმარილი იყო?! რა პურმარილი...; დედა კი არ უტირეს?!!! კი არ დააჭრეს ფრთხები ძირში?!!!

როგორ შეიძლება არ გაგვასენდეს ლუარსაბ თათქარიძის მადის ალმძვრელი ნდომანი თამრი ფხავაძისეული პერსონაჟების ნაოცნებართან: კაი ცხელი ღომი და ნიგვზიანი ხარჩო ახლა?!!!... კაი წინაკის წნილით! ნდომით ააცახცახა თეთრ პერანგში გამო-

ტიკნული ღიპი. — უჰ! ცივი ლუდი ახლა?!! — ყრუდ ჩაიბურტყუნა ერთმა ღიპთაგანმა.

მიზნობრივი გამოყენებული სასვენი ნიშნები ინიციალურ სახელობითსაც კი მუხტავს სათანადო ინტონაციით:

ბაქარზე ვფიქრობ დაახლოებით ასე: ბაქარი. ბაქარი!!! ბაქარი? ბაქარი...

თამრი ფხავაძისეული პერსონაჟების მრავალგვარი ინტონაციური იპუსების ერთობლივად თავმოყრილი მათ გადაძახილ-გადმოძახილში და ერთგვარად შეჯამებასავითაა ეს მცირე ტექსტი, სადაც გვერდიგვერდ გვხვდება ხალხური ზეპირი მეტყველები-სათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი:

გადაიშლება ლექსო გულალმა, დაეკერება მინას ზურგით:

- ო-ე-ჰეეეე!!! — ღრიალებს.
- ო-ე-ჰეეეე!!! — მიბრუნდება ჭიუხებიდან.
- ჰავვვვ! ჰავვვვ!!! — ვყეფ. ქუხილს ჰგავს.
- ცაოროორო!!! — ღრიალებს ლექსო, — მთაოოო!!!
- ცხვაროოროოო!!! ო-ე-ჰე-ჰეეე!
- ჰავვვ! ჰავვვ!!! — ვყეფ.
- მზეოოოო!! აქა ვართ აქააა! — ღრიალებს ისევ ლექსო.

საერთოდაც, თამრი ფხავაძის სამწერლო ენა ემყარება თავისსავე თხზულებების პერსონაჟთა სასაუბრო მეტყველებას, გაჯერებულს მრავალფეროვანი მოდალურინტონაციური მიმოქცევებით, რაც მიღწეულია უდიდესი შინაგანი მრნამსით: „ყველა სიტყვაზე, ყველა წერტილ-ძირმეზე ვნერვიულობდი, სულსა და გულს ვდებდი“-ო („ვზებანი“), აცხადებს მნერალი და ამიტომაცა მისი თხრობის სტილი როგორც სალიტერატურო, ისე ხალხური სასაუბრო ენის შესანიშნავი ნიმუში.

საანალიზო ტექსტი

თამრი ფხავაძე, სამნი მზის ქვეშ (რჩეული მოთხოვები), გამომცემლობა „პალიტრა“, თბილისი, 2011 წ.

ლიტერატურა

1. **გაჩეჩილაძე, 1979** – ოთარ გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
2. **გოგოლაშვილი, 2018** – გიორგი გოგოლაშვილი, სასვენი ნიშნები პოეტურ ტექსტში, მუხრან მაჭვარიანი, თბილისი.
3. **დავითიანი, 1973** – აკაკი დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
4. **კანტალანი, 1990** – ლეილა კანტალანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
5. **კვაჭაძე, 2010** – ლეო კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი.
6. **კიზირია, 1987** – ანტონ კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
7. **ჟღენტი, 1963** – სერგი ჟღენტი, ქართული ენის რიტმულ-მელოდიკური სტრუქტურა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი.
8. **ჭიკაძე, 2017** – რონი ჭიკაძე, ინტონაცია როგორც წინადადების კონსტრუქციის ექსპრესიული აქტუალიზების ფაქტორი, „ლინგვისტური სჯანი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
9. **ჯორბენაძე, 1984** – ბესარიონ ჯორბენაძე, „უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
10. **ჯორბენაძე, 1989** – ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.



მაყვალა მიქელაძე

მის ნინაშე დამნაშავე ადამიანებისადმი წოდვის ასეთი, მართლაც გაუგონარი მიმღევებლომით სულიერი კუთხო- შობილების გაუგონარ, სწორედ რომ ლოთავებრივ სიმაღლეს აღწევს სიმენესი. ასეთი განსაკუთრებული სულიერი სი- ხლოვე ლიტერატორი – ეს უფიფესი ლირისტია ზოგჯერ ადამიანისა და სწორედ ამ ცველსათვის საამაყო ლირის- წის გასაკაროვნებას ეძლვებრა თარ ჭილაძის განხილული ლექსი-პიესა. მწერლას სანამა, რომ ადამიანის სულიერი გმირობის მიხედვით აღწერილი ეს უჩვეულო შემთხვევა ფართოდ გავრცელდება და სულიერი ზრდის გადამდებ მაგრამითად იქნება მყითხველისთვის.

მ. მიქელაძე

59



ოთარ ჭილაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის

ქართველი ხალხის მდიდარ ლიტერატურულ საგანძურში შენარსობრივი მრავალფეროვნებითა და გამომსახველობითი დახვეწილობით გამორჩეული ადგილი უკავია ოთარ ჭილაძის მხატვრულ მემკვიდრეობას. მისი შემოქმედების ყოველი ძეგლი სიკეთისა და სათნოების მომხიბლავი გაკვეთილია მკითხველისათვის, რადგან ბოლომდე ამართლებს თანამედროვების პრძნულ მოთხოვნას ხელოვნების მაღალი დანიშნულების შესახებ. როგორც ცნობილი ფრანგი პოეტი და ფალოსოფონი პოლ ვალერი ბრძანებდა: „მწერლობა მხოლოდ მაშინაა საინტერესო, როცა ის ინვევს სულის ზრდას“.

ცნობილია, რომ თითოეული მწერლის შემოქმედებაში გამოიკვეთება ნანარმოები, რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ავტორის მხატვრულ ოსტატობას, სულიერსა და პიროვნულ სიმაღლეს, მისი განცდებისა და გრძნობების სიმაღლესა თუ სიდიადეს, მის როლს ადამიანის სულიერი ამაღლების მარადიულსა და რთულ სარბიელზე. ეს ყველაფერი, ცხადია, ითქვა უკვე, მაგრამ ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვადასხვა მკითხველის არჩევანი მოცემულ შემთხვევაში დიდი ალბათობით აცდენილი შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ამჯერად საკითხს ბოლომდე გადაწყვეტს არა მწერლის, არამედ მკითხველის სულიერი წყობა და განვითარების დონე.

ამოარჩიე ნანარმოები ნიშნავს, რომ განიცადე მისი შენარსი და მოგეწონა მისი მხატვრული მხარეც, რის გამოც კიდევ და კიდევ უბრუნდები და კითხულობ. თამამად მინდა გავრცილ მკითხველს იმის შესახებ, რომ ოთარ ჭილაძის მდიდარსა და მაღალმხატვრულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩემი არჩევანი ნილად ხვდა ლექს-პოემას „ადამიანი გაზეთის სვეტში“. მოცემულ შემთხვევაში ჩემი, როგორც მკითხველის, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს როგორც მწერლის კეთილხმოვანი, დახვეწილი პოეტური ხელოვნება, ისე ნანარმოების მთავარი გმირის ლოთაებრიობამდე ამაღლებული სულის გან-



ოთარ ჭილაძე

საკუთრებული, აქამდე არნახული ხასიათის კეთილ-შობილება.

ნანარმოების მოქმედი გმირი რეალური პიროვნებაა – ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი. თხრობას ავტორი მაშინდელი გაზეთებიდან უცვლელად გადმოტანილი ცნობით იწყებს:

„პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმ-ლვრელი შეტაკების დროს დაღუბულ ამერიკელ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში.“

თვითონ ჭილაძეს სიტყვაც არ უთქვამს ჯერ მომხდარის შესახებ, კვანძი კი უკვე შეკრულია: მტრის ტყვიით ჯარისკაცთაგან ბევრი კვდება, მა-





გრამ თავისიანების ტყვიით სიკვ-
დილი გაუგონარია და შემზარავი
მეითხველისათვის, თანაც როცა
ეს სიკვდილი დასჯაა სიკეთისათ-
ვის.

მეითხველი უკვე წაკითხუ-
ლის პირველი სტრიქონებიდანვე
იმუხტება მომხდარი მძიმე ამბის
მტანჯველი განცდით და მისი შემ-
დგომი განვითარების ცნობისწა-
ფილით... და ავტორიც სწორედ
ახლა და აქვე იწყებს შთამბეჭდავ
თხრობა - კომენტარს მომხდარის
შესახებ. საინტერესოა, რომ თხ-
რობისათვის ოთარ ჭილაძე, მხ-
ოლოდ მისთვის გასაგები მიზეზით, თავისუფალი
ლექსით სარეაბლობს და სწორედ აქ, თავისუფალი
ანუ ურითმო ლექსის რთულ წყობაში აღნევს პო-
ეტური ოსტატობის უმაღლეს დონეს. წარუშლელი,
შთაბეჭდილების მატარებელია მისი სტრიქონების
თავისებური, ყველასგან განსხვავებული რიტმული
ჰარმონია და შინაარსობრივი ტეგადობა.

ცხადია, მეითხველზე ასეთი ძლიერი ზეგავლე-
ნის საშუალებას ნიჭითან ერთად მწერალს მშობლიუ-
რი ენის განუზომლად მდიდარი გამომსახველობითი
შესაძლებლობები აძლევს. „ქართული ენით ყვე-
ლაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება
გამოითქვას რაგინდარა ენით“, - აღტაცებული წერ-
და მსოფლიოში სახელგანთქმული ენათმეცნიერი,
პოლიგლოტი, აკადემიკოსი ნიკო მარი.

ცნობას პანამის არხის ზონაში მომხდარი ტრა-
გედის შესახებ ოთარ ჭილაძე თავიდნ უცვლელი
პროზაული სახით რომ გვაწვდის, შემდეგ იმავეს
ლექსის ფორმით გვთავაზობს:

„ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი სისხ-
ლის გუბეში

აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლი-
სა და ორე-

ვიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილე-
ბი. ამე-

რიკელი ჯარისკაცებიც და პანამელი პატრი-
ოტებიც დაბნე-

ულები არიან ოდნავ, მაგრამ ყველანი გრძნო-
ბენ გუმანით,

რომ დიდი ამბის გახდნენ მოწმენი“.

თხრობა ამის შემდეგ უკვე პირველ პირში გრ-
ძელდება ბოლომდე, რადგან ამას აკეთებს უკვე
თვითონ მიცვალებული კრუს ხიმენესი. მწერალი
მიცვალებულს, ცხადია, მიზანიმიართულად ალაპა-
რაკებს, რადგან ამ გზით გაცილებით უფრო ადვილ-
დება გმირის განცდების გამოხატვაც და მეტი დამ-
აჯერებლობით მიტანაც მეითხველის გულამდე. აი,
როგორ აღწერს საკუთარ გაუსაძლის მდგომარეო-
ბას მიცვალებული კრუს ხიმენესი:

„მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალთიდან
გადმოვარდნილი და ღმერთმა იცის, რა



მაყვალა მიქელაძე

მელოდება: ჩიტის ჩიჩახვი, თუ
ქვის საწოლი, ეკალბარდები თუ თბილი
ხული. მე არ მეგონა, თუ ასე ძნელი
იყოსკვდილი. სუსტი ყოფილა ადამი-
ანი, რადგან არ იცის, როგორ იმართ-
ლოს ან ვის წინაშე იმართლოს თავი“.

ხიმენესი ბევრს ფიქრობს და მს-
ჯელობს ადამიანის ბუნებისა და მოვ-
ალეობის შესახებ. საინტერესოა, რომ
საკითხთა მოცემულ სფეროში მისი
შეხედულება ბოლომდე ემთხვევა ცნო-
ბილ ლინგვისტთა მტკიცებულებას
იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ენაზე
გაზრდილი ადამიანები ძალიან განსხ-
ვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან

სხვადასხვა ენაში ადამიანთა ფსიქიკური ფორმირე-
ბის განსხვავებული კანონები დევს. შებრუნებული
კუთხით ამასვე ადასტურებს კრუს ხიმენესის მტ-
კიცებაც, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებულები
არიან სხვადასხვა ქვეყანაში გაზრდილი ადამიანები:

„ადამიანი ჰყავს იმ ქვეყანას, რომელსაც
მისი სამშობლო ჰქვია. ხოლო სამშობლო
თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მო-
ნებს. არა სხეულის, არამედ სულის სა-
ჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც
სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც.“

მოცემულ მსჯელობაში მეითხველის განსა-
კუთრებულ ყურადღებას იქცევს მიცვალებულის
მიერ გამოტანილი სულიერი მონობის მეაცრი გა-
ნაჩენი მათვისი, „ვინც სხვას ართმევს თავისუფლე-
ბას“. სწორედ ამ საკითხში იყო კარდინალურად
განსხვავებული და პროგრესული მისი შეხედულება
პანამელთა დამსჯელი ჯარისკაცების რაზმის დან-
არჩენი წევრებისაგან და, სამწუხაროდ, სწორედ ამ
განსხვავებას შეეწირა მისი სიცოცხლე. მომხდარში
გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას,
რომ ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით დაი-
ჭირა ხიმენესმა უცხოქვეყნელთა მხარე და სცადა
სამართლიანობის დაცვა, რასაც ფიზიკურად შეე-
წირა კიდეც, მაგრამ სწორედ ამ თავგანწირვაში
გამოიხატა მისი, რაზმის დანარჩენი წევრებისაგან
განსხვავებული, არაჩეულებრივი სულიერი სიმაღ-
ლე.

თხრობა გრძელდება, ავტორს ჯერ კიდევ ბევ-
რი აქვს სათემელი ადამიანის სულიერი კეთილშო-
ბილების შესახებ. ტკივილიანი გასაზიარებელია
მეითხველისათვის და გულთანაც ტკივილით მი-
სატანი თანარაზმელთა მიერ განსხვავებული სუ-
ლიერი სიმაღლისათვის სასიკვდილოდ გამტებული
ხიმენესის მიერ აღნერილი საკუთარი სულიერი თუ
ფიზიკური განცდები:

„ჩემი სხეული სისხლის გუბეზე ხიდივი-
თაა გადამხობილი დასასჯელებს და
დამსჯელებს შორის.

მალე დასტულდა ჩემი ცხოვრება: შეუგ-
ნებელიც და შეგნებულიც. მაგრამ სი-





ცოცხლე ჯერ არასოდეს არ მდომებია ასე
მტანჯველად. ასე არასდროს მომნატრე-
ბია დედა და წყალი და ძველისძველი
ჩემი საწოლი“.

სწორედ აქ, ადამიანური ყოფნის ამ უკიდურე-
სად მძიმე მონაკვეთში, აღნევს ზენიტს პოეტის აზრი
ადამიანის სულიერ ღირებულებათა განსაკუთრე-
ბული მაღალი დონის შესახებ. ყოვლისმთემელია
ამ მხრივ ადამიანების მიერ სასიკვდილოდ განწირ-
ული, სისხლის გუბეში მწოლიარე ხიმენესის მიერ
ცხოვრების ამ ყველაზე მძიმე მონაკვეთში ისევ
ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა და წრფელი
გულით გაცხადებული:

„ახლა ჩემს ტანში სხედან ტყვიები, რო-
გორც მხეცები ბნელ სოროებში. და, თუ
ქვეყანას მართლა მოაკლდა ეს რამდე-
ნიმე გრამი სიკვდილი, მე კმაყოფილი
ვიქები ამით, მაგრამ არ მინდა და არც
მგონია, რომ ჩატიოს გაზეთის სვეტში
ჩემი ვწერები და სურვილები.“

მის წინაშე დამნაშავე ადამიანებისადმი ცოდ-
ვის ასეთი, მართლაც გაუგონარი მიმტევებლობით
სულიერი კეთილშობილების გაუგონარ, სწორედ
რომ ღვთაებრივ სიმაღლეს აღნევს ხიმენესი. ასეთი
განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე ღმერთთან
– ეს უდიდესი ღირსებაა ზოგადად ადამიანისა და
სწორედ ამ ყველსათვის საამაყო ღირსების გასაჯა-
როვებას ეძღვნება ოთარ ჭილაძის განხილული ლექ-
სი-პოემა. მწერალს სწამს, რომ ადამიანის სულიერი
გმირობის მისგან აღნერილი ეს უჩვეულო შემთხ-
ვევა ფართოდ გავრცელდება და სულიერი ზრდის
გადამდებ მაგალითად იქცევა მითხველისათვის.
ამაში ხედავს სწორედ თავისი სულიერი გმირობის
შედეგს ხიმენესიც:

„----- და
როგორც ტყიდან მეორე ტყეში გადააქვთ
ქარებს თესლი ხების, ისე გადადის გულიდან

გუ-
ლზე ჩემი ფიქრები და სურვილები“.

კითხულობ ნაწარმოებს და უნებურად პარა-
ლელს ავლებ ჯერ კიდევ 24 საუკუნის წინათ დიდი
ბერძენი ფილოსოფოსის – არისტოტელეს მიერ
ადამიანის სულიერი ღირსების შესახებ გამოთქმულ
შეხედულებასთან: – „ყველა ადამიანში არის მზე.
მიეცით დრო, გამოანათოს“.

ადამიანის სულიერი ღირსების საკითხი აქტუ-

ალურ სახეს ინარჩუნებს მომდევნო ეპოქების გა-
მოჩენილ ინტელექტუალურ მოაზროვნეთა შორი-
საც. მაღალია და ძალიან ძვირფასი ამ მხრივ ის
შეფასება, რასაც ზოგადად ადამიანს აძლევს ჩვე-
ნი, თანამედროვე ქართველების, ბრძენთა ბრძენი
კათალიკოს-პატრიარქი ილია II. ბოლო დროის მის
ერთ-ერთ საახალწლო ეპისტოლები ვკითხულობთ:
– „რაც რამ ყველაზე დიდი საუნჯე არსებობს
დედამიწაზე, მთელი ქვეყნიერების სიმდიდრე რომ
შევკრიბოთ ერთად, ერთ ცალკე პიროვნებად, ერთ
ადამიანად არ ღირს ეს ყოველივე“.


შთამბეჭდავია და ძალიან ორიგინალური ადა-
მიანის სულიერი ზნეობის დამოწმებული პატრიარქ-
ისეული შეფასება.

ადამიანის სულიერი ღირებულებათა ფასს
კიდევ უფრო მაღლა, თვით ღმერთამდე ენევა ჩვენი
თანამედროვეობის ცნობილი პოეტი, ბრძნული კა-
ტრენების დიდოსტატი – ფარნა რაინა. ამ თემას ის
საგანგებო კატრენს უძღვნის, სადაც დიდი რწმენით
აცხადებს ადამიანში მძინარე ღმერთის შესახებ.

– „ხამს გავაღვიძოთ,
მჯერა და
მგონია,
ადამიანში მძინარე ღმერთია“, – მაღალი
შთაგონებით წერს პოეტი.

ადამიანის სულიერი ღირებულების ღმერთამ-
დე ამაღლების მომენი ვხდებით ოთარ ჭილაძის
განხილულ ლექს-პოემაშიც, სადაც თანარაზმელთა
ტყვიებით გულგანგმირული ჯარისკაცი მხენეობს
იმით, რომ მის გულში ჩაბუდებულმა ტყვიებმა ადა-
მიანებს გამოაკლ „რამდენიმე გრამი სიკვდილი“.
მეტის თქმას ადამიანის სულიერ ღირსებაზე, ანუ
მისი ზნეობრიობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე
ნარმოჩენას ძნელად თუ კიდევ ვინმე შეძლებს.

ხიბლავს მკითხველს და ფიქრისაკენ იტაცებს
ოთარ ჭილაძის მიერ დიდი ფსიქოლოგიური ოსტა-
ტობით წარმოდგენილი ადამიანის სულიერი კეთილ-
შობილების ეს შთამბეჭდავი მაგალითი. მხოლოდ
ღმერთთან სიახლოვეს შეუძლია შვას ასეთი შეუ-
დარებლად შორსნიშნიანი სიტყვები და სტრიქონები,
რომლებიც წაკითხვისთანავე სიკეთისა და სილამა-
ზის მწერლისული სამყაროს პინადრად გხდიან. მა-
რად იცოცხლებს ლექსი-პოემა, რადგან საუკუნეებ-
ში გადაჰყვება თაობებს, როგორც მათი სულიერი
ზრდის ძალიან დახვეწილი გაკვეთილი.





ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

ქართული სიტყვის მერწეოდ და საფუძველობრივოონ-
ცელი იყო. სიტყვა ყველაფრის თავი და თავი რომელ, ეს
ყოველივე ძალუებში სისხლთან ერთად დაყდიოდა, სხდე-
და, რომ სიტყვა იძვალი უნდა იყოს, მაგრამ ულურდლო
დღესაცით ნათელი და ფოლადიცით შეუძლოდა; იმაზე
ოწერილობადა, რომ განვერა აპოვნინებდა ჰურაზ უწონო გა-
მოცემებს, უსხო აზრებს, აქამდე სხვათგან ვერმინვე-
ნილს, ჰურ ვერსათვევამსა და არსებილ ახალ სიტყვებს,
მანამდე რომ არავის უბრალის, განსხვავებულო იმათვან,
ნინაპლები რომ წარმოიქმედინ.

၇. စံကန္တုပုံကြော်လောက

სამეცნიერო გამორჩეული ცრემლი



ଗୁରୁମ ଫନ୍ଦିବାନାମ୍ବିଲ୍ଲ.

მართლაც რომ გამორჩეული ცრემლი იყო მისი
სამშობლოსი, ერთ-ერთი უკანასკნელი ატლანტიდე-
ლი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ იპრძოდა იმ
სიწმინდების, იმ სილამაზეების გადასარჩენად, რომ-
ლებმაც აქამოძე მოიყვანა ქრისტესავით ჯვარცმული
ქვეყანა, ქვეყანა რომლის არსებობა და სიცოცხლისუ-
ნარიანობა წონასწორობას აყარგვინებდა და დღემდე
აკარგვინებს მისი იავარქმნისა და მიწის პირისაგან აღ-
გვის მოსურნეებს...

გურამ დოჩანაშვილი – მწერალი და ერისკაცი, ჭეშმარიტი მეცნიხოვნე ივერთა მიწისა, რომელიც ხმალმოლებული ეპრძოდა მისი ქვეყნის დაუძინებელ მტრებს – ღალატსა და ორგულობას, ავკაციობასა და განუკითხაობას, შერსა და მცონარეობას, გულგრილობასა და მედლებგალიობას, ყველა იმ დამდუცველ მეტასტაზს, რაც შეგნიდან ლრღნიდა და ანადგურებდა ქართველობას.

მისი იარაღი კალამი იყო, ის მოთხრობები თუ რომანები, რომლებსაც იგი საქართველოს მომავალზე ფიქრში ქმნიდა და მას უძლებიდა.

საქართველო, მისი თითოეული კუთხე გულში ჰყავდა ჩახტებული. გელათისა და კვეტერას ფაქიზმი ხავსმოდებულ ლოდებს ეფერებოდა, იცოდა, რომ ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება, საქართველოა და თან იმ დროზე ოცნებობდა, როცა ამის დაფარვა აღარ იქნებოდა საჭირო. ბიძლიური სიპრძე ამხნევებდა და ძალასა და ენერგიას მატებდა:

„ხოლო არარა არს დაფარული, რომელი არა
გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცხაურ
იყოს.“

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბილია ბატონი გურამისთვის სამაგილო წიგნი იყო და სწორედ იქიდან ხაპავდა ძალუმად ღვთიურ სიბრძნეს, არნახულ ძალასა და სიმტკიცეს ბნელეთის მოციქულებთან საბრძოლვეოა.

სამწუხაროდ, ისინი ბევრი იყვნენ, ძლიერი და დაუზღვებლები და მათთვის სულაც არ იყო როტლი საქმე სამშობლოზე მაფიქრალი დიდი კაცების წელში გადატეხა და თუნდაც მოკვდინება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ გურამ დოჩანაშვილმა ნაცად ხერხს – ალე-გორიას მიმართა და სწორედ მისი მეშვეობით დაწყო უთანასწორო ბრძოლა საბჭოთა იმპერიის წინააღმოვავა...

მისი საუკეთესო ქმნილებანი, ისეთები, როგორიცაა „სამოსელი პირველი“, „ვატერ(პო)ლონ ანუ აღდგენითი სამუშაობი“, „კუუერაძეები“, „ლოფი ნასაყდრალი“, „ხორუმი ქართული ცეკვაა“, „იოპანა სებასტიან ბახი“, „ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერზაა“, „საქმე“, „მხოლოდ ერთი კაცი“, „მიწა და ვანო და წითელი, ხე“ „ორნი აქა, იქა“, სხვანი და სხვანი, სწორედ ალეგორიულობის საბურველში გახვეულნი, არნაბულ შთაბეჭიდილებას ახდენს ჩვენზე.

აბა, რომელ ცენზორს მოუპრუნდებოდა ენა აუგის სათქმელად, როცა მწერალი ყველაზე დიდ სათქმელს ჰარალეთელ ღოთ პაპიკოს ათქმევინებს მოთხოვობა-ში „ჩემი ბუჭყატა, ჩენი ტერეზა“ – კაცია საჭიროო.

იმავე მოთხობაშივე გამოჩნდება სწორედ ის კაცი, ტანმორჩილი, გამხდარი ბუჭუტა, რომელიც რეინისებური ლოგიკით აუხელს თვალს ჰარალეთის მკვიდრთ. არც ის არის შემთხვევითი, რომ სწორედ იგი დაამარცხებს უმოწყალო ჩხებში არაადამიანური ძალის მქონე ტერზას. ეს ეპიზოდი, ჩერებში დაყითისა და გოლიათის შერკინების ასოციაციას იწვევს და იმაშიც გვარწმუნებს, ნებისმიერ პაექრობაში შეიძლება გამარჯვება თუკი გონივრულად იმოქმედებ.

გურამ დოჩანაშვილს კი აღარ შეეძლო იმის ყურება, თუ როგორ ჰკიდებდნენ ქვეყნის სათავეებში გამქვრალი ნაძირალები ერთიმეორეს ჭრელ ორდენებს, როგორ ანიჭებდნენ ფერად ლირსებებს. არც იმ აბდაუბდა დირექტივების ატანა შეეძლო, რომლებითაც კრემლის მიხრწნილი, გადალძუბული ბელადები მოძღვრავდნენ საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატის მუშაკებს, გაუგებარ ჭანჭიკებად რომ ქცეულიყვნენ თიხისვეხება კოლოსისა. აი, ერთი ნიმუში იმ „მარგალიტებისა“: „ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და, ამასთანავე, თანამედროვე ეტაპზე ყოფა-ცხოვრებითი მოვლენების სრულყოფა და ადამიანის ცხოვრებისეული მოქმედება წარმოების გარეთ, მისი საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თნდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრების და ამიტომაც საზგანმული ყურადღება უნდა მიეკუს მის თვისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება ჯერ ერთი, იმით, რომ ნარმოადგენს ადამიანის ფირმირების ერთ-ერთ ფაქტორს, ხდის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში.“ ეს ნაწყვეტი მოთხოვნიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ თვალნათლივ გვიჩვენებს საბჭოთა იმპერიის ხრწნის თითქმის ბოლო სტადიას და, რა გასაკირია, რომ იმპერიამ არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ „ჩამოლაბორანტება“ განიცადა.

გურამ დოჩანაშვილი ისე დიდებულად გაერკვა ალეგორიული ნანარმოებების არსში, რომ ამ უანრის ჭეშმარიტ დიდოსტატად იქცა. „ვატერ(პო)ლოო...“ ჰქვია მის ერთ-ერთ ბრწყინვალე მოთხოვნას, რომელშიც გამოწვლილოთაა დანახული საბჭოთა იმპერიის არსი, ის ბარბაროსული ხერხები და მეთოდები, რომლებითაც იმპერიის მესვეურები ცდილობდნენ რეუიმის ერთგულ ქოფაკებად ექციათ სრულიად ახალგაზრდა ადამიანები, ისეთები, როგორიც ამ მოთხოვნის გმირი, ბესამე კართა. კითხულობ მოთხოვნასა და გული გიკვდება იმის შმხედვარეს, თუ როგორ კლავენ ადამიანში სათნოებას, სიკეთეს, როგორ აქცევენ დვოთის შვილს მკვლელ რობოტად. თუმცა რაღა წარსულს გადავწვდით. განა ასე არ იქცეოდნენ 10-15 წლის წინ იმ ქვეყნის ხელისუფალნი, რომელთაც დავით აღმაშენებლის ხსენებაც კი აღიზანებდათ.

თუ რა საშინელი წესის ქვეშ ცხოვრობდა ქართველობა, გურამ დოჩანაშვილი ლამის კალმის ერთი



ზეალ პოტპოველი

მოსმით გვაჩვენებს. აღსარებაზე მისულ ახალგაზრდას, რომელიც „მეტისმეტ“ გულახდილობას იჩენს, მლედელი წამით შეაჩერებს და ისე, სასხვათაშორისოდ ფანჯრის გაღებას სთხოვს. მერმე, ფანჯარა რომ გაიღება, ისევ სასხვათაშორისოდ, სთხოვს, თუ არ შენუხდები, ეზოში გადაიხედე, ვინმე ხომ არ დგასო. და როცა უარყოფით პასუხს მიიღებს, დამშვიდებული სთხოვს, თხრობა განაგრძეო. ესეც დიდი მწერლის თვისებაა, მთავარი სათქმელი ისე გითხრას, ვითომც არაფერია. აკი ჯუზეპე ვერდიც კი, უდიდესი თუ უდიადესი არა, თავის სათქმელს ეგვიპტურ ეტრატებში ახვევდა.

63



გურამ მარგალიტაშვილი იცოდა, რომ „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძალლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა ლორთა, ნუუკუ დათრგუნონ იგი ფერხთით მათით და მოიკცნებ და განხეთქენ თქუენ“, ბრწყინვალედ უწყოდა ისიც, რომ მკურნალობისას უმთავრესია ავადმყოფობის არსის დადგენა. მისი პიესა „ხორუმი ქართული ცეკვაა“ ამის ბრწყინვალე დადასტურებაა. ამ პიესით კიდევ ერთხელ გახდა საცნაური ჯერ ერთი, როგორ უყვარდა მწერალს მისი მშობელი ერი და მეორეც, როგორ ცდილობდა ზუსტი დიაგნოზის დასმას იმ ავადმყოფობისა, მეტასტაზიბად რომ შეეყარა ქართველობას.

კარცერ-ლუქსებზე ოცნებობდა, რადგანაც მტკიცედ სწამდა, რომ კითხვას პირვენების თავისუფლებასთან მიეკავართ, ამამალებებს და ყოვლისშემძლე თავისუფლებასთონ, იცოდა ცუდ სიმთვრალეზე უარესი რომ ცუდი სიფხიზლეა და სწორედ ამნაირი სიფხიზლისგან გამოღვიძებისაკენ მოგვიწოდება.

თვისუფლებისაკენ სწრადვა ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში გაუჩნდა და მისი პირველი ნაწარმოებიც, მოთხოვნა „მთის გადაღმა“ სწორედ ამ მისწრაფებით იყო დამუხტული. მოთხოვნის გმირი, სრულიად ახალგაზრდა ზურა ქორის ბედს შენატრის, რადგანაც „ქორს ყველგან ნაიყვანდა ფრთხი, სადაც მოისურვებდა. ამ ფრთხით შიძლებოდა მიფრენა იქ, სადაც მართლაც ბოლავდნენ ვულკანები, ჰქროდა სამუში, ტივტივებდნენ ას ბერებები და იქაც, სადაც იდგა უზარმაზარი ხესეკვოია“. ადვილი მისახვედრია, თუ რა იგულისხმება ამ სეკვოიაში. ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც ურჩეულისაგან განმათავისუფლებლის წმინდა გიორგის მაღალი თეთრი რაშით შემობრძანდებოდა საქართველოში ის, რასაც, ორი საუკუნის განმავლობაში გულში ელოლიავებოდა ჩევნი ბედკრული ერი.

დიდ, ზნებრივად და სულიერად ამაღლებულ ქართველებს აღმერთებდა, ისეთებს, როგორიც სახლხო მკურნალი დავით კვიტაშვილი იყო, როგორიც რევაზ თაბუკაშვილი და დავით ჯავახიშვილი იყვნენ, ქართველთა ღირსეული შეიღები.

ბევრი რამ შეიძლება ეპატიოს მწერალს, – წერდა გურამი. – აი ის, რაც არ ეპატიება – „სიტყვით მეძავობაა“, რადგანაც „ეგრეცა ენა – მცირე ასო არს და დიდად მაღლონის. აპა, ესერა მცირებან ცეცხლმან რავდენი ნივთი აღაგზნის!“ სჯეროდა, რომ ეს ცხოვრე-





ბა, წარმავალი, რომელიც უსასრულობასთან შედარებით წამის მემილიარდელიც კი არაა, გამოსაცდელად გვეძლევა ადამიანებს და, მით უმეტეს, მწერლებს და როგორი ახო იქნება, რომ ვისაც არა სწამს ღვთიური სათნოებისა, ოთხი ფიცარი რომ ერგოს მხოლოდ. სულ ფიქრობდა, ისეთი რა უბედურება შეეყარათ ადამიანებს, ცოდვილ თავებზე დიადი წარლვნა რომ დაატყდათ. რა ბოროტება შეეყარათ ასეთი და პასუხსაც იქვე სცემდა: ამ ბოროტებას შეგუება ჰქია სახელადო... უღირსთა მიმართ ხელისგულების გადაყვლებამდე აპლოდისმენტები და ვაშას ძახილიც შეგუებაა. კარგად ჰქინდა გასიგრძემანებული, რომ ქვეყნიერებას თუ რამე დააქცევს, მოიქვნელობა, პატივმოყვარეობა და შიში დააქცევსონ...

ქართული სიტყვის მეაბჯერე და საჭურველთმტვირთველი იყო. სიტყვა ყველაფრის თავი და თავი რომაა, ეს ყოველივე ძალვებში სისხლთან ერთად დაუდიოდა, სწამდა, რომ სიტყვა იშვიათი უნდა იყოს, მაგრამ ულრუბლო დღესავით ნათელი და ფოლადივით შეუპოვარი; იმაზე ოცნებობდა, რომ განგება აპოვნინებდა ჯერაც უცნობ გამოთქმებს, უცხო აზრებს, აქამდე სხვათაგან ვერმინვდენილს, ჯერ ვერნათქვასა და არსმენილ ახალ სიტყვებს, მანამდე რომ არავის უხმარია, განსხვავებულთ იმათგან, წინაპრები რომ წარმოთქვამდნენ. ალბათ ამიტომ იყო, რომ თაყვანს სცემდა დიდ სულხან-საბა ორბელიანს და მის უბადლო „სიტყვის კონას“, რომლის ფასი ქართველებმა დღემდე არ ვიცით. სულხან-საბას გრძნეული ხელის მტევანი თავად მაცხოვარს ეჭირა გრძელი თითებით და ის წარმართავდა მის ფასდაუდებელ აზროვნებას. ფუტკრის კერძასა ჰყავს ამ დიდებული ლექსიკოგრაფის გასახარელი, წამებით მიგნებული ჭეშმარიტი სიტყვაო.

მწერალი, მით უმეტეს, ისეთი, როგორიც გურამ დოჩანაშვილი იყო, გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ დიად გრძნობას, როგორიც სიყვარული გახლავთ. „თავფარავნელი ჭაბუკი“ და „მხოლოდ ერთი კაცი“ ჩინებული დასტურია იმისა, თუ რა ზემთაგონებულ გრძნობად მიაჩნდა სიყვარული, „პერპეტუუმ მობილე“ ყველასი და ყველაფრისა. სკვეროდა, რომ მზის შვილი მხოლოდ ისაა, ვისაც ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია, მწველი და დამტკუცელი სიყვარული, რომ მარადიული სიყვარული დაფარული უნდა იყოს, როგორც ზღვის ფსკერზე ნიუარაში ჩაიკრული მარგალიტი. რა დიდებული ჰიმნი უძღვნა ანა მანიანის, რომის დედას, ფაქტურად სიყვარული აუხსნა იტალიელთა სალოცავ ბანოვანს; რა საოცრად დაგვიხატა შარაგზის ყაჩალის სკილონის ვნებანი. თანაც ეს მოახერხა ისე, რომ არსად გადაცდენია იმ ზღვარს, სადაც მწერლობა მთავრდება და ერთი ემამა უწყის, რა ინკუბა. დიდოსტაცურად ემარჯვებოდა გადმოეცა სიყვარულის ახსნის სცენა, ანდა ასევე აღენერა შეეყვარებულთა განმარტოება:

„მამაკაცი და ჭაბუკი იყო სკილონი მაშინ, წაპოვნი ტირო – (მისი სატრფო – ზ.ბ.) ქალი და გოგო, და ერთმანეთი მუდამ უნდოდათ. მოუნველავი რჩებოდა არვე“. აი, ასე, ორიოდ წინადადებაში ჩაეტია ის, რასაც დღევანდელი ტელემნერლები ათ გვერდს მოანდომებდნენ. დიდ მწერლებს ისიც გამოარჩევს სხვათაგან, ისი-

ნი არ გატყუებენ, არ ცდილობენ ზიზილ-პიპილოებით ავიხვიონ თვალი. ნაყალბევი წოტი, ნაყალბევი სცენა ვერ ალმოვაჩინება ისეთ დიდ ფორმატის რომანშიც კი, როგორიცაა „სამოსელი პირველი“, აქ ყველაფერი დინჯად, აუჩქარებლად, წება-წება ვითარდება. იწყება დომენიკოს – ნანარმოების მთავარი გმირის მოგზაურობით საუთარი თავისეკუნ, საკუთარი თავის აღმოსაჩინად, იწყება გრძელი, ხიფათიანი, ბენგვისხიდა გზა ჯოვებითისაუკუნ და მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მკითხველს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს და ბოლოს დომენიკოსთან ერთად განწმენდილი გამოჰყავს იმ საშინელებებიდნ. უნდა ითქვას ისიც, რომ პოეტის თვალი თითქმის მთელ რომანს გასდევს უმშვენიერეს შლეიფად. აი, მაგალითიც:

„ბურუსი იდგა. ასეთი რამ ჯერ არ ენახათ, ცივად აორთქლებულ რძეში ჩაძირულიყო ლაბაზ-ქალაქი“.

თქვენი არ ვიცი და უკეთესი მეტაფორა ბურუსისა მე ჯერ არ შემხვედრია.

და საერთოდაც, გურამ დოჩანაშვილმა იცოდა, რომ მწერლობაში არსებობს „დიადი ვერასოდეს“, რომლისენაც ყველა დიდი მწერალი ისწრაფვის, თუმცა რაღა დიდი, უდიადესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ვერაგი, და, ამავე დროს, უნეტარესი „დიადი ვერასოდეს“ მაინც მოუქელთებელი რჩება: იცოდა, რომ მაინც დიდი ბედნიერებაა ასეთი მწვერვალის არსებობა და ასეთი დროს ალპინისტები ახსენდებოდა, ჯიუტი და მამაცი ხალხი, რომელთა ცხოვრების თითქმის ერთადერთ გამართლებას ღრუბელთ ზემოდან ჭვრეტა, საკუთარი თავის დიდებული გამოცდა, გამარჯვება საკუთარ თანდაყოლილ შიშზე წარმოადგენდა. იცოდა ისიც, რომ თუ ფიზიკოსები ვერასოდეს შექმნან „პერპეტუუმ – მობილეს“, ლიტერატურამ უკე მოახერხა და შექმნა „დონ კოხოტი“, რომ ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასნაირ ლაბორატორიასა და დანადგარს, რომ სწორედ „დიადი ვერასოდეს“ არის ხელოვნების მარადიული მუდმივი მცველი – თვალუნვდენები უხილავი ქანდაკი, თვით მიქელაზელოს დავითზე უსასრულობამდე მაღალი.

დიადი ხელოვნების მეტროე იყო. ამიტომაც ოცნებობდა ფლორენციაზე – მიქელაზელოსა და ლეონარდო და ვინჩის მშობლიურ ქალაზზე, კიდევ ურბინოელ რაფაელზე, მათსავით უყვარდა დანტე და ბედნიერი იყო იმის გაგების შემდეგ, რომ დანტეს უკვდავ პოემას „ლოთაბრივი კომედია“ თავად დანტემ კი არ უწოდა, არამედ მადლიერმა მკითხველმა. ხელოვნების ამ ტიტანებს იმიტომაც აღმერთებდა, რომ ლეონარდო და ვინჩის დამთავრებულად ანუ სრულყოფილად არ მიაჩნდა თავისი არც ერთი ნახატი. ოთხმოცდაცხრა წლის მიქელაზელოს კი სიკვდილის წინ დაუჩივლია, რა დროს კვედები, როცა ახლა მივხვდი ხელოვნების ანაბანასო...

გურამ დოჩანაშვილის დევიზი იყო, ადამიანი ადამინისთვის დღეა, სინათლეა, მარადიული ნათელია. ეს დევიზი ჯაჭვით შეერული სიტყვების კაცის დევიზია, რომელსაც სამშობლო სწამდა, უყვარდა და მისთვის იტანჯელოდა.

და რაც მთავარია: სხვანაირად არ შეეძლო.





მწარმეობის
განვითარების




მარა გალია ჩივავაძის ეპიტოზი და მარა გლეხა ტალიცია




საქართველოს კულტურის
(აკადემიუმი)



ლალი ასლანიშვილი




თემურ ხუსარიშვილი



ანდრია სიმახეიშვილი



ცეცეცა გავეგა



ვაჟაპესაძე გორგარებულიძე